ომარ არდაშელია

XX საუკუნის II ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები

327(09)+

UDC (უაკ)94(479.224) + 930.27(=946.113)
ა – 982

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილი და წარმოჩენილია XX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის უმ-ნიშვნელოვანესი პრობლემები: ინდოჩინეთის, ტაივანის, კორეის, ახლო აღმოსავლეთის, კვიპროსის და ა.შ. კრიზისები, რომელთა გენეზისი და განვითარება „ცივი ომის" პირობებში მიმდინარეობდა. ამ კრიზისებმა დიდი გავლენა იქონია XX საუკუნის II ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირებაზე.

ნაშრომი განკუთვნილია საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტებისა და დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: პროფესორი **თეიმურაზ პაპასქირი**

რეცენზენტი: პროფესორი **ბონდო კუპატაძე**

პროფესორი **ელგუჯა ქავთარაძე**

© ომარ არდაშელია
ISBN 99940-62-34-4

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება XX საუკუნეში მოხდა. წინა საუკუნეებში მას სხვადასხვა დისციპლინები შეისწავლიდნენ და წარმოაჩენდნენ. 1919 წელს საერთაშორისო ურთიერთობების კათედრა დაარსდა უელსის უნივერსიტეტში, დევიდ დეივისის ფინანსური მხარდაჭერით. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში ნობელის პრემიის ლაურეატის ფილიპ ნოელ-ბეიკერის ინიციატივით ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. 1927 წელს კი ჟენევაში დაარსდა პირველი უნივერსიტეტი, რომელიც მთლიანად ემსახურებოდა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლას. ამ უნივერსიტეტის მიზანი იყო ერთა ლიგისათვის მოემზადებინა სპეციალისტები. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგში საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი სკოლები დაარსდა აზიასა და სამხრეთ ამერიკაშიც, დისციპლინის აკადემიურ ცენტრად დღეს მაინც ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა ითვლება.

31131

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში ვესტფალიის ზავი[1] წარ-

[1] **ვესტფალიის ზავი- ვესტფალიის ზავი** (ასევე **ვესტფალიის მშვიდობა**) — სამშვიდობო შეთანხმება დადებული 1648 წლის 24 დეკემბერს მიუნსტერსა და ოსნაბრიუკში, რომელმაც ბოლო მოუღო ოცდაათწლიან ომს. როგორც წესი, ვესტფალიის მშვიდობას უწოდებენ სამშვიდობო ხელშეკრულებებს ხელმოწერილს კაიზერი ფერდინანდ III-ის მიერ საფრანგეთსა და შვედეთთან.

ბიბლიოთეკა LIBRARY

5.00

მოადგენს საკვანძო მოვლენას, საიდანაც დაიწყო თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება. მანამადე ევროპული შუასაუკუნეობრივი პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია დამყარებული იყო ბუნდოვნად განსაზღვრულ რელიგიურ იერარქიაზე. ვესტფალიის ზავმა დააფუძნა სუვერენიტეტის ცნება, რომელიც ნიშნავდა იმას, რომ სახელმწიფოს მმართველი არ აღიარებდა თავისზე მაღალ ან თავის სწორ ხელისუფალს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც. ვესტფალიის ზავმა ხელი შეუწყო სახელმწიფოს აღმავლობას, დიპლომატიისა და არმიის ინსტიტუციონალიზაციას. კოლონიალიზმის შედეგად აღნიშნული სისტემა სხვა კონტინენტზეც

მათ მიერ ვეფელინგჰოფენთან წაგებული ბრძოლის შედეგად (1648 წლის 4-5 ივნისი), შეთანხმება შესაძლებელი გახდა სამშვიდობო კონგრესით, რომელიც მიუნსტერსა და ოსნაბრიუკში ჩატარდა 1643-49 წლებში, რომლის ზოგადი მიზანი ევროპაში მიმდინარე ომების ჩაცხრობა იყო, განსაკუთრებით კი ოცდაათწლიანი ომის. ვესტფალიის ზავით შვედეთმა მიიღო დასავლეთ პომერანია შტეტინის პორტით, აღმოსავლეთ პომერანიის გარკვეული ნაწილი, უფლება პომერანის ყურეზე ზღვისპირა ქალაქების ჩათვლით. შვედეთის ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ მოხვდა ჩრდილოეთ გერმანიის უმსხვილესი მდინარეების შესართავები. გარკვეული დროით შვეცია დიდ ევროპულ ზესახელმწიფოდ გადაიქცა, და მისი გავლენის ქვეშ მოექცა ბალტიის რეგიონი და გერმანული სახელმწიფოები. საფრანგეთმა მიიღო ელზასი (სტრასბურგის გარდა) და ზოგიერთი ქალაქის მფარველობა. ჰოლანდია აღიარებულ იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ასევე აღიარეს შვეიცარიის *კვეშრიც. ვესტფალიის ზავის შედეგად რელიგიურმა ფაქტორმა შეწყვიტა მნიშვნელოვანი როლის თამაში ევროპული პოლიტიკაში.*

გაერცელდა. I და II მსოფლიო ომების შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა თანამედროვე საერთაშორისო სისტემა[2].

ახალმა ეპოქამ რადიკალურად განსხვავებული სისტემები, ცნებები და შეხედულებები მოიტანა, რაც ახალ ეტაპს წარმოადგენდა მსოფლიო პოლიტიკაში.

ახალ ეპოქაში ყველა ქვეყანა და ნაციონალური სახელმწიფო ჩართულია საერთაშორისო პოლიტიკაში და ქვეყნებს შორის ურთიერთობებში. დღეს ნაციონალური სახელმწიფო წამყვან როლს თამაშობს საერთაშორისო არენაზე. გარდა ამისა, ახალმა ეპოქამ დაასრულა ევროპული სახელმწიფოების დომინირებული როლი მსოფლიო პოლიტიკაში. აღნიშნული მოვლენა ლამის პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გაგრძელდა. ფაქტობრივად, ამ ომმა წერტილი დაუსვა ევროცენტრიზმს საერთაშორისო სისტემაში.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ს ინიციატივით შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია **ერთა ლიგა** (League of Nations), რომლის ძირითადი მიზანი იყო კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება და მსოფლიოში მშვიდობის მხარდაჭერისათვის ბრძოლა. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა ვერსალ-ვაშინგტონის პოლიტიკურმა სისტემამ კრახი განიცადა, რადგან მსოფ-

---

[2] დაწვრ. იხილეთ: **Протопопов А.С., Козьменко В.М., Елманова Н.С.** История международных отношений и внешней политики России (1648-2000). Учебник для вузов /Под ред. А.С. Протопопова - М.: Аспект Пресс, 2001

ლიო ომის დასრულება ბევრი სახელმწიფოსათვის არ ნიშნავდა სტაბილიზაციის აუცილებლობას. გარდა ამისა, მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე დამყარდა დანარჩენი მსოფლიოსათვის სრულიად უცხო სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც უცნობი და მიუღებელი აღმოჩნდა დანარჩენი მსოფლიოსა და საერთაშორისო პრაქტიკისათვის.

პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთში ოქტომბრის ცნობილი გადატრიალების შედეგად გამოწვეულმა კრიზისულმა მოვლენებმა მთელი ევროპა და შემდეგ მსოფლიო მოიცვა. ამ პერიოდის ევროპის ქვეყნებში პოლიტიკური მეცნიერებების განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობები შეიქმნა, ხოლო ბოლშევიკურ რუსეთში მეცნიერების ეს დარგი საერთოდ „აკრძალულ ხილს“ წარმოადგენდა.

XX საუკუნის 30-იან წლებში ევროპის ქვეყნებში გერმანიასა და იტალიაში ფაშიზმმა გაიმარჯვა. შესაბამისად ამ იდეოლოგიურმა მიმართულებამ დაიკავა წამყვანი და უმნიშვნელოვანესი ადგილი ამ ქვეყნების პოლიტიკურ მეცნიერებაში. რუსეთის უზარმაზარ სივრცეზე კი დიდი ხნით „რკინის ფარდა“ იქნა ჩამოფარებული. გაცილებით უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდა ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკები, ანუ ბოლშევიკური რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნები.

XX საუკუნის 30-იან წლებში ევროპიდან მოხდა მეცნიერთა და მკვლევართა მასობრივი მიგრაცია ამერიკის

შეერთებულ შტატებში, სადაც თავისუფალი აზრის გამოხატვისათვის გაცილებით დიდი ასპარეზი არსებობდა. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა, რომ პირველ და მეორე მსოფლიო ომს შორის პერიოდში აშშ-ში შეიქმნა პოლიტიკური მეცნიერებების, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. პოლიტოლოგიური ცენტრები შეიქმნა აშშ-ს თითქმის ყველა უნივერსიტეტში, მათ შორის ლიდერის ფუნქციები იკისრა ჩიკაგოს სკოლამ, რომლის წამყვანი მეცნიერებები იყვნენ: ჩ. მერიემი, გ. ლასსუელი, გ. გოსნელი. ჩიკაგოს სკოლის დამსახურება ის იყო რომ ისინი კონკრეტულ ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით ჰქმნიდნენ კვლევის მეთოდოლოგიასა და სამეცნიერო ბაზას.

XX საუკუნის II ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის უმნიშვნელოვანეს, საკვანძო საკითხებს, რომელთა შესწავლა პოლიტიკური თეორიების, მეთოდისა და მეთოდოლოგიის ჭრილში აუცილებელია თანამედროვე პოლიტოლოგიური კვლევების გააზრებისა და გაანალიზებისათვის.

წინამდებარე ნაშრომში წარმოჩენილია XX საუკუნის II ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობების ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებმაც გარკვეული გავლენა მოახდინეს ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირებაზე, ხასიათსა და პოლიტიკურ პროცესებზე.

ნვენს მიერ განხილული იქნება ის ძირითადი პროცესები, რომლებიც საერთაშორისო არენაზე მიმდინარეობდა XX საუკუნის II ნახევარში, რომელთა ცოდნა, გააზრება და ანალიზი საშუალებას იძლევა უფრო სიღრმისეულად შევხედოთ დღეგანდელ პოლიტიკურ მოვლენებს, ფაქტებსა და საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე პროცესებს.

წინამდებარე ნაშრომი განკუთვნილია საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის.

თავი I.

საფრანგეთის პოლიტიკის ტრანსფორმაცია ინდ-ჩინეთის ქვეყნების მიმართ XX საუკუნის 50-70-იან წლებში

ინდოჩინეთის ქვეყნები - ვიეტნამი, კამბოჯა და ლაოსი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისიდან საფრანგეთის კოლონიები იყვნენ და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე დარჩნენ ამ ქვეყნის გავლენის სფეროდ[3]. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ და ახალმა მსოფლიო წესრიგმა ინდოჩინეთის ქვეყნებში მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლის შედეგად რეგიონში ახალი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში საფრანგეთის ხელისუფლების მცდელობა შეენარჩუნებინა თავისი გავლენა ამ ქვეყნებში, საბოლოოდ კრახით დასრულდა, რადგან ამ რეგიონში საკუთარი გეოპოლიტიკური, სტრატეგიული და იდეოლოგიური ინტერესების განსახორციელებლად ძალ-ღონეს არ იშურებდა „კომუნისტური ჩინეთი", რომელსაც ზურგს უმაგრებდა ასევე „კომუნისტური რუსეთის იმპერია-საბჭოთა კავშირი". მეორე მსოფლიო ომში დასუსტებულ საფრანგეთს არ შეეძლო წინ აღდგომოდა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მზარდ პოლიტიკურ ინტერესებს, რაც

---

[3] **Керов В.Л.** Французская колонизация островов Индийского океана: XVII–XVIII вв. М., 1990;

საბოლოოდ ინდოჩინეთში კომუნიზმის იდეოლოგიის დანერგვასა და ინდოჩინეთის საკუთარ გეოპლიტიკურ და სტრატეგიულ დასაყრდენად გადაქცევას ისახავდა მიზნად.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული ვიდრე 70-იან წლებამდე საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური კურსი ინდოჩინეთის ქვეყნების მიმართ ევოლუციურად განვითარდა და დიდი ცვლილებები განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებისა და მისი პრეზიდენტის - შარლ დე გოლის[4] ახალი პოლიტიკური კურსი საბოლოოდ მიმართული იყო რეგიონში საფრანგეთის პოლიტიკური გავლენის შენარჩუნებისაკენ, მასში მაინც აისახა ფრანგული პოლიტიკური კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების საოცარი დაწინაურებისა და განვითარების მაღალი დონე. შარლ დე გოლის ეპოქაში ფრანგულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა აზრმა არაერთი მსგავსი პოლიტიკა შვა, რომელმაც ფრანგულ კოლონიებს თავისუფლება და განვითარების დამოუკიდებელი შესაძლებლობა მისცა.[5]

---

[4] **შარლ დე გოლი** – შარლ დე გოლი (1895-1970) საფრანგეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. საფრანგეთის პრეზიდენტი 1958-1969 წლებში

[5] ამის კარგი მაგალითია ალჟირის საკითხი. იხილეთ: **ო. არდაშელია**, ალჟირის კრიზისი და შარლ დე გოლის პოლიტიკა. *ეჭ თაყაშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაციის წლიწდეული* „საისტორიო ძიებანი", № VI, თბ. 2003. გვ. 283-296;

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელმაც შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობები და მნიშვნელოვანწილად შეცვალა მსოფლიო გეოპოლიტიკურ ძალთა ბალანსი. აღნიშნულმა მოვლენებმა დიდი კოლონიური სახელმწიფოები-საფრანგეთი, ინგლისი და სხვები აიძულა კოლონიების მიმართ გაეტარებინათ უფრო მოქნილი და შედარებით ლიბერალური პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ შეენარჩუნებინათ ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური გავლენა ამ ქვეყნებზე. საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ქვეყნების პოლიტიკურ წრეებში კოლონიების მიმართ შემუშავებული იქნა ახლებური პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ ამ ქვეყნებში აქტიურ პოლიტიკურ მოთამაშეებად დარჩენილიყვნენ.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ინდოჩინეთის კოლონიზაციის საკითხს დიდი ადგილი ეკავა საფრანგეთის კოლონიურ პოლიტიკაში, ხოლო მას შემდეგ რაც ეს განხორციელდა, ფრანგული კაპიტალი მაქსიმალურად ცდილობდა ამ ქვეყნების ეკონომიკური რესურსების ათვისებას. რეგიონში საფრანგეთის მიერ გაზრდილი სამრეწველო კაპიტალის სიდიდე ნათლად მიუთითებდა ინდოჩინეთის ქვეყნების მნიშვნელობასა და როლზე სა-

ფრანგეთის ეკონომიკისთვის[6]. მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის დამარცხებამ და ვიშის მთავრობის[7] მოდალატურმა მოქმედებამ საერთაშორისო არენაზე საფრანგეთის პოლიტიკური და მორალური პრესტიჟი შეარყია. ფრანგი პოლიტიკოსებისა და სამხედროების ნაწილმა ლონდონში შექმნა საფრანგეთის წინააღმდეგობის კომიტეტი, რომელიც დევნილი მთავრობის როლს ასრულებდა და რომლის სათავეში გენერალი შარლ დე გოლი იდგა. კოლონიების საკითხი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ფრანგი პოლიტიკოსებისათვის, მითუმეტეს ომის პირობებში, როდესაც დამარცხებული საფრანგეთი კოლონიების რესურსების იმედად დარჩა. შარლ დე გოლს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საფრანგეთის კოლონიური იმპერიის შენარჩუნება „საშუალებას მისცემდა ფრანგებს გაეგრძელებინათ ომი გერმანიის წინააღმდეგ მოკავშირეებთან ერთად, რაც მათი ავტორიტეტის შენარჩუნებისათვის აუცილებელი იყო“– მას ესმოდა, რომ კოლონიებში გავლენის შენარჩუნება მოითხოვდა საფრანგეთის კოლონიების სტატუსის შეცვლას და მათთვის მეტი შიდა ავტონომიის მინიჭებას. შარლ დე გოლის ეს მოსაზრება აის-

---

[6]საყურადღებოა, რომ ინდოჩინეთის ქვეყნებში საფრანგეთის კაპიტალდაბანდებამ მეორე მსოფლიო ომის წინ 10 მილიარდი ფრანკი შეადგინა.

[7]**ვიშის მთავრობა** – საფრანგეთის მთავრობის სახელწოდება მეორე მსოფლიო ომის წლებში. სახელწოდება მიიღო საკურორტო ქალაქ ვიშის სახელის მიხედვით. წარმოადგენდა კოლაბორაციონალისტურ მთავრობას, რომელიც აქტიურად თანაშრომლობდა გერმანელ ოკუპანტებთან.

ახა ბრაზავილის[8] 1944 წლის კონფერენციისა და საფრანგეთის დროებითი მთავრობის დეკლარაციაში 1945 წლის 24 მარტს[9].

მეორე მსოფლიო ომმა დაასუსტა საფრანგეთის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი, რაც ამერიკის შეერთებული შტატებისათვის აღმოჩნდა საბაბი დღის წესრიგში დაეყენებინა საფრანგეთის კოლონიებზე თავისი კონტროლის დამყარების საკითხი. რუზველტის[10] სიტყვებით, რომ ვთქვათ „საფრანგეთის ინდოჩინეთი - ეს ყველაზე ცუდად მართვადი ტერიტორიაა მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში".[11] უფრო მეტიც ქაიროს 1943[12] წლის კონ-

---

[8] **ბრაზავილის კონფერენცია** - ჩატარდა 1944 წლის იანვარ-თებერვალში ბრაზავილში, აფრიკის ფრანგული კოლონიების მონაწილეობით. კონფერენციამ გადაწყვეტილება მიიღო შეცვლილიყო ომის შემდეგ საფრანგეთის ხელისუფლების დამოკიდებულება კოლონიების მიმართ, ანუ მომხდარიყო იმპერიული პოლიტიკის რეფორმირება.

[9] La France d'outre-mer (1930–1960): temoignages d'administrateurs et de magistrates. Paris, 2003; **Арзаканян, М.** Де Голль и реформа государственного устройства Франции // Отечественные записки. - 2004. - № 2. - С. 409 - 417.

[10] **ფრანკლინ დელანო რუზველტი** (1882-1945) – აშშ-ს 32-ე პრეზიდენტი 1933-45 წლებში. დემოკრატიული პარტიიდან. ის ერთადერთი ამერიკელი პრეზიდენტია, რომელიც ორ ვადაზე მეტად იქნა არჩეული პრეზიდენტად. დასახელებულია აშშ-ს სამ უდიდეს პრეზიდენტთა შორის. ითვლება თანამედრ ₹ ოვე ამერიკული ლიბერალიზმის ფუძემდებლად.დიდი დეპრესიის წლებში რუზველტმა შეიმუშავა ახალი პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო უმუშევართა დასაქმება, ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა და რეფორმები ეკონომიკაში. მან შეიმუშავა ქვეყნის უსაფრთხოების ახალი სისტემა, რომელსაც „უოლ სტრიტის რეგულაციას" უწოდებენ. მეორე მსოფლიო ომის დროს „დიდი სამეულის" ერთ- ერთი წევრი.

[11] **Рузвельт Элиот**. Его глазами. М. 1947. с. 78.

ფერენციის დროს რუზველტმა პრივატულ საუბარში ჩან კაი შისთან [13] (ჩინეთის მაშინდელი პრეზიდენტი) განაცხადა, რომ „საფრანგეთი არ მიიღებს უფლებას დაბრუნდეს ინდოჩინეთში". გარდა ამისა იმავე კონფერენციაზე ჩერჩილმა[14] და რუზველტმა ჩან-კაი-შისთან მოილაპარაკეს, რომ ინდოჩინეთი მე-16 პარალელზე გაიყოფოდა ჩინელებსა და ინგლისელებს შორის (მაშინდელი ჩინეთის გომინდანის მთავრობა მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეების მხარეზე გამოდიოდა). მოგვიანებით პოტსდამის 1945 წლის კონფერენციაზე ამერიკელები და ინგლისელები სხვა საკითხებთან ერთად შეთანხმდნენ ინდოჩინეთის გაყოფაზე, მაგრამ ამ გეგმებს ასრულება არ ეწერა, რადგან

---

[12] **ქაიროს 1943 წლის კონფერენცია** – მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის დროს აშშ-ს პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, და ჩინეთის ლიდერი ჩან კაი ში შეხვდნენ ერთმანეთს ქაიროში, ეგვიპტეში, რათა განეხილათ იაპონიის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ღონისძიებები.

[13] **ჩან კაი ში** - 1887-1975 წწ. გომინდანის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კუნძულ ტაივანზე, რომელიც 1949 წელს მაო ძე დუნმა ჩამოაგდო. გენერალისიმუსი გახდა 1928 წელს, რომელიც ჩინეთის გამაერთიანებელი ჩრდილოეთის ლაშქრობისათვის მიიღო.

[14] **უინსტონ ჩერჩილი** – სერ უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილი (1874-1865) – ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, გაერთიანებული სამფოს პრემიერ მინისტრი 1940-1945 წლებსა და 1951-1955 წლებში; მეორე მსოფლიო ომის დროს იყო „დიდი სამეულის" ერთ-ერთი წევრი. 1953 წელს გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში. ჩერჩილი გამოირჩეოდა ორატორიული ხელოვნებით.

ჩრდილოეთ ვიეტნამის ლიდერმა ხო-ში-მინმა[15] 1945 წლის 2 სექტემბერს ვიეტნამი დამოუკიდებელ სახელწიფოდ გამოაცხადა, უფრო ადრე იმავე წლის მარტში კამბოჯამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, ხოლო 12 ოქტომბერს ჩამოგდებული იქნა ლაოსის მეფე, რომელიც ომის დროს იაპონელებთან თანამშრომლობდა. ასე, რომ ინდოჩინეთის ქვეყნებმა კარგად ისარგებლეს იმ პოლიტიკური მომენტით, რომელიც ამ დროს შეიქმნა: მეორე მსოფლიო ომში იაპონელების დამარცხებითა და საფრანგეთის უკიდურესი დასუსტებით.

საფრანგეთის მცდელობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღედგინა თავისი კოლონიური მმართველობა ინდოჩინეთ'ში ომის დამთავრებისთანავე გამოჩნდა, რადგან ფრანგებმა 1945 წლის 6 სექტემბერს სამხრეთ ვიეტნამში სამარი მოქმედებები ქ. საიგონში დაიწყეს (საიგონი სამხრეთ ვიეტნამის ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი იყო), ვიეტნამელების მიერ შექმნილი ადგილობრივი ხელისუფლება დაამხეს და დროებითი რეჟიმი შექმნეს. საფრანგეთის ხელისუფლება აცხადებდა, რომ მათ მიერ განხორციელებული აქციის საბაბი იყო იაპონელების საჯარისო ნაწილების განიარაღება, რომლებიც ჯერ კიდევ

---

[15]**ხო-ში-მინი** (1890 19. 05. – 1969 3. 09.) – ვიეტნამის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. ნამდვილი სახელი და გვარი ნგუენ ტატ თანი. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის (ჩრ. ვიეტნამის) პრეზიდენტი 1946-1969 წლებში. პარალელურად პრემიერ-მინისტრი 1946-1955 წლებში.

იმყოფებოდნენ სამხრეთ ვიეტნამში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თვით საფრანგეთის მმართველ წრეებში არ არსებობდა ერთიანი აზრი ინდოჩინეთის პრობლემების მოსაგვარებლად. მაგალითად, საფრანგეთის წარმომადგენელი ვიეტნამში სენტენი თავის მოხსენებებში მთავრობის წევრების წინაშე პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „საჭიროა მოლაპარაკება ადგილობრივ პოლიტიკურ ძალებთან, რომელთა გარეშეც ვერაფერი ვერ გადაწყდება“ სამწუხაროდ, მისი ეს მოსაზრება მაშინ არ გაიზიარეს. ფაქტობრივად, ვიეტნამის ომის ფრანგული პერიოდი იწყება 1946 წლის 23 ნოემბერს, როდესაც ფრანგებმა ცეცხლი გაუხსნეს ქ. ჰაიფონს და შეეცადნენ მის ხელში ჩაგდებას[16].

როგორც ზემოთ აღნიშნეთ ამ პერიოდის სამხრეთ – აღმოსავლეთ აზიის პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება წარმოუდგენელია ჩინეთის გარეშე, რადგან XX საუკუნის 40-იან წლებში ინდოჩინეთის გეოპოლიტკურ არეალში ჩამოყალიბდა მძლავრი, ახალი ტიპის იდეოლოგიის მატარებელი სახელმწიფო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა,

---

[16]ჯერ კიდევ 1945 წლის ოქტომბერში ინდოჩინეთში ფრანგებმა გადასხეს შეარაღებული ძალები და შეძლეს ლაოსის, კამბოჯისა და სამხრეთ ვიეტნამის დაკავება. ფრანგებმა მოლაპარაკება სცადეს ჩრდილოეთ ვიეტნამის კომუნისტ ლიდერთან ხო ში მინთან და მას გუბერნატორობას დაპირდნენ, მაგრამ ხო ში მინმა უარი განაცხადა. 1946 წელს ფრანგებმა ჩრდილოეთ ვიეტნამის ქალაქ ჰაიფონში დესანტი გადასხეს და აიღეს ჰაიფონი, ჰანოი და სხვა ქალაქები. 1950 წელს ხო ში მინის ხელისუფლება სცნო ჩინეთმა და საბჭოთა კავშირმა, რამაც კიდევ უფრო გაართულა საფრანგეთის მდგომარეობა.

რომელიც საბჭოთა კავშირთან ერთად ცდილობდა თავისი ჰეგემონიის დამყარებას აზიის მთელ კონტინენტზე. სწორედ ამით აიხსნება ამერიკელების ჩარევა ინდოჩინეთის საქმეებში, რადგან ისინი კარგად ხედავდნენ, რომ საფრანგეთს არ ძალუძდა აღდგომოდა წინ იმ საფრთხეს, რომელიც კომუნისტური ჩინეთიდან მოდიოდა. იმ პერიოდის ცნობილი მკვლევარი ა. გროსერი წერდა, რომ „1950 წლიდან ინდოჩინეთის ომი გახდა ელემენტი მსოფლიო დაპირისპირებისა და ამერიკელთა ჩარევა გამოწვეული იყო მათი ანტიკომუნისტური შეხედულებებით.[17]"

34131

1946-1954 წლებში საფრანგეთის სამხედრო – ექსპედიციური კორპუსის მოქმედება ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე სრული კრახით დასრულდა, რადგან არც ფინანსური და არც სამხედრო თვალსაზრისით ფრანგებს არ გააჩნდათ ის რესურსები, რომელიც მათ გამარჯვებამდე მიიყვანდა. ამას დაემატა საფრანგეთში არსებული დაძაბული შიდაპოლიტიკური ვითარება, რომელიც საშუალებას არ აძლევდა მას უფრო აქტიური ღონისძიებები განეხორციელებინა ინდოჩინეთის ქვეყნების მიმართ. 1951 წელს ინდოჩინეთში ფრანგულ არმიას ხელმძღვანელობდა ფრანგი გენერალი **ჟან მარი დე ლატრ დე ტასინი**[18]. მან შექმნა თავდაცვითი ხაზი

---

[17] **Черкасов П. П.** Франция и Индокитай. М. 1976. с. 123.

[18] **ჟან ტასინი** – ჟან ჟოზეფ მარი გაბრიელ დე ლატრ დე ტასინი ფრანგი მხედართმთავარი, არმიის გენერალი. მონაწილეობდა პირველ და მეორე მსოფლიო ომებში, იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ. მაგრამ საფრანგეთის დაკავების შემდეგ, გერმანელებმა დააკავეს და 10 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. 1943 წელს

ბიბლიოთეკა LIBRARY

ჰანოისა და წითელი მდინარის დელტის დასაცავად, მობილური რაზმები პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად და ა.შ. დე ლატრის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ფრანგებს წარმატებები მოუტანა, მაგრამ 1951 წლის შემოდგომაზე ფრანგი გენერალი დაავადდა და ინდოჩინეთი დატოვა. ორი თვის შემდეგ იგი გარდაიცვალა და მისი ადგილი ინდოჩინეთში დაიკავა **რაულ სალანმა**.[19], რომელმაც შეძლო გაემაგრებინა ფრანგული არმიის პოზიციები ინდოჩინეთში. ინდოჩინეთის ომი ფრანგულ საზოგადოებაში ძალზე არაპოპულარული იყო.

აშშ ხედავდა, რომ საფრანგეთი უძლური იყო შეეჩერებინა „კომუნისტური საფრთხე" ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე, სწორედ, ამ მომენტიდან იწყება

ციხიდან გაიქცა და მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. შარლ დე გოლის თანამებრძოლი. იყო პირველი ფრანგული არმიის სულისჩამდგმელი, რომელმაც მოკავშირების არმიებს შორის პირველმა გადალახა რეინი. 1945 წლის 8 მაისს საფრანგეთის სახელით ხელი მოაწერა გერმანიის კაპიტულაციის აქტს. 1952 წელს, სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საფრანგეთის მარშალის ტიტული.

[19]**რაულ სალანი** - რაულ ალბინ ლუი სალანი (1899-1984) – ფრანგი მხედართმთავარი. არმიის გენერალი, მონაწილეობდა პირველ და მეორე მსოფლიო ომებში. ხელმძღვანელობდა ფრანგულ არმიას ინდოჩინეთსა (1952 – 1953 წწ) და ალჟირში. შექმნა იატაკქვეშა ტერორისტული ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო არ დაეშვა ალჟირის ჩამოშორება საფრანგეთისაგან. 1962 წელს გაასამართლეს და ხამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობის ფრანგებს შორის, რომლებმაც მის საპატივცემულოდ „რაულ სალანის მეგობართა ასოციაცია" შექმნეს. იხილეთ: **ო. არდაშელია**, ალჟირის კრიზისი და შარლ დე გოლის პოლიტიკა, წელიწდეული „ისტორიო ძიებანი, თბ. 2003. № 6. გვ. 183-195

ამერიკელების აქტიური ჩარევა ინდოჩინეთის ქვეყნების საქმეებში.

აშშ-ს ჩარევა ინდოჩინეთის ქვეყნების საქმეებში განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით: 1. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდა თვითონ დამკვიდრებულიყო ამ რეგიონში; 2. კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრება ჩინეთში საფრთხეს უქმნიდა აშშ-ს ინტერესებს მთელი წყნარი ოკეანის ქვეყნების აუზში, მათ შორის ინდოჩინეთში; 3. აშშ-ს მიერ ინდოჩინეთის ქვეყნებში აქტიური კონფრონტაციის დაწყება გამოწვეული იყო „კომუნიზმის შეკავების" დოქტრინის[20] შემუშავებით, რომლის თანახმად (ტრუმენისეული დოქტრინა) კომუნიზმის შეკავება უნდა მომხდარიყო მთელი მსოფლიოს მასშტაბით; 4. მსოფლიო ომის შემდეგ აშშ გახდა მეორე სუპერსახელმწიფო, რომელმაც, თავის მოკავშირეებთან ერთად, თავის თავზე აიღო ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის დამყარების პასუხისმგებლობა. ამ ნაბიჯისკენ ამერიკელებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის სახელმწიფოებში შექმნილმა პოლიტიკურმა სურათმა უბიძგა. ისინი ხედავდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომგადახდილ „ძველ" ევროპულ „იმპერიებს" (საფრანგეთი, ინგლისი) თავიანთი ეკონომი-

---

[20] **კომუნიზმის შეკავების დოქტრინა** – ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის წარმმართველი პრინციპი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირისა და მისი იდეოლოგიის გავლენის გავრცელების წინააღმდეგ. 1947 წლის მარტში აშშ-ს პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა *"შეკავების დოქტრინა"* გამოაცხადა.

ური და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უკვე არ შეეძლოთ სუპერსახელმწიფოს როლის თამაში[21].

საფრანგეთის მარცხი ინდოჩინეთში გამოწვეული იყო იმითაც, რომ ფრანგებს, ამერიკელებთან შედარებით, განსხვავებული ხედვა ჰქონდათ ინდოჩინეთის ქვეყნების სტატუსზე. საფრანგეთი მზად იყო მიეცა მათთვის შეზღუდული სუვერენიტეტი ე. წ. ინდოჩინეთის კავშირის შემადგენლობაში,[22] მაშინ როდესაც ამერიკელები მოითხოვდნენ მათთვის სრული სუვერენიტეტის გადაცემას იმ პირობით, რომ ამ ქვეყნებში მოვიდოდნენ პროამერიკულად განწყობილი პოლიტიკური ძალები.

საფრანგეთის მცდელობა სამხედრო მეთოდებით გადაეწყვიტა ინდოჩინეთის საკითხი დიენფიბუში დახამარდა, როდესაც 1954 წლის 7 მაისს ვიეტნამის ჯარებმა სამთვიანი ალყის შემდეგ გენერალ ზიაპის მეთაურობით გაანადგურეს საფრანგეთის ექსპედიციური კორპუსი, რამაც უდიდესი როლი ითამაშა ომის დამთავრებაში[23].

ინდოჩინეთის საკითხი არ იყო მოწყვეტილი იმ პოლიტიკური მოვლენებს, რომლის ეპიცენტრი შორეული აღმოსავლეთი იყო. ინდოჩინეთისა და კორეის 1950-1953

---

[21] **Parker L.K.** French colonies in the Americas. New York, 2003

[22]**ინდოჩინეთის კავშირი** – საფრანგეთის კოლონიების გაერთიანება XX ს დასაწყისში. საფრანგეთის კონსტიტუციის მიხედვით (III–IVრესპუბლიკის პერიოდში) ამ კავშირში შემავალ კოლონიებს ჰქონდათ შინაგანი ავტონომია

[23] Новейшая история Франции. М. 1989. с. 6

წლების მოვლენები ჟენევის 1954 წლის კონფერენციის[24] მსჯელობის საგანი გახდა, სადაც დაინტერესებული მხარეები ცდილობდნენ გადაეწყვიტათ ის საკითხები, რომელიც მსოფლიო საზოგადოებას ინდოჩინეთთან მიმართებაში, აღელვებდა.

ჟენევის კონფერენციაზე მონაწილეობდა დიდი ბრიტანეთის, სსრკ-ს, საფრანგეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებმაც განიხილეს კორეასა და ინდოჩინეთში მშვიდობის საკითხები. კორეის საკითხის განხილვისას კონფერენციაზე აგრეთვე დაშვებული იქნენ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, სამხრეთ კორეა და კორეაში გაეროს ეგიდით ჩატარებული ოპერაციის მონაწილე 12 ქვეყანა. მართალია კორეის საკითხთან დაკავშირებით კონფერენციაზე შეთანხმება არ იქნა მიღებული, მაგრამ შედარებით უფრო წარმატებულად მიმდინარეობდა ინდოჩინეთის საკითხის განხილვა, რომელშიც მონაწილეობის უფლება მიეცათ აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიულ რე-

---

[24] **ჟენევის კონფერენცია** – გაიმართა 1954 წლის 16 აპრილიდან 1954 წლის 21 ივლისის ჩათვლით. აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, სსრკ-ს, საფრანგეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით. მოწვეული იქნა ბერლინის თათბირის გადაწყვეტილების თანახმად, კორეასა და ინდოჩინეთში მშვიდობის საკითხების განსახილველად. კორეის საკითხის განხილვისას კონფერენციაზე დაშვებული იქნა კსდრ, სამხრეთ კორეა და კორეაში გაეროს ეგიდით ჩატარებული ოპერაციის მონაწილე 12 ქვეყანა: ავსტრალია, ახალი ზელანდია, ბელგია, ეთიოპია, თურქეთი, კანადა, კოლუმბია, ლუქსემბურგი, ფილიპინების, ნიდერლანდი, საბერძნეთი, ტაილანდი.

საუბლიკას, სამხრეთ ვიეტნამს, ლაოსს და კამბოჯას. 20-21 ივლისს ხელმოწერილი იქნა შეთანხმებები, რომლებმაც ბოლო მოუღეს ვიეტნამში, ლაოსსა და კამბოჯაში მიმდინარე ომს. ფრანგული დელეგაცია, რომელსაც მენდეს ფრანსი[25] ხელმძღვანელობდა იძულებული გახდა მთელ რიგ დათმობებზე წასულიყო. საფრანგეთმა ვალდებულება აიღო ეცნო ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, ერთიანობა და ტერიტორიული მთლიანობა. ვიეტნამში საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმების თანახმად დაწესდა დროებითი სადერმაკაციო ხაზი მე-17 პარალელის მახლობლად და განსაზღვრული იქნა მეომარ მხარეთა ძალების ამ ხაზიდან გაყვანის ვადები.

ლაოსისა და კამბოჯის თაობაზე ხელმოწერილი ანალოგიური შეთანხმების თანახმად ამ ქვეყნების ტერიტორიები უნდა დაეტოვებინათ საფრანგეთის კავშირის ძალებსა და ვიეტნამელთა შენაერთებს, ხოლო ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის პატეტ-ლაოს წინააღმდეგობის ძალები უნდა გაეყვანათ. ლაოსისა და კამბოჯის

---

[25] **მენდეს ფრანსი** – ფრანგი მემარცხენე – ცენტრისტი. დაიბადა 1907 წლის 11 იანვარს პარიზში, გარდაიცვალა 1982 წლის 18 ოქტომბერს პარიზში. მენდეს ფრანსს ეკავა მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტები მესამე და მეოთხე რესპუბლიკის დროს. იგი იყო რადიკალთა პარტიის წევრი. შესაბამისად, 1954 წელს საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტის ლიდერი გახდა. მან სამშვიდობო ხელშეკრულება ინდოჩინეთთან დადო და დაიწყო პროცესი მაროკოსა და ალჟირის დამოუკიდებლობის ცნობისათვის.

ტერიტორიაზე აიკრძალა სხვა სახელმწიფოთა სამხედრო ბაზების შექმნა, საკუთრივ ეს სახელმწიფოები კი არ უნდა შესულიყვნენ რომელიმე სამხედრო ბლოკში[26].

სამხედრო საკითხების განხილვის გარდა, ჟენევაში მიღწეული იქნა შეთანხმებები ლაოსის, ვიეტნამისა და კამბოჯის პოლიტიკური მოწყობის შესახებ. გადწყდა, რომ 1955 წელს ლაოსსა და კამბოჯაში, ხოლო 1956 წელს ვიეტნამში ჩატარდებოდა საყოველთაო თავისუფალი არჩევნები ინდოჩინეთის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე. ინდოჩინეთის საკითხზე მიღწეული შეთანხმებების პირობების შესრულებაზე კონტროლის გასაწევად ჟენევის კონფერენციაზე შეიქმნა საერთაშორისო კომისია ინდოეთის (თავმჯდომარე), კანადისა და პოლონეთის წარმომადგენლების შემადგენლობით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჟენევის კონფერენციის მიერ მიღებული სამხედრო მუხლები ვიეტნამში საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ განსაზღვრულ დროში განხორციელდა. 1955-1957 წლებში შესრულდა ლაოსისა და კამბოჯის პოლიტიკური მოწყობის საკითხებიც. მაგრამ ვიეტნამში არჩევნების ჩატარება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ქვეყნის შიგნით არსებობდა დიდი პოლიტიკური

---

[26] **Ляхс М.** Женевские соглашения 1954 г. об Индокитае, М. 1956.с.23,24

დაპირისპირება. ვიეტნამი ფაქტობრივად ორ დიდ ბანაკად იქცა. ერთი ბანაკის უკან საბჭოთა კავშირი და ჩინეთი იდგნენ, ხოლო მეორე ბანაკს მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატები.

ფაქტობრივად, ჟენევის შეთანხმებამ საფრანგეთი აიძულა დაეტოვებინა ინდოჩინეთის ნახევარკუნძული, მაგრამ ეს მოვლენა განპირობებული იყო არა მარტო საერთაშორისო ძალების ზემოქმედებით, არამედ საფრანგეთის შიდა პოლიტიკური ვითარებით. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ალჟირმა დაიწყო ბრძოლა საფრანგეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ[27]. ბუნებრივია, საფრანგეთის ხელისუფლებას არც სამხედრო და არც პოლიტიკური რესურსები გააჩნდა ერთდროულად მოეგვარებინა ინდოჩინეთისა და ალჟირის პოლიტიკური კრიზისები.

ჟენევის შეთანხმებით არ დამთავრებულა ინდოჩინეთის საკითხი XX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში. XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს ინდოჩინეთის ქვეყნების ისტორიაში დაიწყო პოლიტიკური ბრძოლის ახალი ეტაპი, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თავისი გეოსტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე „კომუნიზმის შეკავების" დოქტრინის განხორციელება დაიწყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს დოქტრინა ითვალისწინებდა კომუნიზმის საფრთხისაგან დაეცვა ინდო-

[27]აღნიშნულ საკითხზე იხილეთ: **ო. არდაშელია.** ალჟირის კრიზისი და შარლ დე გოლის პოლიტიკა. გვ. 283-295.

ჩინეთის ქვეყნები. აღნიშნული საფრთხე პირველ რიგში მომდინარეობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირისაგან. ჩინეთს, ბუნებრივია, საკუთარი გეოსტრატეგიული ინტერესები გააჩნდა ამ რეგიონში, რასაც თვალნათლივ ხედავდა აშშ-ს დიპლომატია და ცდილობდა წინ აღდგომოდა ჩინეთისა და სსრკს პოლიტიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი ახალი პოლიტიკური ვითარების საფუძველზე საფრანგეთის ხელისუფლებამ გენერალ შარლ დე გოლის ხელმძღვანელობით შეიმუშავა საფრანგეთის ახალი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ძირითადად საფრანგეთის ყოფილი კოლონიების მიმართ განხორციელდა.

საფრანგეთი ნატოს წევრის სახელმწიფო იყო და დამოკიდებული იყო აშშ-ს ფინანსურ დახმარებაზე, იძულებული იყო თავის პოზიციები შეეთანხმებინა აშშ-თვის, რაც შარლ დე გოლის აზრით აკნინებდა საფრანგეთის სუვერენიტეტს და ხდიდა მას მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ ევროპაში. საფრანგეთის წინაშე იდგა მძიმე ეკონომიური საკითხებიც, რაც საშუალებას არ აძლევდა მას აქტიური მოთამაშე ყოფილიყო მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე. ამ ვითარების გათვალისწინებით შარლ დე გოლმა საგარეო პოლიტიკის მთავარი აქცენტი გადაიტანა ე. წ. მესამე

ქვეყნებზე[28]. საფრანგეთის ახალი პოლიტიკა ინდოჩინეთში მისი აზრით უნდა ყოფილიყო მოქნილი და ეფექტური. რა იყო ამ პოლიტიკის ძირითადი აზრი? იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ინდოჩინეთის ქვეყნებს საფრანგეთთან ურთიერთობის ასწლიანი ისტორია ჰქონდათ და ფრანგები კარგად იცნობდნენ იქაურ პოლიტიკურ ვითარებას, საჭირო იყო ინდივიდუალური მიდგომა ყველა პრობლემური საკითხისადმი. საფრანგეთისათვის მნიშვნელოვანი იყო დაენახებინა ყოფილი კოლონიური ქვეყნებისთვის, რომ საფრანგეთის ხელისუფლება ცდილობდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად გადაეწყვიტა ის პოლიტიკური პრობლემები, რომელიც მათთვის აქტუალური იყო. ინდოჩინეთის პრობლემა არ იყო მარტო რომელიმე ერთი სახელმწიფოს, ან ცალკეული სახელმწიფოების პრობლემა, ის იქცა იმ დროისთვის გლობალურ პრობლემად, რომელშიც კონცენტრირებული იყო ყველა ის ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ცვლილებები, რომელიც მოხდა ინდოჩინეთის ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

XX საუკუნის 50-იან წლებში ინდოჩინეთიდან საფრანგეთის წასვლა არ ნიშნავდა იმას, რომ ის არ შეეცდებოდა კვლავ დაბრუნებულიყო ამ რეგიონში. საფრანგეთის

---

[28] ეს იყო საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. **შარლ დე გოლს** ჰქონდა თავისი ხედვა და მიმართულება ევროპული პრობლემებისადმი, რომელიც მან განახორციელა და რომელიც მიზნად ისახავდა საფრანგეთის სუვერენიტეტის ამაღლებას.

მაშინდელი პოლიტიკა გათვლილი იყო ინდოჩინეთის ქვეყ-ნებში შეესუსტებინა აშშ-ის გავლენა, რომელსაც ის მო-ნოპოლიურად განაგებდა 60-იანი წლების დასაწყისიდან. როდესაც შარლ დე გოლს აშშ-ს პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ[29] 1961 წელს ვაშინგტონში შეხვედრისას გაანდო, რომ ამერიკელები იწყებდნენ ფართომასშტაბიან სამხედრო მოქმედებას ვიეტნამში მას უპასუხა, რომ თქვენი ასეთი მო-ქმედება არაფერს არ მოიტანს, რადგან შეუძლებელია გად-ვიძებული ერების შეკავება რომლებიც იბრძვიან დამოუკი-დებლობისათვის...[30].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფრანგეთის ახალი პოლიტიკა ინდოჩინეთში გამოიხატებოდა მის „ნეიტრა-ლიზციაში", ანუ მისგან იმ ქვეყნების ჩამოშორებას, რომ-ლებიც სამომავლოდ არ გახდებოდნენ ახალი პოლიტიკური პრობლემის მიზეზი[31]. საფრანგეთის პოლიტიკის ახალი ხედვა ინდოჩინეთისადმი შარლ დე გოლმა ჩამოაყალიბა ვიეტნამის პრეზიდენტის ხო-ში-მინისადმი გაგზავნილ წერ-ილში და 1966 წლის 13 აპრილს ლაოსის მეფესთან შეხ-ვედრის დროს პარიზში. ვიეტნამის გაერთიანების შემდეგ დე გოლი აქცენტს აკეთებდა მის ნეიტრალურ სახელმწი-

---

[29] **ჯონ ფიცჯერალდ კენედი** - დაიბადა 1917 წლის 29 მაისს გარდაიცვალა 1963 წლის 22 ნოემბერს. აშშ-ს 35-ე პრეზიდენტი 1961-1963 წლებში. აშშ-ს ყველაზე ახალგაზრდა და ერთადერთი კათოლიკე პრეზიდენტი.

[30] **Голль Шарль Де** . мемуары М. 1972. с.

[31] ჩვენი აზრით ასეთი ხედვა ცოტა არ იყოს იდეალისტური იყო, მაგრამ იმ დროისთვის საკმაოდ ნოვატორული, რომელმაც დადებითი როლი ითამაშა ვიეტნამის ომის დამთავრებაში.

ფოდ გამოცხადებაზე და საერთოდ ინდოჩინეთის ქვეყნების ნეიტრალიტეტზე (პრობლემის არსიც სწორედ ამაში იყო, რომ იმ შემთხვევაში თუ აშშ წაიდოდა ინდოჩინეთიდან ვინ შეავსებდა ამ ვაკუუმს? რა იდეოლოგიის და პოლიტიკური კურსის მატარებლები იქნებოდნენ ეს ქვეყნები? და ა.შ. ანუ არსებობდა დიდი საფრთხე, რომ ეს ვაკუუმი „კომუნისტურ" ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს ამოევსოთ). საფრანგეთი ამ საკითხების გადაწყვეტაში აქტიური შუამავალის როლს კისრულობდა. ერთის მხრივ ასეთი ამპლუა საშუალებას აძლევდა უფრო აქტიური გამხდარიყო მისი როლი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებაში და მეორე მხრივ რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო შეემცირებინა გავლენიანი სახელწიფოების როლი[32]. იმისათვის რომ საფრანგეთს შეესრულებინა თავისი მისია კონფლიქტის მოგვარების საქმეში საჭირო იყო აქტიური პოზიცია, რომელიც გამოიხატებოდა აშშ-ს კრიტიკით, რაც ბუნებრივია არ მოსწონდათ ამერიკელებს. 60-იანი წლების ბოლოს ნათელი გახდა, რომ აშშ ვერ შეინარჩუნებდა თავის პოზიციას ინდოჩინეთში და რომ მასაც სჭირდებოდა შუამავალი დიპლომატიური ზონდაჟისთვის დაინტერესებულ მხარეებთან (პირველ რიგში ჩრდილოეთ ვიეტნამთან) თუ ადრე ამერიკის შეერთებულ შტატებში საფრანგეთის აკ-

---

[32] ინდოჩინეთის ქვეყნებიდან ორი მონარქია იყო კამბოჯა და ლაოსი, რომლებიც საფრანგეთს ადიქვამდნენ, როგორ მოკავშირეს პრობლემის მოგვარების საქმეში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საფრანგეთს იმ დროისთვის თავისი ეკონომიკური ინტერესები გააჩნდა ამ ქვეყნებში.

რიტიკებდნენ ინდოჩინეთში მისი პოლიტიკის გამო (40-50-იანი წლები), ახლა უკვე საფრანგეთი იყო ამ ამპლუაში. საფრანგეთის ასეთმა პოზიციამ გაზარდა მისი ავტორიტეტი კონფლიქტის მოგვარების საქმეში და კრიზისის სრულფასოვანი მონაწილე გახდა.

შარლ დე გოლის გადადგომის შემდეგ, საფრანგეთის მომდევნო პრეზიდენტებმა ჟორჟ პომპიდუმ და ჟისკარ დე სტენმა შეინარჩუნეს შარლ დე გოლის მიერ შემუშავებული პოლიტიკა საფრანგეთის ყოფილი მეტროპოლიების მიმართ, მაგრამ ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე აშშ-ს კრიტიკა ნაკლები ინტენსივობით გამოირჩეოდა, თუმცა ეს გასაგებიც იყო. ნიქსონის ახალი პოლიტიკა ითვალისწინებდა აშშ-ს ვიეტნამიდან წასვლას, რაც გამოწვეული იყო მისი არაპოპულარობით ამ რეგიონში. ასეთ შემთხვევაში საფრანგეთმა თავის თავზე აიღო არამარტო ინდოჩინეთის ქვეყნებთან, არამედ ჩინეთთან ურთიერთობების მოწესრიგება, რათა მოემზადებინა ნიადაგი აშშ-ჩინეთის ურთიერთობების აღდგენისათვის, რომელიც საბოლოოდ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენით დასრულდა.

საფრანგეთის შუამავლობამ თავის ნაყოფი გამოიღო და მიღწეული იქნა კომპრომისული ფორმულა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ვიეტნამში. ხელშეკრულება დაიდო 1973 წლის 27 იანვარს პარიზში. მაშინდელი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შუმანის თქმით: ეს საფრანგეთისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან კონ-

ფლიქტის მოგვარების საქმეში გარკვეული წვლილი საფრანგეთსაც მიუძღვის"[33]. პარიზის ხელშეკრულებამ ფრანგულ დიპლომატიას საბოლოოდ გაუხსნა ხელ-ფეხი ინდოჩინეთის რეგიონში. პირველი რაც გააკეთა საფრანგეთმა იყო დიპლომატიური ურთიერთობების სრული აღდგენა ჩრდილოეთ ვიეტნამთან და სამხრეთ ვიეტნამთან. დამყარდა კონტაქტები სამხრეთ ვიეტნამში მოქმედ პარტიზანულ მოძრაობასთან (რომლის უკან ჩრდილოეთ ვიეტნამი იდგა). სამხრეთ ვიეტნამის საკითხი მნიშვნელოვანი იყო ფრანგებისთვის, რადგან ფრანგებს სწორედ აქ ჰქონდათ ყველაზე მეტი ეკონომიური ინტერესები. პარიზის შეთანხმება სცნობდა ორივე ვიეტნამის არსებობას (ეს აშშ მოთხოვნა იყო), მაგრამ რანდენად იყო საიგონის რეჟიმი მყარი ეს მხოლოდ დროის საქმე იყო. ორი წლის შემდეგ, 1975 წელს, საიგონი დაეცა და ვიეტნამი გაერთიანდა. ერთის მხრივ, ეს იყო ქვეყნის განვითარების კანონზომიერება, რაც ვიეტნამში მიმდინარე 30 წლიან ომს უნდა მოჰყოლოდა. ხოლო მეორე მხრივ სამრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში აშშ-ს გავლენა საგრძნობლად შესუსტდა. აღნიშნული მოვლენების საფუძველზე, საფრანგეთმა შეძლო გარკვეული გავლენის შენარჩუნება ინდოჩინეთის ქვეყნებში, რაც შარლ დე გოლის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის ნაყოფი იყო.

ამრიგად, საფრანგეთის პოლიტიკა ინდოჩინეთის ქვეყნების მიმართ XX საუკუნის 50-70-იან წლებში ცვალებადი და ევოლუციური ხასიათისა იყო. თუ მეორე მსოფ-

[33] ციტ. აღებულია: www. francaices.doc.org

ლიო ომამდე და მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს ფრანგული პოლიტიკა მკაცრი და დაუნდობელი იყო თავისი კოლონიების მიმართ ინდოჩინეთის ქვეყნებში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთმა ვერ შეძლო თავისი პოლიტიკური გავლენის შენარჩუნება ამ რეგიონში, რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყო სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში სხვა ქვეყნების გეოსტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებითა და თავად საფრანგეთის დასუსტებით. ფაქტობრივად მეორე მსოფლიო ომიდან საფრანგეთი პოლიტიკურად და სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით დასუსტებული გამოვიდა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია მას საშუალება არ ჰქონდა შეენარჩუნებინა თავისი გავლენა ყოფილ კოლონიებში. ამას ზედ დაემატა საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და აშშ-ს ინტერესები რეგიონში და ბრძოლა აშშ-სა და ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ალიანსს შორის რეგიონში გაბატონებისათვის.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კერძოდ, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში, საფრანგეთი იძულებული გახდა უკან დაეხია და დათანხმებულიყო ჟენევის შეთანხმებებს, რის შედეგად რეგიონი მთლიანად აშშ-ს გავლენის სფეროდ დარჩა. თუმცა ჩინეთი და საბჭოთა კავშირი კვლავ ცდილობდნენ თავიანთი ინტერესების შენარჩუნებას ამ ქვეყნებში.

XX საუკუნის 60-იან წლებში ვიეტნამში განვითარებულმა მოვლენებმა აშშ აიძულა წამოსულიყო ვიეტნამიდან, რაც საფუძველი გახდა საფრანგეთის ახალი საგა-

რეო პოლიტიკური კურსის გატარებისა საერთაშორისო ურთიერთობებში და კერძოდ, ინდოჩინეთის ქვეყნების მიმართ. ეს პოლიტიკური კურსი ძირითადად ითვალისწინებდა ახლებურ მიდგომას ამ ქვეყნების მიმართ, მათი პოლიტიკური სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისადმი პატივისცემის ხაზგასმასა და პოლიტიკური „ნეიტრალიზაციის" საკითხს.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში საფრანგეთმა თავისი ახალი პოლიტიკური კურსის წყალობით შეძლო თავისი ავტორიტეტი აღედგინა საერთაშორისო ურთიერთობებში და გარეგნული პოლიტიკური გავლენის ფონი შეინარჩუნა ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზეც.

თავი II

ტაივანის პრობლემა - პოლიტიკური პარალელები[34]

კუნძული ტაივანი[35] (ფორმოზა) თავისი ისტორიული წარსულით კონტინენტალური ჩინეთის ნაწილია. მისი დღევანდელი პოლიტიკური სტატუსი საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს, რადგან ამ რეგიონის უახლესი ისტორია დაკავშირებულია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებთან, რის შედეგად რადიკალურად შეიცვალა ტაივანის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა.

ბოლო დროს 15 წლის მანძილზე საქართველოს ისტორიული მხარეების - აფხაზეთის და ცხინვალის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა გარკვეული ასოციაციები გამოიწვია ტაივანის პოლიტიკურ და სამართლებრივ სტატუსთან. გარკვეული პოლიტიკური წრეები კარგა ხანია ალაპარაკდნენ აფხაზეთთან მიმართებაში ტაივანის მოდელის გამოყენებაზე, რომელმაც საშუალება უნდა მისცეს რუსეთს

---

[34] მოხსენება წაკითხულია 2008 წლის 6 ივნისს ხოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კონფერენციაზე. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა შეცვალა დამოკიდებულება საკითხისადმი და დამოუკიდებელ?!!! სახელმწიფოებად ცნო საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული ტერიტორიები – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (ე.წ. სამხრეთ ოსეთი).

[35] ტაივანი მდებარეობს წყნარ ოკეანეში ჩინეთის აღმოსავლეთ ნაპირთან და გამოყოფილია მისგან ტაივანის სრუტით. ფართობი 36 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა – 23 მილიონი. დედაქალაქი ქ. ტაიბეი

პირდაპირი კონტროლი დააწესოს საქართველოს ამ ისტორიულ რეგიონზე. როდესაც რუსეთის პოლიტიკურმა წრეებმა ეს იდეა წამოსწიეს, ექსპერტთა ერთმა ნაწილმა მაშინვე გამოთქვა მოსაზრება, რომ საკითხის ასე დაყენება არასწორია. რადგან ტაივანის ისტორიულ წარსულს, დღევანდელ მის სტატუსსა და აფხაზეთის პრობლემას ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ აქვს, გარდა მოჩვენებითი მსგავსებისა.

აფხაზეთისა და ცხინვალის საკითხის გააქტიურება რუსეთის მხრიდან გამოწვეულია საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივით, რაც მოსკოვის დიდ გაღიზიანებას იწვევს. რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და ქმედითი ბერკეტი სწორედ ამ რეგიონების საკითხია, რომლის შეერთება თუ არა, მათზე პირდაპირი პროტექტორატის დამყარების მცდელობა დიდი ხანია რუსული პოლიტიკური წრეების ოცნებას წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც არის, რომ კრემლი ცდილობს XX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში მოიძიოს ისეთი პრეცენდენტები, რომელიც დაეხმარება თავისი პროტექტორატი დაამყაროს საქართველოს ამ ორ ისტორიულ რეგიონზე. ასეთ ვითარებაში წამოიწია ტაივანის მოდელმა, რომლის საშუალებითაც რუსეთი შეეცდება გაამართლოს თავისი პოლიტიკური

და სამხედრო ნაბიჯები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში[36]. პარალელურად, აღნიშნული მოდელი მას დაეხმარება საქართველოზე მოახდინოს პირდაპირი გავლენა, რათა იყოლიოს იგი მუდმივი ზეწოლის ქვეშ.

რუსეთი სარგებლობს ბუნდოვანი სამართლებრივი სტატუსის მქონე ქვეყნების (მათ რიცხვს მიეკუთვნება ტაივანი, ჩრდილოეთ კვიპროსი, კოსოვო) არსებობით და ცდილობს მსგავსი მოდელი გააერცელოს მისთვის საინტერესო რეგიონებზეც. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთი ქვეყნები არის ცივი ომის რელიქტი, რომელმაც განაპირობა ამ პოლიტიკური წარმონაქმნების არსებობა. ასეთი ქვეყნების სამართლებრივ სტატუსს საერთაშორისო თანამეგობრობა სკეპტიკურად უყურებს, რადგან ადრე თუ გვიან ისინი ამა თუ იმ პოლიტიკური სტატუსით ძირითადი პოლიტიკური სუბიექტების (კონტინენტალური ჩინეთი, სამხრეთ კვიპროსი, სერბია) ნაწილი გახდებიან და დღის წესრიგიდან მოიხსნება მსგავსი პრობლემები.

მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს რუსეთს სურს რაღაც დროის განმავლობაში შეინარჩუნოს კონტროლი საქართველოს ამ რეგიონებზე, რადგან მისი ხელიდან გაშ-

---

[36]2008 წლის მაისში უკრაინის მთავრობამ გამოაცხადა, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა 2017 წელს უნდა დატოვოს სევასტოპოლი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს რუსეთის ინტერესს აფხაზეთის შავი ზღვის 250 კილომეტრიანი ზოლის მიმართ, რადგან სევასტოპოლის დაკარგვის შემთხვევაში ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, კარგავს კონტროლს შავ ზღვაზე. ეს კი იქნება ერთგვარი კომპენსაცია რუსეთისთვის.

ვება საბოლოოდ დააკარგვინებს ზემოქმედების საშუალებას ჩვენს ქვეყანაზე და სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე.

ტაივანის პრობლემის წარმოშობა გამოწვეული იყო, ერთი მხრივ პოლიტიკური იდეოლოგიით, ხოლო მეორე მხრივ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ტაივანის პრობლემა ორ ქვეყანას შორის ყოველთვის იყო დინამიური პროცესი, რომელიც დამოკიდებული იყო აშშ-სა და ჩინეთის საგარეო პოლიტიკის კურსთან XX საუკუნის 50-90-იან წლებში. ჩინეთის ეკონომიურმა რეფორმებმა და მისმა გადაქცევამ წამყვან განვითარებულ სახელმწიფოდ ერთმანეთს დაუახლოვა აშშ და ჩინეთი, რამაც კიდევ უფრო დიდი ბიძგი მისცა ტაივანისა და ჩინეთის დიალოგს მომავალი გაერთიანების საკითხებზე. აფხაზეთის საკითხს ტაივანის პრობლემასთან მართლაც მოჩვენებითი მსგავსება ახასიათებს, რადგან ორივე პრობლემა განსხვავებულ ისტორიულ პირობებსა და პოლიტიკურ სიტუაციაში წარმოიშვა. ისტორიული ფაქტების, პოლიტიკური მოვლენების და დოკუმენტური მასალების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ეს მომენტები განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს. რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ყველა პოლიტიკურ პრობლემას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალურობა გააჩნია.

ვინაიდან ტაივანის და აფხაზეთის პრობლემატიკა სხვადასხვა პოლიტიკურ გარემოებებში წარმოიშვა, მათ დიამეტრალურად განსხვავებული იდეოლოგიური და პოლიტიკური საფუძველი გააჩნია. კერძოდ, თუ ტაივანის მმართველი წრეები არ სცობდნენ ჩინეთის კომუნისტურ რეჟიმს და ტაივანს მიიჩნევდნენ, როგორც ჩინეთის ლეგიტიმური მთავრობისაგან დროებით თავშესაფარს. ამავე დროს ტაივანის ხელისუფლება მაშინდელი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ნაწილობრივ აღიარებული იყო. რაც შეეხება აფხაზეთის პრობლემას იგი საბჭოთა კავშირის ე. წ. „ნაციონალური პოლიტიკის" შედეგად წარმოიშვა. აღნიშნული პოლიტიკა სრულიად მოწყვეტილი იყო ისტორიულ წარსულს და თანამედროვე რეალიებს. ტაივანის მართველი წრეები თავიანთ პოლიტიკურ განცხადებებში ხაზს უსვამდნენ, რომ ტაივანი არის ჩინეთის განუყოფელი ნაწილი და მისი გამოყოფა არის დროებითი მოვლენა გამოწვეული პოლიტიკური და იდეოლოგიური შეუთავსებლობით. აფხაზური (აფსუა) სეპარატისტული ძალები პირიქით აცხადებენ, რომ აფხაზეთი არ არის საქართველოს ნაწილი და იგი წარმოადგენს ცალკე ისტორიის მქონე ქვეყანას, რომელსაც ლამის 12 საუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ისტორია აქვს!!!. აფხაზი პოლიტიკოსების აზრით, აფხაზეთის პოლიტიკური მომავალი დაკავშირებულია მხოლოდ რუსეთთან, რომელმაც პრესპექტივაში უნდა მოახდინოს მისი ჩართვა რუსულ სახელმწიფოე-

ბრივ სივრცეში, ხოლო დამოუკიდებლობა წარმოდგენილი უნდა იყოს მისი ავტონომიით. აქედან გამომდინარე, საუბარი ტაივანის მოდელზე აფხაზეთსა და რუსეთს შორის სრულიად მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, რადგან განსხვავებულია კონლიქტის წარმოშობის, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე ისტორიული რეალიები.

ტაივანის პრობლემა მოყოლებული XX საუკუნის 40 – იანი წლებიდან საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა ყურადღების ცენტრში იყო. ეს გამოწვეული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის გავლენის სფეროებისათვის ბრძოლით. ჩინეთის ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლის შემდეგ ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. იმავე პერიოდში კომუნისტური რეჟიმები ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის წამყვანი ქვეყნების მცდელობა მიმართული იყო როგორმე შეეკავებინათ კომუნისტური იდეოლოგიის სწრაფი ექსპორტი და გავრცელება.[37]

---

[37] აღნიშნული მოვლენა ნაწილობრივ გამოწვეული იყო მეორე მსოფლიო ომში გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე საბჭოთის გამარჯვებით, რამაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კომუნისტური იდეოლოგიის მიმართ ეიფორიული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

ამ ნიადაგზე, XX საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ში ჩამოყალიბდა „კომუნიზმის შეკავების“ სამხედრო პოლიტიკური დოქტრინა[38], რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის ოდეოლოგიური გავლენის გავრცელების წინააღმდეგ. ამ დროს სამხედრო კონფრონტაციას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი ჰქონდა. საკითხის შესწავლისას ჩვენ შევეცადეთ ტაივანის ისტორიაზე, მის პოლიტიკურ კურსზე მოგვეპოვებინა გარკვეული ხასიათის მასალები, რომელიც ნათელს მოჰფენდა, ერთი მხრივ აშშ-სა და ჩინეთის დამოკიდებულებას ტაივანის პრობლემისადმი, ხოლო მეორე მხრივ, თვით ტაივანის პოლიტიკური წრეების დამოკიდებულბას იმ პრობლემებისადმი, რომელიც ამ ნახევრად აღიარებული ქვეყნის წინაშე იდგა. ტაივანისა და აფხაზეთის პრობლემატიკის შესახებ ჩვენს მიერ დამუშავებული ლიტერატურა დავყავით რამდენიმე ჯგუფად: *1.საცნობარო, 2. დოკუმენტური, 3. მემუარული, 4. კვლევითი.*

საცნობარო ლიტერატურა წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ბუკლეტებითა და ინტერნეტ მასალებით, სადაც უმეტესწილად მოცემულია სტატისტიკური და ეკონომიური ხასიათის მასალები, რომლებმაც ზოგადი სახის წარმოდგენა მოგვცა ტაივანის ისტორიაზე, მის ეკონომიკასა და გეო-

---

[38] ამ იდეის ავტორი რეალურად იყო ინგლისის პრემიერი **უინსტონ ჩერჩილი,** მაგრამ პოლიტიკურად იგი აშშ-ს პრეზიდენტის **ჰარი ტრუმენს** მიერ იქნა განხორციელებული და მას სამხედრო პოლიტიკური დოქტრინის სახე მისცა.

პოლიტიკურ მდგომარეობაზე. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე საშუალება მოგვეცა გავცნობოდით ტაივანის, ამ კუნძულოვანი ქვეყნის, უახლოეს წარსულსა და დღევანდელობას.[39]

ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო დოკუმენტური ხასიათის ლიტერატურის შესწავლა, რომელიც განთავსებულია სხვადასხვა ინტერნეტ საიტებზე და და სხვადასხვა ავტორების გამოკვლევებში. განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი ასეთი სახის დოკუმენტაცია საიტზე Taivan Documents Project[40], სადაც წარმოდგენელია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომელიც შეეხება ტაივანის ისტორიის სხვადასხვა ეტაპებს დაწყებული ჩინეთსა და იაპონიას შორის დადებული *სიმონოსეკის* (1895 წ) ხელშეკრულებით, *ქაიროსა* (1943წ) და *პოტსდამის* (1945წ) დეკლარაციებითა და დამთავრებული ტაივანის კონსტიტუციით. აქ დიდ ყურადღება ეთმობა აშშ - ტაივანის 1954 წლის ხელშეკრულებას, რომელიც ტაივანის პრობლემას სხვადასხვა კუთხით შეეხო.

საინტერესოა ცალკეული ამერიკელი პოლიტიკოსების შეხედულებები, რომელთა შეფასება ეხება არამარტო ტაივანისა და ჩინეთის პრობლემატიკას, არამედ მაშინდელი

---

[39] ქართულ ენაზე ჩვენს მიერ მოძიებული იქნა მხოლოდ ერთი ბროშურა, რომელიც გამოცემულია 1998 წელს.. უმეტეს წილად ზოგადი ცნობების მოსაპოვებლად ვეყრდნობით ინტერნეტ გამოცემას www. vikipedia. net. www. taivan com. www. taivan org.

[40] http/ nevtaiwan. virtualave. net

საერთაშორისო ურთიერთობების ურთულეს და უმნიშვნელოვანეს საკითხებსაც.[41] განსაკუთრებული ინტერესით მოვეკიდეთ იმ მეცნიერული სახის გამოკვლევებს, რომლებიც ბოლო 30 წლის განმავლობაში გამოვიდა, მათში სხვადასხვა კუთხით არის შეფასებული ტაივანის პრობლემის იმდროინდელი და დღევანდელი მდგომარეობა.[42] ძალიან ბევრი ავტორი ტაივანის პრობლემას განიხილავს ჩინეთ-აშშ-ს ურთიერთობების კონტექსტში, რაც უფრო ფართოს ხდის კვლევის არეალს. მართალია, ჩვენი მიზანი არ იყო წარმოგვედგინა ტაივანის გარშემო არსებული ყველა შეფასება, მაგრამ ჩვენს მიერ გამოყენებული ლიტერატურა ხაზს უსვამს და კიდევ ერთხელ მიუთითებს ტაივანის საკითხის სიმძიმესა და მასშტაბურობაზე მაშინდელ საერთაშორისო ურთიერთობებში. რაც შეეხება თემის კონტექსტში აფხაზეთის პრობლემის წარმოჩენას, ჩვენ ვეყრდნობით, როგორც ქართველი, ასევე აფხაზი და სხვა

---

[41] **Truman H.** Years of trial and hope. Garden City, New York 1956. **Kissinger H.** White House years. Boston: Little Brown and Company, 1979; **Kerr G.** Formosa betrayed. Boston: Houghton Mifflin, 1965

[42] **Барышников В.Н.,** Гончаров С.Н. К вопросу о воссоединении Тайваня с КНР // Проблемы Дальнего Востока,1984,№3. С. 76-87; **Васильев Н.В., Мироненков Е.Г.** Тайваньский фактор в американо-китайских отношениях // Проблемы Дальнего Востока, 1985, №2. С. 58-64; **Петухов В.** США против воссоединения Тайваня с КНР // Азия и Африка сегодня, 1988; **Цветков И. А.** Политика США по отношению к таиванской проблеме 1949-1999 М. 2000. **Tucker N.** Taiwan, Hong Kong, and the United States, 1945-1992 : uncertain friendships. New York : Maxwell Macmillan International, 1994 da ა.შ

ავტორების შეფასებებს[43]. რომელიც ფაქტოლოგიურ მასალასთან ერთად საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს შევუდაროთ ტაივანისა და აფხაზეთის პრობლემატიკა და გამოვიტანოთ დასკვნა, შეიძლება თუ არა ეს ორი ურთულესი საკითხი ერთნაირ პოლიტიკურ ჭრილში გადაიჭრას.

აღნიშნილი საკითხი შეიძლება განვიხილოთ პოლიტიკური რელიზმის თეორიის ჭრილში, რომელიც ფაქტობრივად დომინანტურ თეორიას წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებში. მასში გამოყოფენ ორ მიმდინარეობას თავდაცვით და თავდასხმით რეალიზმს, რომელიც თავისთავად არის საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურული თეორია[44]. თავდაცვითი რეალიზმის შემთხვევაში სახელმწიფოთა მთავარი მიზანია ძალის შენარჩუნება და არა გაზრდა, ხოლო თავდასხმითი რეალიზმი პირიქით საპირისპიროს ამტკიცებს, რომ არ არსებობს სტატუს-კვო სახელმწიფოები. უმეტესწილად ამ თეორიებს თავდასხმისა და თავდაცვის ბალანსსაც უწოდებენ.

აქედან ტაივანისა და აფხაზეთის საკითხის ერთიან პოლიტიკურ ჭრილში გააზრება, რომ არ შეიძლება ამაზე ისიც მიუთითებს, რომ აღნიშნულ საკითხები არ შეიძლება

---

[43] აფხაზეთის ლაბირინთი, ავტორთა კოლექტივი, თბ. 1999, **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები აფხაზეთის ისტორიიდან ტ.I–II. თბ 2007. _ აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში თბ. 2000. გაეროს რეზოლუციები აფხაზეთის საკითხზე. გვ. 24 საათი .. **С. Лакоба,** Очерки политической истории Абхазии. сух. 1990. **В. Хагба,** Агрессия Грузии и международное право. Сух. 1995.

[44]

ერთი და იგივე პოლიტიკური თეორიის საშუალებით განვიხილოთ.

ტაივანის პრობლემატიკას შეიძლება მივუსადაგოთ თავდაცვითი პოლიტიკური თეორია, რადგან იგი თავს იცავდა ჩინეთის კომუნისტური რეჟიმის იდეოლოგიური და სამხედრო ზეწოლისაგან და ამავე დროს თავადაც ცდილობდა აშშ-ს დახმარებით გავლენა მოეხდინა ჩინეთის პოლიტიკურ რეჟიმზე.

აფხაზეთის პრობლემატიკა თავდასხმითი პოლიტიკური თეორიის ჭრილში უნდა განვიხილოთ, რადგან რუსეთის მხრიდან აფხაზეთის საკითხის მოხერხებული გამოყენებით აშკარად ჩანს სამხედრო და პოლიტიკური ზეწოლის მექანიზმების გამოყენება საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ.[45]

ტაივანის პრობლემა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და აშშ-ის პოლიტიკაში. საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგში ტაივანის პრობლემა პირველად ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ 1894 წელს დადგა. აღნიშნული ომის დამთავრების შემდეგ 1895 წლის სიმონოსეკის ხელშეკრულების თანახმად ტაივანი უვადო სარგებლობაში იაპონიას გადაეცა.[46] მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის დროს ჩინეთის მთავრობამ ტაივანის, როგორც მისი სახ-

---

[45] 2008 წლის აგვისტოს ომმა ცხადყო, რომ რუსეთმა რეალურად განახორციელა თავისი მიზანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისათვის.

[46] . http/ nevtaiwan. virtualave. net

ელმწიფოს განუყოფელი ნაწილის უკან დაბრუნების საკითხი დააყენა. ეს მოთხოვნები აისახა კიდეც ქაიროს 1943 წლის და პოტსდამის 1945 წლის კონფერენციების დეკლარაციებში.[47] 1945 წელს ჩინეთიდან იაპონელების განდევნის შემდეგ ქვეყანაში შიდაპოლიტიკური სიტუაცია გამწვავდა, რაც გამოწვეული იყო შიდაპოლიტიკური დაპირისპირებით ჩან კაი შის გომინდანის მთავრობასა და მაო ძე დუნის[48] კომუნისტურ ძალებს შორის. ეს დაპირისპირება გადაიზარდა სამოქალაქო ომში (1945-1949წწ), რომელიც კუნძულ ტაივანზე გომინდანის მთავრობის გაქცევით დასრულდა და რომელიც ჩან კაი შის აზრით, უნდა ყოფილიყო კომუნისტური ძალების შეკავების ბოლო ზღვარი ჩინეთის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ჩან კაი ში მიიჩნევდა, რომ სწორედ ის და მისი მომხრეები წარმოადგენდნენ ჩინეთის ლეგიტიმურ მთავრობას საერთაშორისო თანამეგობრობაში და რომ მაო ძე დუნის კომუნისტურმა ძალებმა მოახდინეს ხელისუფლების ძალადობრივი გზით ჩაგდება და უზურპაცია საბჭოთა კავშირის დახმარებით. იმ პერიოდში ყველას მიაჩნდა, რომ ტაივანის პრობლემა რამდენიმე წელში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასარგებლოდ გადაწყდებოდა და რომ ჩან –კაი - ში

---

[47] ჩინეთის მიერ ტაივანის მოთხოვნის დაბრუნება მის სახელმწიფოებრივ სივრცეში ეფუძნებოდა ატლანტიკური ქარტიის (1941) დეკლარაციას, რომლის მიხედვით მოკავშირეები აღუოქვამდენენ ყველა დამარცხებულ სახელმწიფოს მთავრობებს მათი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენას მათ ისტორიულ ტერიტორიაზე გამარჯვების შემდეგ.

[48] **მაო ძე დუნი** – ჩინეთის კომუნისტური მმართველი

ვერ შეძლებდა ტაივანის შენარჩუნებას, მაგრამ მოხდა პირიქით. რისი მიზეზიც იყო მაშინდელ საერთაშორისო ურთიერთოებებში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები:

1. ცივი ომის დაწყება აშშ-სა და კომუნისტური ბლოკის ქვეყნებს შორის;

2. კორეის კონფლიქტი 1950-1954 წლებში;

3. პარი ტრუმენის ანტიკომუნისტური კურსი და კომუნიზმის შეკავების დოქტრინა;

4. აშშ-ს მიერ ტაივანისდამი, როგორც სტარატეგიული მნიშვნელობის მქონე პუნქტისათვის გაზრდილი ყურადღება მეორე მსოფლიო ომის დროს;

5. დიდი ხნის პოლიტიკური ურთიერთობა გომინდანის რეჟიმსა და აშშ-ს პოლიტიკურ წრეებს შორის[49].

კორეის ომმა კიდევ უფრო გაზარდა აშშ-ის ინტერესი ამ კუნძულის მიმართ, რაც გამოიხატა ორ ქვეყანას შორის დადებული 1954 წლის ხელშეკრულებაში, რომელშიც აშშ ვალდებულებას იღებდა დაეცვა ტაივანი კონტინენტალური ჩინეთის აგრესიისაგან.[50] რა თქმა უნდა, აშშ-ს კარგად ესმოდა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისადმი დამოკიდებულება (დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა

---

[49]**Мироненков Е.Г.** Тайваньский фактор в американо-китайских отношениях // Проблемы Дальнего Востока.. №2. С. 58-64; **Цветков И. А** Политика США по отношению к тайванской проблеме 1949-1999 ст.7. **Tucker N**. Taiwan, Hong Kong, and the United States, 1945-1992 p. 32

[50]http/ nevtaiwan. virtualave. net Truman H. Years of trial and hope. p. 339 ტრუმენი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ კორეაში განვითარებულმა მოვლენებმა აიძულა აშშ დაეჩქარებინა მჭიდრო სამხედრო –პოლიტიკური ურთიერთობა ტაივანის რეჟიმთან, რითაც კარგად ისარგებლა ჩან-კაი-შიმ.

1949 წ. მისი არ დაშვება გაეროში და. შ). პრობლემებს შეუქმნიდა, მაგრამ შექმნილი რეალური პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რასაც აშშ-ს მაშინდელი პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი[51] ადიარებს კიდეც თავის მემუარებში[52]. აშშ-ში ანტიკომუნისტური განწყობა იმდენად დიდი იყო, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან მომდინარე კომუნისტური საფრთხე უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დიალოგი კომუნისტური ჩინეთის ლიდერებთან. გარდა ამისა, ტაივანის პრობლემა სწორედ დაკავშირებული იყო ჩინეთის პოლიტიკურ სივრცეში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსის ჩამოყალიბებასთან, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ ყოფილიყვნენ ჩინეთის ნაციონალური სუვერენიტეტის წარმომადგენლები, ხოლო აშშ-ს ჩარევამ ამ დავაში მოახდინა ურთიერთობების ერთგვარი ინტერნაციონალიზაცია, რაც ტაივანის თვითგადარჩენისათვის აუცილებელი პირობა იყო[53].

ტაივანის პრობლემა საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. ბუნებრივია, ჩვენ ვერ შევეხებით ყველა იმ პრობლემას, რომელიც წარმოიშვა ტაივანის გამო ჩინეთსა და აშშ-ს შორის. ჩვენი მიზანია აქცენტი გავაკეთოთ იმ სა-

---

[51] **ჰარი ტრუმენი (1884-1972)** - აშშ-ს 33-ე პრეზიდენტი დემოკრატიული პარტიიდან. 1945 წელს აირჩიეს აშშ-ს ვიცეპრეზიდენტად. ფრანკლინ რუზველტის გარდაცვალების შემდეგ, 1945 წლის 12 აპრილს, აშშ-ს კონსტიტუციის თანახმად, დაიკავა აშშ-ს პრეზიდენტის თანამდებობა. 1948 წელს არჩეული იქნა მეორე ვადით.

[13] Truman H. op.sit გვ.330-333

[53] Цветков И. А. Политика США.. გვ. 35

კითხებზე. რომელიც აუცილებელია აფხაზეთის პრობლემასთან შესაძლო პარალელებისათვის. კერძოდ, როგორ ხდებოდა ტაივანის პრობლემის ევოლუცია აშშ-სა და ჩინეთის ურთიერთობებში?, რადგან ტაივანის ანტიკომუნისტური რეჟიმის არსებობა გახდა საბოლოო განხეთქილების ვაშლი ჩინეთსა და აშშ-ს შორის. აღნიშნული პრობლემა ხელს უშლიდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობების ნორმალიზაციას XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისამდე.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი არასტაბილური საერთაშორისო ვითარება, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სამხედრო-პოლიტიკური დოქტრინის შემუშავება აშშ-ის მიერ, ტაივანის მმართველ წრეებს საშუალებას აძლევდა გარკვეული ზეგავლენა მოეხდინათ აშშ-ს პოლიტიკაზე ტაივანის მიმართ. კერძოდ, მათი ზეწოლის შედეგად აშშ-ის კონგრესმა 1948 წელს მიიღო გადაწყვეტილება[54], რომლის მიხედვითაც აშშ გადასცემდა ტაიბეის 131 სამხედრო ხომალდს, რომლის ღირებულება შეადგენდა 141 მილ დოლარს. ასევე დახმარებას ჰპირდებოდა არმიის რეორგანიზაციაში, მიუხედავად ამისა, სანამ არ დაიწყო კორეის კონფლიქტი (1950) აშშ – ში სკეპტიკურად უყურებდნენ ტაივანის პოლიტიკურ მომავალს. შემდგომში ტაივან – აშშ-ს ურთიერთობებმა რამდენიმე ეტაპი განვლო. ამ ურთიერთობებში შეიძლება გამოიყოს სამი პერიოდი: I. 1950-1954 წლები, II. 1954-1960 წლები, III. 1960-1978 წლები.

---

[54] http/ nevtaiwan. virtualave. net

მიუხედავად ტაივანთან მჭიდრო სამხედრო- პოლიტიკური თანამშრომლობისა აშშ-ში ყოველთვის ცდილობდნენ ზედმეტად არ გაელიზიანებინათ ჩინეთი, რადგან კარგად ესმოდათ, რომ თუ ისინი შეძლებდნენ ჩინეთის ჩამოცილებას საბჭოთა კავშირისაგან, შეძლებდნენ უფრო აქტიურად ეწარმოებინათ თავიანთი პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში. XX საუკუნის 60-იან წლებში გარდატეხის პროცესი დაიწყო აშშ-სა და ჩინეთის ურთიერთობებში. ეს კარგად აისახა კიდეც ტაივანის მიმართ განხორციელებულ პოლიტიკაში. აშშ-ს კარგად ესმოდათ, რომ ტაივანის დიპლომატიურ აღიარებას ნეგატიურად შეხვდებოდნენ, როგორც ჩინეთში, ასევე აშშ-ს მოკავშირეები, ამიტომ აქცენტი გაკეთდა მის ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე, რისთვისაც 1951-1965 წლებში 1.7 მილიარდი დოლარი დაიხარჯა და რომელმაც საფუძველი დაუდო ტაივანის „ეკონომიურ სასწაულს"[55]. აშშ-ს ასეთი დამოკიდებულება გამოწვეული იყო იმითაც, რომ მას არ სურდა 1953-1956 წლების კრიზისი გამეორებულიყო, რომლის დროსაც საქმე სამხედრო კონფრონტაციამდე მივიდა.[56]

---

[55] http/ nevtaiwan. virtualave. net

[56]ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ტაივანის მახლობლად მდებარე რამდენიმე კუნძულზე 1953-1956წწ მოიტანა საარტილერიო იერიში, რომელმაც აიძულა აშშ ტაივანის სრეტეში შეეყვანა აშშ 6 ფლოტი. ეიზენჰაუერის კაბინეტის ხოგიერთი წევრი იმ შემთხვევაში თუ ჩინეთი გააგრძელებდა მცდელობას ტაივანზე სამხედრო ოპერაციი ჩატარებისა მოითხოვდ ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ.

ჩინეთ-აშშ-ს ურთიერთობებში იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ძაბავდა ვითარებას ორ ქვეყანას შორის. ეს იყო გაეროში ჩინეთის ადგილი, რომელიც 1945 წლიდან ტაივანს ეკავა[57] და ჩინეთს თითქმის ოცი წელიწადი დასჭირდა, რათა კუთვნილი ადგილი დაეკავებინა გაეროში (1971). ეს მოხდა მას შემდეგ, რაც აშშ-მ ჩინეთთან აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა და ამით, ფაქტობრივად, აღიარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის როლი და ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში[58]. ტაივანის საკითხის შემდგომი პერიოდი ჩინეთ – ტაივანს შორის დიპლომატიურ თუ სხვა სახის ურთიერთობებში გამოიხატა, რომელიც დაიწყო პოლიტიკური არენიდან მაო ძე-დუნის და ჩან კაი-შის წასვლის შემდეგ. თუ ადრე აქცენტი კეთდებოდა ორივე მხრიდან სამხედრო ძალის გამოყენებაზე, შემდგომში უპირატესობა მიენიჭა პოლიტიკურ დიალოგს, რომელიც უფრო ეფექტური აღმოჩნდა ვიდრე სამხედრო კონფრონტაცია.

აფხაზეთის და ტაივანის პოლიტიკური ასპექტები. ტაივანის სამართლებრივი და პოლიტიკური მდგომარეობა განსხვავდება ე. წ. სეპარატისტული წარმონაქმნებისაგან.

---

[57]ეს ფაქტი გამოწვეული იყო იმით, რომ გაეროს შექმნის დეკლარაციას ხელი მოაწერა ჩან-კაი-შის მთავრობამ, ხოლო აშშ-ს არ სურდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიღება გაეროში რადგან ეს გააძლიერებდა საბჭოთა კავშირის პოზიციებს.

[58] ამ პერიოდისთვის ჩინეთს უკვე გააჩნდა ბირთვული იარაღი და მისი არ დაშვება გაეროში მნიშვნელოვნად ამცირებდა მსოფლიოში უსაფრთხოების საკითხებს. და სხვა გარემოებები გახდა მისი კუთვნილი ადგილის დაკავებისა ტაივანის მაგივრად.

თუ სეპარატიზმი არის გარკვეული ტერიტორიის განცალკევება ეთნიკური ნიშნის მიხედვით დამოუკიდებლობის მოთხოვნით, ტაივანს რომელიც 60 წელია არსებობს, როგორც ჩინეთის რესპუბლიკა, 1950 წლის კონსტიტუციაში უწერია, რომ რომ ტაივანი არის დროებითი სამყოფელი ჩინეთის რესპუბლიკის დევნილი მთავრობისა, რომელიც მატერიკზე დაბრუნების შემდეგ განაგრძობს თავის საქმიანობას პეკინში[59]. სამართლებრივი თვალსაზრისით ტაივანის მთავრობა არის გომინდანის მთავრობის სამართალმემკვიდრე, რომელიც 1919 წელს შექმნა ჩინეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა სუნ იატ სენმა.[60] მისი სიკვდილის შემდეგ კი ქვეყანას სათავეში გენერალი ჩან – კაი – ში ჩაუდგა. კონტინენტალური ჩინეთის მთავრობას სცნობდა საერთაშორისო თანამეგობრობა და ის ერთა ლიგის წევრი[61] იყო. XX საუკუნის 30-იან წლებში ჩინეთი იაპონიის აგრესიის მსხვერპლი გახდა, ოკუპირებული იქნა მანჯურიის ნაწილი, ხოლო ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს აკონტროლებდნენ ჩინელი კომუნისტები მაო – ძე დუნის მეთაურობით. ასე, რომ ჩან კაი შის მთავრობას მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. ქვეყ-

---

[59] http/ nevtaiwan. virtualave. net

[60] **სუნ იატსენი**, დაიბადა 1866 წლის 12. ნოემბერს გარდაიცვალა 1925 წლის 12 მარტი. – ჩინელი რევოლუციონერი, გომინდანის პარტიის დამაარსებელი, ერთ-ერთი ყველაზე პატივდებული პოლიტიკოსი ჩინეთში. 1940 წელს სუნ იატსენმა სიკვდილის შემდეგ მიიღო „ერის მამის" ტიტული.

[61] ერთა ლიგა

ანა ერთი მხრივ სამოქალაქო ომის პირობებში იყო, მეორე მხრივ ის გახდა იაპონიის აგრესიის იყო. მიუხედავად ასეთი პოლიტიკური ფონისა ჩინეთი წარმოადგენდა ანგარიშგასაწევ ძალას საერთაშორისო პოლიტიკაში. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ჩინეთის ისტორიაში გადამწყვეტი მომენტი დადგა. ჩინეთის კომუნისტური ძალები ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ძალაუფლება და ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმი დაემყარებინათ. დაპირისპირება კომუნისტებსა და გომინდანელებს შორის უკანასკნელის დამარცხებით დამთავრდა, ჩან-კაი-ში და მისი მომხრეები კუნძულზე გადავიდნენ. ტაივანი მოიაზრებოდა, როგორც უკანასკნელი ზღუდე წინააღმდეგობისა[62]. კუნძულზე გადასვლის შემდეგ ჩან-კაი-შიმ დაიწყო სახელმწიფო და ადმინიტრაციული სტრუქტურების შექმნა. თავის გამოსვლებში მოსახლეობის წინაშე ის ხაზს უსვამდა, რომ ტაივანი არის დროებითი თავშესაფარი დევნილი მთავრობისა და რომ ახლო მომავალში დაიწყება განმათავისუფლებელი ბრძოლა კონტინენტალური ჩინეთის განთავისუფლებისა კომუნისტებისაგან. სამართლებრივი თვალსაზრისით გომინდანის მთავრობა მართლაც იყო მსხვერპლი კომუნისტური ძალებისა, რომლის უკან საბჭოთა კავშირი

---

[62] ჩინეთის ისტორიაში იყო მსგავსი მოვლენა, როდესაც მონგოლების მიერ ჩინეთის დაპყრობის დროს XIII ს. ჩინეთის

იდგა. მიუხედავად პირადად ჩან კაი შისადმი უარყოფითი განწყობილებისა[63] დასავლეთის სახელმწიფოები მასში ხედავდნენ კომუნისტური იდეოლოგიის მსხვერპლს, არამარტო აზიაში, არამედ ევროპაში, ბრძოლა იმ ფუნდამენტალური ღირებულებების წინააღმდეგ, რომელზეც დაფუძნებულია დასავლური დემოკრატია. ბევრი სახელმწიფო ჩან კაი შის სცნობდა, როგორც ჩინეთის წარმომადგენელს საერთაშორისო ურთიერთობებში, გარდა ამისა კონფრონტაციის პირობებში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ის მნიშვნელოვანი რგოლი გახდა აშშ-ს პოლიტიკის განხორციელებისა აღმოსავლეთ აზიაში. ჩან კაი ში იმავდროულად საერთაშორისო ურთიერთობებში ცნობადი პოლიტიკური ფიგურა იყო, რომელიც შეძლებისდაგვარად ცდილობდა დაეცვა ჩინეთის ინტერესები საერთაშორისო არენაზე. ჩან კაი ში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობდა ე.წ. მესამე ქვეყნებში, სადაც ხელისუფლებაში მოსული რეჟიმები ეჭვის თვალით უყურებდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მცდელობას მათვის თავს მოეხვია ყაზარმული კომუნიზმის მოდელი.

ტაივანის რეჟიმი აფხაზი სეპარატისტებისაგან განსხვავებით არასდროს თვლიდა თავს ცალკე სახელმწიფოდ და მისი ლიდერები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ, რომ ტაივანი არის ჩინეთის ნაწილი და პოლიტიკურმა გარემოებებმა აიძულა ისინი დროებით გამოყოფოდნენ მას.

---

[63] ის ისეთივე დიქტატორი იყო, როგორც მაო ძე-დუნი

დღეს ჩინეთის მთავრობის ძირითადი კურსი ტაივანის მიმართ არის „მშვიდობიანი გაერთიანება, ერთი სახელმწიფო-ორი წყობა", რომელიც შემდეგ მომენტებს ითვალისწინებს: 1) მსოფლიოში არის ერთი ჩინეთი და ტაივანი არის მისი განუყოფელი ნაწილი. 2) ერთი ჩინეთის ფარგლებში-სოციალიზმი კონტინენტზე და კაპიტალიზმი ტაივანზე იარსებებენ და ერთად განვითარდებიან ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ერთი მეორეს არ გაანადგურებს და გაერთიანების შემდეგ ტაივანზე არ შეიცვლება ცხოვრების წესი. 3) თვითმმართველობის მაღალი დონე. გაერთიანების შემდეგ ტაივანი გახდება განსაკუთრებული ადმინისტრაციული რაიონი, რომელსაც სხვა რაიონებთან შედარებით ფართო უფლებები ექნება. მას მიეცემა ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და დამოუკიდებელი სასამართლო თავისუფლება, ასევე ექნება უფლება, თვითონ გამოიტანოს საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება და უცხო სახელმწიფოებთან გააფორმოს სავაჭრო და კულტურული შეთანხმებები. ტაივანს შეიძლება ჰყავდეს თავისი არმია. მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთო სახელმწიფოებრივ საქმეებში; 4) მშვიდობიანი მოლაპარაკებები. ჩინეთის გაერთიანება უნდა მოხდეს მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით, რადგან სრუტის ორივე მხარეს ჩინელები ცხოვრობენ.[64]

---

[64] The One China Principle and Taiwan Issue. The Taiwan Affairs office and

მიუხედავად დაძაბულობისა, კონტინენტალურ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ტაივანის ჩინეთის რესპუბ-ლიკას შორის ყოველთვის არსებობდა მცდელობა ურთიერთობის დარეგულირებისა. ამ ორი პოლიტიკური სუბიექტის ურთიერთობის ისტორია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირობითად სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ: 1. 1949-1978 წლები - სამხედრო კონფრონტაცია, 2. 1978-1986 წლები- სამშვიდობო კონფრონტაცია, 3. 1987 წლიდან არაოფიციალური კონტაქტები. ჩინეთის გაერთიანების პროცესის დასრულება იდეოლოგიურ საკითხებთან არის დაკავშირებული. ტაივანელები ჯერჯერობით უარყოფენ „ერთი სახელმწიფო-ორი სისტემის" იდეას, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რეფორმატორმა **დენ სიაო პინმა** წამოაყენა.[65] თავის მხრივ, ტაივანელებმა წამოაყენეს „ეროვნული გაერთიანების პროგრამა", რაც მათი მხრიდან მიზნეულია ჩინეთის ერთიანობის აღდგენის საფუძვლად. ამ პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია ტაივანისა და კონტინენტალური „ჩინეთის გაერთიანება თავისუფალი დე-მოკრატიული და აყვავებული ქვეყნის სახით გონიერების, მშვიდობის, თანასწორობისა და თანაზიარობის საფუძ-

---

the information office of the State council People Republic of China. February. 2000. ციტირებულია: დ. გეგეჭკორი, შანხაის კომუნიკე, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 312. თბ. 2005. გვ. 330. იხილეთ აგრეთვე ვებ-გვერდი: **http.www.2facts.com/archive/search/1971103700.asp**

[65]პონკოგთან და მაკაოსთან მიმართებაში ეს დებულება სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ მათ შეენარჩუნებინათ თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური ავტონომია.

ველზე". მისი ავტორების წარმოდგენით ჩინეთის ერთიანობა უნდა განხორციელდეს სამ ეტაპად: *ა)კონტაქტები და ურთიერთგაცვლა, ბ)ურთიერთნდობა და თანამშრომლობა გ) კონსულტაციები და გაერთიანება.* ყოველ შემდგომ ეტაპზე გადასვლა უნდა განხორციელდეს სათანადო პირობების მომწიფების შედეგად. ამ გეგმის მიხედვით, ორივე მხარე ჯერჯერობით პირველ ეტაპზეა, თუმცა ურთიერთობათა მრავალ ასპექტში უკვე დაწყებულია მეორე ეტაპი. უფრო მეტიც, 1991 წლიდან პეკინში შექმნა „ტაივანის სრუტის განვითარების ასოციაცია", ხოლო სინგაპურში შედგა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელების შეხვედრა. 1999 წელს ტაიბეის და პეკინის წარმომადგენლებს შორის პირველი პირდაპირი კონტაქტები შედგა, რაც ორივე მხარისთვის მოლაპარაკების პროცესის დაწყების საწინდარი გახდა. მოლაპარაკებები დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართულ – აფხაზურ ურთიერთობებში ?

ისევე როგორც ტაივანი არის ჩინეთის კულტურის და ისტორიის ნაწილი აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონიც არის საქართველოს ისტორიული რეგიონები და განუყოფელი ნაწილი. ტაივანისაგან განსხვავებით ეს რეგიონები არასდროს ყოფილა რომელიმე სხვა ქვეყნის კოლონია. პირიქით ის ყოველთვის შედიოდა ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში, მიუხედავად იმისა, რომ გვიან შუასაუ-

კუნეებში აფხაზეთში ვერ ხორციელდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ადმინისტრირება (პოლიტიკური დაშლილობის გამო), ის მაინც საქართველოს სახელმწიფოებრიობის განუყოფელი ნაწილი იყო. ტაივანისა და აფხაზეთის პრობლემებს შორის მსგავსება მდგომარეობს იმაში, რომ 1894 წლამდე ტაივანი ჩინეთის ერთ-ერთი პროვინცია იყო, ხოლო აფხაზეთი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგებლობაში პოლიტიკური ავტონომიის სტატუსით შედიოდა.[66] მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალში მოახერხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია და დაპყრობა, რუსულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ მუშაობა დაიწყო აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილების იდეოლოგიური საფუძვლების მოსამზადებლად. XX საუკუნის 30-40-იან წლებში, მოსკოვის წაქეზებით, ადგილობრივი პოლიტიკური ელიტა ცდილობდა აფხაზეთს განსაკუთრებული სტატუსი ჰქონოდა. სეპარატისტული ტენდენციები განსაკუთრებით გაძლიერდა XX საუკუნის 50-60-იან წლებში, ხოლო 80-იანი წლების ბოლოს მან აფხაზი მოსახლეობის ნაწილში რადიკალური ხასიათი მიიღო, რაც დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირში დაწყებულ ე. წ. „გლასტნოსტისა" და „პერესტროიკის" პოლიტიკასთან. ამ დროს რუსეთში მიზანმიმართულად დაიწყო სტალინის პოლიტიკის კრიტიკა,

---

[66] **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთის ისტორიის ნარკვევები. ტ. II. გვ. 58

რაც ხშირად ქართველი ხალხის ლანძღვასა და მისი ეროვნული ცნობიერების შელახვისაკენ იყო მიმართული. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთი რუსი ავტორი 1937 წლის პოლიტიკურ რეპრესიებს ქართველი ხალხის დანაშაულად აცხადებდა (თითქოსდა საქართველოს ეს საშინელი ტრაგედია არ შეხებოდა). რუსეთში წამოწყებულ ამ დიდ ანტიქართულ კამპანიას მოჰყვა ზოგიერთი აფხაზი მწერლისა და „სახელმწიფო" პარტიული მუშაკის ანტიქართული გამოხველები (მაგ. ფაზილ ისკანდერი, ალექსეი გოგუა, კონსტანტინე ოზგანი და ა. შ.) პრალელურად საქართველოში გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ასეთ პირობებში რუსეთი შეეცადა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური სტატუსის მქონე რეგიონების საშუალებით პოლიტიკური ზეგავლენა მოეხდინა საქართველოზე და შეენარჩუნებინა აქ თავისი კონტროლი. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, რუსულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რამდენჯერმე სცადა კონფლიქტის ესკალაცია. საბჭოთა კავშირის დაშლამ დიდი კატაკლიზმები გამოიწვია ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეზე, მათ შორის საქართველოში. 1991-1992 წლებში მოსკოვის წაქეზებით დაწყებულმა სამოქალაქო დაპირისპირებამ თბილისში აფხაზ სეპარატისტებს იმედი ნაუსახა აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილებისა და

რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. 1992 წელს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიამ ხმათა უმცირესობით (და რამდენიმე სხვა ეროვნების ქართველი დეპუტატის გარეშე) აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც მოყვა 1992 წლის 14 აგვისტოს დროებითი სამხედრო საბჭოს მიერ საჯარისო შენაერთების შეყვანა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ასე დაიწყო ომი აფხაზეთში, რომელშიც ჩართული იყო რუსული სამხედრო შენაერთები და იგი აფხაზეთიდან 300 000 ქართველისა და სხვა ეროვნების მქონე ადამიანების (მათ შორის აფხაზების) გამოდევნით დასრულდა[67].

როგორც ვხედავთ, ტაივანსა და აფხაზეთში განვითარებული მოვლენები ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. აფხაზი სეპარატისტები თავიდან მოითხოვდნენ რუსეთთან შეერთებას, ხოლო შემდეგ შეცვალეს მოთხოვნა და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამის არც სამართლებრივი და არც პოლიტიკური საფუძველი არ არსებობს. ჩინეთის დევნილი მთავრობა (ტაივანი) კი პირიქით, ყოველთვის აყენებდა ქვეყნის გაერთიანების საკითხს იდეოლოგიური და პოლიტიკური ბარიერების მოხსნის შემდეგ. ამ პროცესს მხოლოდ აშშ-სა და კომუნისტური ძალების კონფრონტაციამ შეუშალა ხელი. არის კიდევ რამდენიმე ასპექტი, რომელიც შეუძლებელს ხდის

---

[67] ზ. პაპასქირი. აფხაზეთის ისტორიის ნარკვევები. ტ. II. გვ 368; აფხაზეთის ლაბირინთი, გვ 69

ტაივანის მოდელის გამოყენებას აფხაზეთის მიმართ. არც ერთ სახელმწიფოს და მათ შორის აშშ-ს არ დაუყენებია საკითხი ტაივანზე რაიმე ფორმით პროტექტორატის დამყარებისა. მიუხედავად იმისა, რომ ტაივანის რეჟიმი დამოკიდებული იყო აშშ-ს სამხედრო და ფინანსურ დახმარებაზე მათ, როგორც ჩინეთის სახელწიფოებრიობის ელემენტის მატარებლებმა შეინარჩუნეს ტაივანის-ჩინეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტი და ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალა გახადეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ტაივანი 1971 წლამდე იყო გაეროს წევრი სახელმწიფო და დღესაც არის რიგი საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციის წევრი. ანუ ის არის ნახევრად აღიარებული პოლიტიკური ერთეული და მიუხედავად ამისა, მზად არის ყველა ზემოთმოხმობილი პირობის შესრულების შემდეგ, გაერთიანდეს ჩინეთის კონტინენტალურ ნაწილთან. ამის მომხრეა აშშ-ც. აფხაზეთის დღევანდელი დე ფაქტო ხელისუფლება, პირიქით, მართვადი არის რუსეთიდან და მარიონეტის როლს ასრულებს. გარდა ამისა, არც ჩინეთმა და არც ტაივანმა არ დაუშვა ურთიერთობების ინტერნაციონალიზაცია. ეს საკითხი (კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის) საერთოდ მნიშვნელოვანია კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის, რადგან ის იწვევს დამოკიდებულებას სხვა ქვეყნების პოლიტიკაზე, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს ურთიერთობის ნორმალიზაციას.

სოხუმის სეპარატისტულ რეჟიმს არ აქვს გათვითცნობიერებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. დღეს მისი მოსახლეობის უმრავლესობას (მიუხედავად იმისა, რომ იქედან გამოდევნილია ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი) სხვა ეროვნების ხალხები შეადგენს და აფხაზები მაინც უმცირესობაში არიან. დღესდღეობით ამ დემოგრაფიული დისბალანსის შევსებას ცდილობენ სომხები, რამაც შესაძლებელია (ამის ნიშნები უკვე არსებობს კიდეც), გამოიწვიოს კონფლიქტი იქ მცხოვრებ აფხაზებსა და სომხებს შორის[68]. ტაივანში ამის პრობლემა არ არსებობს, რადგან მოსახლეობა მონონაციონალურია, რაც გამორიცხავს შიდა ეთნიკურ დაპირისპირებას.

პოლიტიკური ფონი, რომელშიც დღესდღეობით არსებობს სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი თავისი მეთოდებით და ფორმებით აბსოლუტურად ანტიდემოკრატიული და რასისტულია. მათი ლიდერების იდეოლოგია ფაშისტური იდეების ელემენტებს შეიცავენ, რაც დასავლეთისათვის სრულიად მიუღებელია[69].

განსხვავებით ტაივანისაგან, რომელსაც ფართო კულტურული და ეკონომიკური ხასიათის კონტაქტები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან, აფხაზი სეპარატისტები

---

[68] აღსანიშნავია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთი ლობირებს სომხურ მოსახლეობას აფხაზეთში.

[69] სოხუმის რეჟიმის წარმომადგენლები პირდაპირ აცხადებენ, რომ ქართველების ადგილი არასოდეს არ იქნება აფხაზეთში და თუ იქნება უკეთეს შემთხვევაში, როგორც სამუშაო ძალა.

მოკლებული არიან ასეთ საშუალებას, რაც ამცირებს მათ მიმართ შანსებს რადაცა სახის ცნობადობაზე საერთაშორისო ურთიერთობებში. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, კოსოვოს აღიარებასთან დაკავშირებით, მოსკოვს საბაბი მისცა ალაპარაკებულიყო სეპარატისტული წარმონაქმნების ცალმხრივ აღიარებაზე[70], რაც პერსპექტივაში რუსეთისათვის უფრო საზიანოა, რადგან მის ფედერაციაში ოცამდე ავტონომია არსებობს და მოვლენების ასე განვითარება საშიშ პრეცედენტს ამ ავტონომიების პოლიტიკური სტატუსის გაფართოებისათვის.

რუსეთის პოზიცია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ მიბმულია საქართველოს სურვილთან უსაფრთხოების მიზნით შევიდეს ნატოში. საგულისხმოა, რომ ჩვენი სწრაფვა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებისაკენ სწორედ რუსეთის მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა გამოიწვია, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს თეზას, რომ რუსეთს ნეოსაბჭოური პოლიტიკა გააჩნია, რითაც ცდილობს გავლენის შენარჩუნებას ამ რეგიონში. უკანასკნელ ხანს, ბუქარესტის სამიტის შემდეგ განვითარებული მოვლენების ფონზე ღიად გამოჩნდა, რომ რუსეთი აპირებს საქართველოს ამ რეგიონის პირდაპირ ანექსიას[71].

---

[70]2008 წლის აგვისტოს ომმა რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა ეს მიზანი განეხორციელებინა.

[71]როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს უკვე დადასტურდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა.

აფხაზეთის და ტაივანის ეკონომიური განვითარების მოდელი. ტაივანმა თავისი არსებობის პირველივე წლებიდან მიზნად დაისახა განვითარებული ეკონომიკის შექმნა და იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ეს გააკეთა. რა თქმა უნდა, ეს პროცესი რიგ შემთხვევაში დამოკიდებული იყო, როგორც საგარეო ფაქტორებთან, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მცდელობასთან შეექმნა ისეთი სახის ეკონომიკა რომელიც ერთი მხრივ დაასაქმებდა მოსახლეობას, ხოლო მეორე მხრივ სრულად გამოიყენებდა საბაზრო ეკონომიკის უპირატესობას.

აშშ-მა ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასწყისში აქტიურად დაიწყო ტაივანის ეკონომიკის რეფორმირება, რამაც თავისი შედეგი გამოიღო და 60-იანი წლების დასაწყისში ტაივანი სწრაფად განვითარებადი სახელმწიფო გახდა, რომელმაც ისეთი დარგების განვითარება დაიწყო, რომელიც ყველაზე პერსპექტიული აღმოჩნდა. კერძოდ მანქანათმშენებლობის, ელექტრონიკის, ქიმიური წარმოების და ა.შ. რა თქმა უნდა, ამას ხელი შეუწყო აშშ-ს მიერ ტაივანისათვის გასაღების ბაზრის გახსნამაც, რაც თავისთავად დიდი სტიმული იყო. ტაივანის ეკონომიკური განვითარება აშშ-ს პოლიტიკის გაგრძელება იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ეხვენებინა აშშ-ს პოლტიკური და ეკონომიკური დოქტრინის უპირატესობა კონტინენტალური ჩინეთის ყაზარმული ცხოვრების წესისგან. ორ ქვეყანას შორის იდეოლოგიურმა მეტოქეობამ

ეკონომიკის სფეროში გადაინაცვლა. დენ სიაო პინმა, რომელიც ჩინეთის რეფორმატორად ითვლება, სწორედ ტაივანისგან აიღო განვითარების ეკონომიური მოდელი, რომელიც მიუსადაგა მისი მმართველობის ფორმას. დღეს ტაივანი ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა მსოფლიოში, რომლის შემოსავალი ერთ-სულ მოსახლეზე 20-25 ათას დოლარს შეადგენს და ფაქტობრივად უტოლდება ისეთი ეკონომიკური მონსტრების მაჩვენებელს, როგორიც არის იაპონია, კორეა, აშშ.[72]

განსხვავებით ტაივანისაგან, აფხაზეთის ეკონომიკა, მიუხედავად თავისი 20 წლიანი „დამოუკიდებლობისა", არათუ განვითარდა, არამედ სრულიად მოიშალა. ამას თავისი მიზეზები აქვს: პირველ რიგში არ არსებობს ეკონომიკური იდეოლოგია, რომელიც დაფუძნებული იქნება ამა თუ იმ ეკონომიკურ თეორიას, რაც აუცილებელი პირობაა ეკონომიური განვითარებისათვის. არ არსებობს ინვესტიციების დაცვის მექანიზმისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა. და ბოლოს, ბიუროკრატიული აპარატის პასიურობა. 1995 წლიდან შემოღებული ეკონომიკური ბლოკადა აფხაზეთის მიმართ მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რაც მხოლოდ აფხაზური ბიუროკრატიის უნიათობის გამართლების საშუალებაა. მოსახლეობის სიმწირემ და ინვესტორების შიშმა, რომ აფხაზეთში ინვესტიციები სარისკო საქმეა და არ გაჩნია არავითარი საერთაშორისო

[72] www. taivan.org

გარანტიები, დიდი როლი ითამაშა დღევანდელ ეკონომიკურ დისბალანსზე.

ეკონომიკური სანქციების მოხსნამ რუსეთის მხრიდან თითქოს სტიმული უნდა მისცეს აფხაზეთის ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ საეჭვოა, რადგან ამისათვის საჭიროა მთელი რიგი რეფორმების გატარება, რომლისთვისაც მოსახლეობა და მით უფრო სეპარატისტული დე ფაქტო ხელისუფლება, მზად არ არის. ერთადერთი სტიმულატორი მათი ეკონომიკისა რომელიც რეალურად ფუნქციონირებს არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანა რუსეთის ბაზარზე, მაგრამ პროდუქციის დაბალი ხარისხის გამო ამას დიდი გაელენა არ აქვს მოსახლეობის შემოსავლებზე.[73] ტაივანის ეკონომიკა კი XXI საუკუნის ეკონომიკაა და აფხაზეთი ცალკე ვერასოდეს შეძლებს მსგავსი ეკონომიკური მაჩვენებლის შექმნას. ამის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საბოლოოდ დარეგულირდება ეს კონფლიქტი და ყველა ბარიერი მოიხსნება საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის.

ამრიგად ტაივანისა და აფხაზეთის საკითხის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტების შედარება-შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ ორ პოლიტიკურ პრობლემას მოჩვენებითი პარალელები გააჩნია, რადგან მათი წარმოშობისა და განვითარების მიზეზები ერთმანეთისაგან მკვეთრად

---

[73] აფხაზეთის შემოსავალმა 2008 წელს შეადგინა ოფოციალური მონაცემებით 25 მილიონი დოლარი შეადგინა www. abkhazia. ru

განსხვავებულია. ტაივანის შემთხვევაში საქმე გვაქვს ჩინეთის გომინდანის ლეგიტიმური ხელისუფლების არსებობის გახანგრძლივებასთან კუნძულზე, ხოლო აფხაზეთში პირიქით უცხო ქვეყნის მიერ სეპარატისტულად განწყობილი მოსახლეობის ერთ ნაწილზე დაყრდნობით ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიის ანექსიის პირდაპირ მცდელობას. შესაბამისად, ტაივანის მოდელის შედარება, ან გამოყენება აფხაზეთში მიუღებელია, რადგან ტაივანში აშშ-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა იდეოლოგიურად განსხვავებული ჩინეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერას, ხოლო აფხაზეთის შემთხვევაში, რუსეთის მხრიდან ადგილი აქვს სეპარატისტული რეჟიმისადმი მხარდაჭერას, რეგიონში რუსეთის პოლიტიკური გავლენის შენარჩუნების მიზნით.

ზეწოლის საშუალება ჩინეთსა და საბჭოთა კავშირზე. აქედან გამომდინარე, მისი როლი და ადგილი აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრული იყო მისი მისი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობით. კორეის ეკონომიკურმა აღმავლობამ კიდევ უფრო გაამყარა ამ ქვეყნის მნიშვნელობა აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში, როგორც შორეულ აღმოსავლეთში, ასევე სამხრეთ – აღმოსავლეთ აზიაში

სსრკ-ს მხრიდან წარმოებული კომუნიზმის ექსპორტის პოლიტიკა გახდა პირველი გამოცდა ახალი გეოპოლიტიკური გეგმისა, რომელიც შემუშავებული იქნა აშშ-ს პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის დროს და ითვალისწინებდა „კომუნიზმის შეკავებას" მის მთელ პერიმეტრზე. ამ გეგმის შედეგი იყო ის, რომ გამწვავდა კონფრონტაცია ზემოთხსენებულ ორ იდეოლოგიურ ბანაკს შორის და წარმოიშვა ლოკალური ომების დიდი საფრთხე მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში. მათ შორის კორეაში, რომელსაც მოჰყვა ამ ქვეყნის ორად გაყოფის დაკანონება. ფართომასშტაბიანი ომი კორეაში 1950-1954 წლებში მიმდინარეობდა, როცა მის სამხრეთ ნაწილში ბირთვული იარაღი განათავსეს, რითაც აშშ ზეწოლას ახდენდა კომუნისტურ ჩრდილოეთ კორეასა და ჩინეთზე.

კორეის ადგილი და როლი საერთაშორისო პოლიტიკაში მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. წინააღმდეგობების წარმოშობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და-

კავშირებულია ორი იდეოლოგიურად დაპირისპირებული ძალის ინტერესთა შეჯახებით. ერთი მხრივ საბჭოთა კავშირი და ჩინეთი და მეორე მხრივ აშშ და მისი პარტნიორები. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მიერ წარმოებული კომუნიზმის ექსპორტის პოლიტიკა და ჰარი ტრუმენის „კომუნიზმის შეკავების" დოქტრინა გახდა ამოსავალი წერტილი მწვავე ლოკალური კონფლიქტისა ამ რეგიონში, სადაც პირველად გამოიცადა იდეოლოგიურად დაპირისპირებული ორი ბანაკის პოლიტიკური და სამხედრო შესაძლებლობები.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების რეაქცია ამ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე არ იქნებოდა ასეთი მწვავე, საბჭოთა კავშირის ჩარევით რომ არ მომხდარიყო კომუნისტური რეჟიმების ჩამოყალიბება ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეაში.

ეს მოვლენები აშშ-ს მიერ აღქმული იქნა, როგორც მცდელობა კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელებისა მთელ აზიაში, რაც შემდგომში დამღუპველი იქნებოდა დასავლეთის დემოკრატიული ღირებულებებისათვის.

1953 წელს სტალინის გარდაცვალების შემდეგ ჩინეთის ხელმძღვანელობამ სცადა შეემცირებინა საბჭოთა გავლენა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის რეგიონის ქვეყნებზე. ბუნებრივია, კომუნისტურ ჩინეთს სურდა იმ მისიის კვლავ აღდგენა, რომელიც მას საუკუნეების მანძილზე ჰქონდა სამხრეთ – აღმოსავლეთ აზიაში. უნდა აღინიშნოს, რომ

ჩრდილოეთ კორეის რეჟიმი მაშინაც და დღესაც ჩინეთზეა დამოკიდებული, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

აშშ-ის პოლიტიკა კორეის ნახევრკუნძულზე 1950 1970-იან წლებში. XX საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ს სსრკ-სა და ჩინეთის პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე კორეის ადგილზე ჩამოყალიბდა ორი განსხვავებული პოლიტიკურ – ეკონომიკური სისტემის მქონე სახელმწიფო. ჩრდილოეთით კომუნისტური კორეა და სამხრეთ კორეა. XX საუკუნის 50-60-იანი წლების პირველი ნახევარი ყველაზე მწვავე პერიოდია იდეოლოგიურად დაპირისპირებულ ბანაკებს შორის. ამ დროს სამხრეთ – აღმოსავლეთ აზიის კიდევ ერთ რეგიონში ინდოჩინეთში მოხდა ვითარების ესკალაცია, რამაც ამერიკის შეერთებული შტატები აიძულა ატომური იარაღი განელაგებინა სამხრეთ კორეაში. ეს მოვლენები მიმართული იყო კომუნისტური ჩინეთის პოლიტიკური გავლენის შესუსტებისაკენ. ამერიკის შეერთებული შტატები შეეცადა ამ ნაბიჯით დროებით დაებალანსებინა ვითარება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რათა არ დაეშვა კომუნისტური იდეოლოგიის შემდგომი გავრცელება და გაფართოების შესაძლებლობები. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე ამ დროს სხვა სახის ამოცანებიც. Iდგა, კერძოდ, ეკონომიკური სახის ამოცანა, რომელიც ითვალისწინებდა სამხრეთ კორეაში ისეთი ეკონომიკური მოდელის შექმნას, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და დან-

არჩენ ქვეყნებს საბაზრო ეკონომიკის უპირატესობას დაანახებდა სოციალისტურ ეკონომიკურ პრინციპებთან შედარებით.

ბუნებრივია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს პოლიტიკა გაატარა დიდი ინვესტიციების გაღების ხარჯზე, რომელმაც სამხრეთ კორეაში დიდი ეკონომიკური აღმავლობა გამოიწვია.

რიჩარდ ნიქსონის ახალი საგარეო პოლტიკურიკურსი და კორეის საკითხი 1969-1974 წლებში. XX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულსა და 70-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული იქნა ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი. ეს კურსი ძირითადად, შემუშავდა კორეის საკითხთან მიმართებაში. ვიეტნამის ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა, ანტიამერიკულმა განწყობილებამ მთელ მსოფლიოში, ფინანსური რესურსების შემცირებამ და ბოლოს 1969 წელს რიჩარდ ნიქსონის[75] გაპრეზიდენტებამ გამოიწვია აშშ-ს საგარეო კურსის მნიშვნელოვანი კორექცია. ნიქსონის ადმინისტრაცია ცდილობდა გაესწორებინა ამერიკული პოლიტიკის „ახიური გადახრა" და აქცენტი გაეკეთებინა ჩინეთთან დაახლოებაზე, რომელიც მოხსნიდა დაძაბულობას ამ რე-

---

[75] **რიჩარდ მილჰაუს ნიქსონი, 1913-1994 წწ** – ამერიკის შეერთებული შტატების 37-ე პრეზიდენტი რესპუბლიკური პარტიიდან 1969-1974 წლებში. ამერიკის ერთადერთი პრეზიდენტი, რომელიც თანამდებობიდან გადადგა ცნობილი „უოთერგეიტის სკანდალის" შემდეგ. 1953-1961 წლებში დუაიტ ეიზენჰაუერის პრეზიდენტობის დროს მას ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა ეკავა.

გიონში და საშუალებას მისცემდა ყურადღება გადაეტანა სხვა საკითხებზე.

ისტორიული ფაქტების სათანადო პოლიტიკურიანალიზის საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ნიქსონის ახალმა საგარეო-პოლიტიკურმა დოქტრინამ საგრძნობლად შეცვალა აშშ-ს საგარეო პოლიტიკური კურსი. მისი არსიც მდგომარეობდა იმაში, რომ თუ ადრე აშშ უპირობოდ იღებდა თავის თავზე ამა თუ იმ ქვეყნის უსაფრთხოების დაცვას, ახალი დებულების თანახმად, აშშ დაეხმარებოდა ყველა მოკავშირეს იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყნის უსაფრთხოება მნიშვნელოვანი იყო აშშ-ს უსაფრთხოებისათვის და მას დაემუქრებოდა „ატომური იარაღის მქონე" სხვა სახელმწიფო (ასეთი ბევრი არ იყო მაშინ), ამ შემთხვევაში აშშ მას გადააფარებდა „ატომურ ფარს", ხოლო სხვა სახის აგრესიული ქმედებების დროს ასეთ ქვეყანას ის მხოლოდ ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას გაუწევდა, მაგრამ არა ცოცხალი ძალით[76].

ამ პოლიტიკის არსი კორეის მიმართ მდგომარეობდა იმაში, რომ სამხრეთ კორეას თავის თავზე უნდა აეღო თავდაცვითი ფუნქციები, რაც ერთი მხრივ მაჩვენებელი იყო, რომ დღის წესრიგიდან ჩინეთის საკითხი მოიხსნა, ხოლო მეორე მხრივ სამხრეთ კორეის სიძლიერეზე მეტყველებდა. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვერდს

[76]Международные отношения в Южной, Юго-Восточной Азии и на Дальном Востоке (1945-1962гг) М. 1978.

ვერ ავუვლით ისეთ საკითხს, როგორიც იყო აშშ-ს პოზიცია ორი კორეის გაერთიანების შესახებ და მათ შორის სამშვიდობო ხელშეკრულების (დღესაც ეს ქვეყნები დროებითი ზავის პირობებში იმყოფებიან) დადების საკითხს. კორეა ის ქვეყანა აღმოჩნდა, სადაც ყველაზე მეტად გამოჩნდა აშშ-ს აზიური პოლიტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ამრიგად, გამომდინარე აშშ-ის პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობიდან, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მას თავის თავზე უნდა აეღო და აიღო კიდეც ლიდერის როლი დასავლეთის ქვეყნების მხრიდან. მისი პოლიტიკა – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ერთი მხრივ იყო გამოძახილი ძველი კოლონიური პოლიტიკისა და მეორეს მხრივ პრაგმატული პოლიტიკური გათვლებისა. აშშ-ს კორეულ პოლიტიკაში მიზანი არამარტო ეს ქვეყანა იყო არამედ კომუნისტური ჩინეთი და მისი იზოლაციის მცდელობა დიდი აზიური პოლიტიკიდან. აშშ-ს საგარეო პოლიტიკის საბოლოო შედეგი იყო ისეთი ბუფერის (და ეს სამხრეთ კორეა უნდა ყოფილიყო) შექმნა, რომელიც გაანეიტრალებდა იმ პერიოდში სამხედრო დაპირისპირებას ორ ძირითად სამხედრო პოლიტიკურ ბლოკს შორის[77].

---

[77] **Киссинджер Г.** Дипломатия. М. 1997. გვ. 204

თავი IV

1973 წლის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში

ახლო აღმოსავლეთი ისტორიულად მრავალი სახელმწიფოს ინტერესთა გადაკვეთის არეალი იყო. ამ რეგიონში ისრაელის სახელმწიფოს შექმნით საფუძველი დაედო კონფლიქტს, რომელიც დღემდე გრძელდება მუსლიმანურ სამყაროსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის. 1973 წლის კონფლიქტი ერთ-ერთი მორიგი პრობლემა იყო XX საუკუნის II ნახევრის მსოფლიო პოლიტიკაში, რომელმაც დიდი როლი ითამაშა შემდგომი პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირებაზე.

ახლო აღმოსავლეთი ენერგო რესურსების მსოფლიო მარაგით პირველ ადგილზეა მსოფლიოში, ბუნებრივია რომ ეს აშშ-ს, რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნების მხრიდან არამარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ დაინტერესებასაც იწვევს. დაწყებული XIX საუკუნიდან ეს რეგიონი დასავლეთის გაელვნის სფეროდ ითვლებოდა. არაბებსა და ებრაელებს შორის არსებული პოლიტიკურ დაპირისპირებას, როგორც რელიგიური, ასევე ეკონომიკური ფესვები აქვს. ამას დაემატა არაბთა ტერიტორიების ანექსია XX საუკუნის 50-60-იან წლებში და იერუსალიმისა და პალეს-

ტინის პრობლემა, რომელმაც საბოლოოდ ნიხში შეიყვანა კონფლიქტის მოგვარების გზები.

ეგვიპტის ხელისუფლებაში **აბდელ ნასერის**[78] მოსვლის შემდეგ კონფლიქტი არაბულ სამყაროსა და ისრაელს შორის კიდევ უფრო გამწვავდა. 1967 წლის ომში[79] არაბულ სამყაროსა და ისრაელს შორის, ეგვიპტე დამარცხებული გამოვიდა, რადგან მან სინას ნახევარკუნძული დაკარგა. ბუნებრივია, ეგვიპტე ემზადებოდა რევანშისათვის, რათა დაკარგული ტერიტორიები დაებრუნებინა. ეგვიპტის სამზადისი შეუმჩნეველი არ დარჩენილა ისრაელისათვის, რომელიც ასევე ომისთვის ემზადებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ახლო აღმოსავლეთში, უფრო მეტიც ორივე მათგანი ელოდა გარკვეულ

---

[78] **ნასერი - აბდელ ჰამალ ნასერი** (1918-1970) - ეგვიპტის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1956 წლიდან ეგვიპტის პრეზიდენტი გარდაცვალებამდე. იყო მიუმხრობელი მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი.

[79] 1967 წლის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი მიმდინარეობდა არაბულ სამყაროსა და ისრაელს შორის სინას ნახევარკუნძულზე. ეგვიპტემ, იორდანიამ და სირიამ შექმნეს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ისრაელის წინააღმდეგ. პრეზიდენტმა ნასერმა 1967 წელს მიაღწია რა გაეროს დამკვირვებლების გაყვანას სინას ნახევარკუნძულიდან შეიყვანა იქ ეგვიპტის ჯარები და 22 მაისს მოახდინა ტირანის სრუტის ბლოკირება. რომელიც ისრაელისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საზღვაო არტერიას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა 1967 წლის 3 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება დაეწყო საბრძოლო ოპერაცია სახელით „მტრედი". საომარი მოქმედებები 7 დღე მიმდინარეობდა და დასრულდა ისრაელის არმიის სრული გამარჯვებით.

პოლიტიკურ დივიდენდებს მომაჟალი კონფლიქტიდან და მზად იყვნენ კონფლიქტის გადვივების შემთხვევაში საკუთარი ინტერესების შესაბამისად ემოქმედათ. აღსანიშნავია, რომ ამ პოლიტიკურ თამაშში ორივე მათგანს გააჩნდა თავის სუსტი და ძლიერი მხარეები, რაც კონფლიქტის მიმდინარეობის დროს კარგად გამოვლინდა.

ევროპა და აშშ ნავთობის უმსხვილესი მომხმარებლები და იმპორტიორები არიან და მათთვის მახლობელ აღმოსავლეთს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. პოლიტიკური მეტოქეობაც უფრო აშკარა და თვალშისაცემი ჩანდა, რადგან ამ რეგიონში საბჭოთა კავშირსაც თავისი პოლიტიკური ინტერესები გააჩნდა.

ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ცდილობდნენ მახლობელი აღმოსავლეთის კონფლიქტში საკუთარი პოლიტიკური თამაში ეთამაშათ, რომელიც მათთვის ნაცნობი იყო და არ შეიცავდა მოულოდნელობის ელემენტებს. მიუხედავად ამისა, 1973 წლის ომმა და შემდგომმა პროცესებმა სრულიად ახალი პოლიტიკური სურათი წარმოადგინეს მახლობელი აღმოსავლეთის მოულოდნელობებით აღსავსე ურთიერთობებში.

კონფლიქტის კვლევა უნდა დაეფუძნოს საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური რეალიზმის თეორიას, რომლის დროსაც ხდება ფაქტების ანალოგია ისტორიულ მოვლენებთან და ზოგადი, დროის გარეშე არსებული

საერთო ჭეშმარიტების დადგენა.[80] პოლიტიკური რეალიზმის მეთოდი ამ შემთხვევაში განსაზღვრავს არამარტო სახელმწიფოთა ძალთა ბალანს, არამედ მათი ეროვნული ინტერესების დაცვას. 1973 წლის კონფლიქტში ისრაელიც და ეგვიპტეც ცდილობდნენ ერთის მხრივ, დაეცვათ თავიანთი პოლიტიკური ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება, მაგრამ ამავე დროს ორივე მათგანი დამოკიდებული იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის სამხედრო დახმარებაზე. ახლო აღმოსავლეთის 1973 წლის კონფლიქტი, მართალია ამ ორი დიდი ქვეყნის პოლიტიკური სცენარით დაიწყო, მაგრამ ისინიც კი უძლურნი აღმოჩნდნენ გაეთვალისწინებინათ და გადაელახათ ის იმპულსურობა, რომელიც დამახასიათებელია ამ რეგიონის მოსახლეობისა და პოლიტიკური ელიტისათვის.

1973 წლის კონფლიქტის შესახებ სხვადასხვა სახის ლიტერატურა არსებობს, მათ შორის არის ტენდენციური ნარკვევებიც, მაგრამ განსაკუთრებული ადგილი უკავია ოფიციალურ დოკუმენტებს: გაეროს უშიშროების საბჭოს და გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციებს, ასევე სხვა სახის დოკუმენტაციას, რომელიც განთავსებულია გაეროს ოფიციალურ ვებ გვერდზე[81]. საინტერესოა ახლახან ინტერნეტში, აშშ-ს ეროვნული უშიშროების ოფი-

---

[80] **ზ. დავითაშვილი,** მეთოდის პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისას, წელიწდეული „ქართული დიპლომატია, ტ. 6. თბ. 1999. გვ. 256.

[81] http/ www. un. org. (documents) sc |res|

ციალურ ვებ გვერდზე განთავსებული 1973 კონფლიქტის ამსახველი მასალები უილიამ ბერის რედაქტორობით.[82] თემის გარშემო არსებობს მრავალრიცხოვანი სხვადასხვა სახის ლიტერატურა, როგორც ინგლისურენოვანი ასევე რუსული, ყოველ ავტორს თავისი განსხვავებული ხედვა აქვს პრობლემისადმი, საბჭოური პერიოდის რუსი ავტორების გამოკვლევები იდეოლოგიზირებულია, სადაც ბევრი საინტერესო მომენტი საერთოდ მიჩქმალულია და თუ მათ დავუჯერებთ საბჭოთა კავშირს მხოლოდ და მხოლოდ ამ ქვეყნების ეროვნული ინტერესების დაცვა აინტერესებდა და არა თავისი გეოპოლიტიკური გავლენის გაფართოება ახლო აღმოსავლეთში. მიუხედავად ამისა, თუ კრიტიკულად მიკუდგებით ამ გამოკვლევებს ეს საშუალებას მოგვცემს გავეცნოთ საბჭოთა პოლიტიკის ხედვას აღნიშნული პრობლემისადმი.[83] საინტერესოა ქართველი ავტორების ნაშრომები, ისინი გამოირჩევიან პრობლემისადმი საინტერესო მიდგომით და ბევრ ფაქტოლოგიურ მასალასაც შეიცავენ.[84]

---

[82] W. Berr. The October Warand US Polisy . The National SecurityArchive USA. October 2003. http/ www. gwu. ectu/ nsarhchiv/ NSAEBB 98./index2. htm#1

[83] **Примаков Е.** История оного заговора. М 1988;. **Осипов А**. США и Арабские страны в. 70 в начале 80 годов.М 1983; **Наборов В. А.** Внешнеполитическая политика США и развиваюшиеся страны **Игнатов П. Д.** Военная тактика и стратегия в Арабо-Израельских воиннах во второй половине XX в. М.2001.

[84] ა. **ციცია შვილი** „ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტის ორი გზა" თბ. 1989. ქართული დიპლომატიური ლექსიკონი. ტ. I-2 თბ. 2000; შ. **დათია შვილი** წყლის პრობლემა

საყურადღებოა, აშშ-ს პოლიტიკური მოღვაწის ჰ. კისინჯერის მოსაზრებები აღნიშნული პრობლემის გარშემო, რომელიც აშშ მიდგომას ახახავს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკისადმი.

აშშ-სა და სსრკ-ს ინტერესების დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში 60-70-იან წლებში. აშშ-სა და საბჭოთა კავშირს 60-70-იან წლებში თავისი პოლიტიკური ხედვა გააჩნდათ მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ინგლისის ყოფილ სამანდატო ტერიტორიაზე პალესტინაში, გაეროს რეზოლუციის თანახმად, უნდა დაარსებულიყო ორი სახელმწიფო – პალესტინა და ისრაელი, ეს რეგიონი დაძაბულობის კერად გადაიქცა. ისრაელს სურდა მხოლოდ ისრაელის სახელმწიფო დაარსებულიყო.[85] თავის მხრივ, არაბული სამყარო ვერ ურიგდებოდა ისრაელის სახელმწიფოს წარმოქმნას ამ რეგიონში. ისრაელს იმთავითვე ტერიტორიული პრეტენზიები და რამდენიმე სამხედრო კონფლიქტიც ჰქონდა მეზობელ არაბულ სახელმწიფოებთან.

XX საუკუნის 50-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლამ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში (პირველ რიგში ეგვიპტეში) კოლო-

---

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობებში. დიპლომატიური წელიწდეული. ტ. 6. თბ .2000; **შ. დათიაშვილი,** წყლის კრიზისი მდ. იორდანეს აუზში და 1967 წლის ომი, ქართული დიპლომატია, ტ. 7. თბ. 2001.

[85] ისრაელის სახელმწიფო დაარსდა 1948 წლის 14 მაისს

ნიური ურთიერთობების დემონტაჟის მიზნით შესაძლებელი გახადა ამ ქვეყნებში ხელისუფლების სათაეში ისეთი პოლიტიკური რეჟიმების მოსვლა, რომელთა იდეოლოგია ერთგვარი ნაზავი იყო არაბული ნაციონალიზმისა და სოციალიზმის ელემენტებისა. 1952 წელს ეგვიპტეში აბდელ ჰამალ ნასერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მან ბრძოლა დაიწყო ქვეყნის სუვერენული უფლებების დაცვისათვის, ხოლო 1956 წელს სუეცის არხის ნაციონალიზაციის შემდეგ,[86] ფაქტობრივად, არაბული სახელმწიფოების ლიდერი გახდა. სუეცის არხის ნაციონალიზაციამ დასავლეთის სახლმწიფოებს ეგვიპტის მიმართ აგრესიული ქმედებისაკენ უბიძგა, რათა არ დაეშვათ არამარტო ეგვიპტის, არამედ სხვა არაბული სახელმწიფოების გასვლა მათი გავლენის სფეროდან. ეს მოვლენები საბოლოოდ **1956-1957 წლების სამხედრო კონფლიქტით** დასრულდა ინგლისსაფრანგეთსა და ეგვიპტეს შორის. ეგვიპტის უკან საბჭოთა კავშირი იდგა, რომელიც აცხადებდა, რომ ნასერმა თავად მიმართა საბჭოთა კავშირს თხოვნით გაეწია მისთვის

---

[86] 1956 წლამდე სუეცის არხზე კონტროლს ინგლისელები ახორციელებდნენ, რომელთა ყოველწლიური შემოსავალი 100 მილიონ გირვანქას შეადგენდა. გაეროს უშიშროების საბჭომ 13 XII. 1956 წელს დაადასტურა ეგვიპტის სუვერენიტეტი არხზე. ეგვიპტის მხრიდან გაკეთდა განცხადება, რომ იგი პატივს სცემდა ნაოსნობის თავისუფლებას კონსტანტინოპოლის კონვენციის შესაბამისად. (კონსტანტინოპოლის კონვენციას სუეცის არხის შესახებ 1888 წელს ხელი მოაწერა საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, რუსეთმა, ავსტრია-უნგრეთმა, ჰოლანდიამ და თურქეთმა. მოგვიანებით მას შეუერთდნენ საბერძნეთი, დანია, ნორვეგია, პორტუგალია, შვეცია, ჩინეთი და იაპონია). ციტ. ქართული დიპლომატიური ლექსიკონი ტ. II. გვ. 236.

სამხედრო და ეკონომიკური დახმარება, რომელიც შემდგომ ორი ქვეყნის მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობებში გადაიზარდა.

გარდა ამისა, „ცივი ომის" პირობებში საერთაშორისო ვითარების დაძაბულობამ მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონი ორ ზესახელმწიფოს კონფრონტაციის კერად შორის გადააქცია, რომლებიც მოქმედებდნენ თავიანთი მოკავშირეების მეშვეობით. ამავე დროს აშშ-სა და საბჭოთა კავშირს გააჩნდათ თავიანთი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიც. აქტობრივად, ეს რეგიონი 60-იანი წლებისათვის ჩამოყალიბდა ფარული თუ აშკარა მეტოქეობის ზონად ორ მძლავრ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს - ნატოსა[87] და ვარშავის პაქტის[88] სახელმწიფოებს შორის, ხოლო პალესტინის პრობლემამ[89] მას დამატებითი ინტრიგა შესძინა.

---

[87]**ნატო** – ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია. ინგლისურად: North Atlantic Treaty Organisation, NATO – სამხედრო კავშირი, რომელიც შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში. იხილეთ. ვებ-გვერდი: http://www.nato.int.

[88] **ვარშავის პაქტი** – ვარშავის პაქტი, ანუ ვარშავის ხელშეკრულება. დაარსდა 1955 წელს **ვარშავაში** ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული კომუნისტური ქვეყნების მიერ ნატოს ალიანსის მიერ შექმნილი საკარაუდო საფრთხის დასაბალანსებლად. ვარშავის პაქტი 1991 წლის ივლისში დაიშალა.

[89]**პალესტინის პრობლემა** – ახლო აღმოსავლეთის რეგულირების საკვანძო საკითხი, რომელიც დაკავშირებულია პალესტინის ხალხის უფლების უზრუნველყოფასთან, თვითგამორკვევისა და საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნასთან. ეს პრობლემა სათავეს იღებს 1948 წლიდან, როდესაც გაეროს გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის 181 რეზოლუციის თანახმად, პალესტინა გამოცხადდა ებრაულ და არაბულ სახ-

ახლო აღმოსავლეთის[1] რეგიონს აშშ-სთვის, საბჭოთა კავშირთან გლობალური დაპირისპირების პირობებში, სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ომის შემთხვევაში აქედან შესაძლებელი იყო სსრკ-ზე სამხედრო დარტყმის მიყენება ხმელთაშუა ზღვაზე ბაზირებული ამერიკული ხომალდებიის მეშვეობით, მეორე მხრივ აშშ-სა და დასავლეთის ინტერესებს შეადგენდა რეგიონის უდიდესი ენერგო რესურსები, რომელზედაც მნიშვნელოვანწილად იყო და დღესაც არის დამოკიდებული ამ ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობა, რაც შეეხება საბჭოთა კავშირის მიზნებს ახლო აღმოსავლეთში, ის ცდილობდა ამ რეგიონის ქვეყნებისათვის თავს მოეხვია თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელი და არ დაეშვა აშშ-ს სამხედრო – პოლიტიკური ჰეგემონობა ამ რეგიონში. სამხედრო თვალსაზრისით სსრკ ცდილობდა სამხრეთ საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფას, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებთან (სირია, ეგვიპტე) თავისი სამხედრო ბაზების გაფართოებას, რითაც შეძლებდა საჭიროების შემთხვევაში აშშ-ს სამხედრო – საზღვაო ფლოტის ნეიტრალიზაციას. ეკონომიკური თვალსაზრისით სსრკ-ს მიზანი იყო განეხორციელებინა თავისი სამხედრო

ელმწიფოდ. ისრაელის სახელმწიფოს დაარსება მიუღებელი აღმოჩდა რიგი არაბული სახელმწიფოებისათვის, რაც გადაიზარდა 1948 წლის ომში, ამ ომმა იმსხვერპლა პალესტინის სახელმწიფო და პალესტინელების დიდი რაოდენობა დევნილებად გახადა მეზობელ სახელმწიფოებში

შეიარაღების ექსპორტი და ამ ქვეყნებიდან ბუნებრივი წიადისეულის იმპორტი.

. რაც შეეხება აშშ-ს ინტერესებს ის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, რეგიონში მისი მთავარი დასაყრდენი ისრაელი და პროდასავლურად განწყობილი არაბული სახელმწიფოები იყვნენ. აშშ-ის ახლოადმოსავლური პოლიტიკა სხვადასხვა ადმინისტრაციის დროს გარკვეული განსხვევებით ხასიათდებოდა.[90] თუ ეიზენჰაუერის[91] პოლიტიკა ხისტი იყო და არ ითვალისწინებდა შექმნილ რეალიებს მახლობელ აღმოსავლეთში, ჯონ კენედის[92] პოლიტიკა უფრო გააზრებული და და ფრთხილი იყო. მან გამოაცხადა „ახალი საზღვრების პოლიტიკა" და იყენებდა ეკონომიური და სამხედრო საშუალებების ერთობლიობას არაბული ქვეყნებისა და მათ შორის ეგვიპტის მიმართ. კენედი მომხრე იყო უფრო ზომიერი პოლიტიკის გატარებასა, ამასთან ერთად ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებისა, ხოლო აშშ-ს სახელმწიფო მდივანი დინ რასკი

---

[90] **Наборов В. А.** Внешная политика США и развиваюшиеся страны с. 89

[91] **დუაიტ ეიზენჰაუერი** (1890-1969) – აშშ-ს 34-ე პრეზიდენტი 1953-1961 წლებში. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე და სამხედრო მოსამსახურე. აშშ-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მთავარსარდალი. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე არმიის გენერალი. მან შექმნა სპეციალური დოქტრინა - აშშ-ს საგარეო პოლიტიკური კურსი ახლო და შუა აღმოსავლეთთან, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში ეიზენჰაუერის დოქტრინის სახელით არის ცნობილი.

[92] **ჯონ ფიცჯერალდ კენედი (1917-1963)** – აშშ-ს 35-ე პრეზიდენტი 1961-1963 წლებში.

მას სთავაზობდა ნახერის მოწვევას აშშ-ში და მასთან მოლაპარაკების გამართვას[93]. კენედის ტრაგიკულმა სიკვდილმა ცვლილებები გამოიწვია აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში. პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის[94] კურსი ითვალისწინებდა ამ რეგიონში კონფლიქტურ სიტუაციებზე აშშ-ს კონტროლს და მასზე ზეგავლენას, მაგრამ ვიეტნამის ომმა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა მეორე პლანზე გადასწია, რაც არ ნიშნავდა იმას რომ აშშ-ის ზეგავლენას არ ახდენდა აქ მიმდინარე პროცესებზე[95] 70-იან წლებში ევროპაში დაძაბულობის შენელებამ თავისი გავლენა ჰპოვა მახლობელი აღმოსავლეთის პრობლემებში. რიჩარდ ნიქსონის ადმინისტრაცია მომხრე იყო ზომიერი მიდგომისა და ისრაელის სამხედრო უპირატესობის შენარჩუნებისა, რომელიც გარკვეულწილად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი იყო არაბულ ქვეყნებზე სამხედრო-პოლიტიკური ზემოქმედებისა.

განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება მახლობელ აღმოსავლეთში 1967 წლის ექვსდღიანი ომის შემდეგ, როდესაც ისრაელმა დაიკავა ეგვიპტის (სინას ნახევარკუნძული, სუეცის არხი) იორდანიის და სირიის ტერიტორიების

---

[93] **W. Berr**. The October Warand US Polisy . The National Security Archive USA

[94] **ლინდონ ჯონსონი (1908-1973)** – აშშ-ს 36-ე პრეზიდენტი დემოკრატიული პარტიიდან 1963-1969 წლებში.

[95] აშშ პოლიტიკაზე ისრაელიოს მიმართ დიდ გავლენას ახდენდა ებრაული ლობი, რაც ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტიც იყო ისრელის და აშშ ურთიერთობაზე.

ნაწილი და რაც მთავარია აღმოსავლეთ იერუსალიმი,[96] რომელიც მუსლიმანთათვის წმინდა ადგილად ითვლება. ებრაელთა ასეთი წარმატება შეუძლებელი იქნებოდა თუ არა ამერიკელთა სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა. სამხედრო კომპანიის წარმატებამ, როგორც ებრაული გაზეთი „მაარივი" წერდა „შეერთებული შტატებისთვის ნათელი გახადა, რომ მას არა ჰყავს უფრო უკეთესი და უფრო ერთგული პარტნიორი, ვიდრე ისრაელია". ხოლო ერთ – ერთი ამერიკული გაზეთი პირდაპირ მიუთითებდა, რომ „ისრაელმა საკუთარ თავზე აიღო ამერიკის შეერთებული შტატების როლი ახლო აღმოსავლეთში."[97]

არაბული ქვეყნების სამარცხვინო დამარცხებამ აიძულა საბჭოთა კავშირი მიემართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსათვის, რომელსაც მიაღებინა რეზოლუცია №242, მისი მთავარი არსი ისრაელის მიერ ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების გამოყვანა იყო[98]. 1967 წლის შეიდდღიანი ომის შედეგად, გარდა იმისა, რომ ოკუპირებულ იქნა არაბთა ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, ებრაელებმა კონტროლი დაამყარეს სუეცის არხზე და 1974 წლამდე

---

[96] მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტეს გააჩნდა კარგად შეიარღებული არმია, მან ვერ შეძლო წინააღმდეგობა გაეწია ისრაელის არმიის ელვისებური შეტევისთვის,რომლის მიზანი ეგვიპტის და მისი მოკავშირეების შეუთანხმებელი მოქმედება და სხვა გარემოებები იყო.

[97] ციტ. მოყვანილია ა. ციციაშვილი „ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტის ორი გზა" თბ. 1989. გვ. 45

[98] http/ www. un. org. (documents) sc |res

მასზე ნაოსნობა შეწყვიტილი იყო, ამან დიდი ზიანი მიაყენა მსოფლიო საზღვაო გადაზიდვებს, რომელმაც შეაფერხა, მათ შორის საბჭოთა კავშირის მიერ ჩრდილოეთ ვიეტნამის იარაღით მომარაგება. ,ებრაული პარტიის „ლიკუდის" ყოფილი ლიდერის მ. ბეგინის მოსწრებული თქმით „ტვირთების გადაზიდვის გახანრძლივებამ ბევრი ამერიკელი გადაარჩინა"..[99]

ეგვიპტის დამარცხებამ მის ლიდერს ჰ. ნასერს რევანშის სურვილი აღუძრა, მითუმეტეს, რომ საბჭოთა კავშირმა მას აღუთქვა, „რომ ყველა საშუალებით დაეხმარებოდა, მოამარაგებდა უფასო შეიარაღებით და აანაზღაურებდა იმას, რაც ეგვიპტელებმა დაკარგეს სინასთან ბრძოლებში."[100] სსრკ-ს ასეთი „უანგარო" პოზიცია გამოწვეული იყო შიშით, რომ არ დაეკარგა გავლენა მახლობელ აღმოსავლეთში და არ დაეშვა რაიმე სახის მოლაპარაკება მის ზურგს უკან ეგვიპტესა და ისრაელს შორის, რადგან ამის მცდელობა მანამდეც იყო, თუმცა ნასერი არ წავიდა მაშინ ასეთ ნაბიჯზე. ჰ ნასერმა პირდაპირ განაცხადა, რომ „დათმობების გზით ჩვენ ვერ წავალთ, რადგან საქმე ეხება ყველა არაბის ბედს და ჩვენს სუვერენიტეტს"[101] თავის მხრივ, ეგვიპტის ასეთი პოზიცია იმ პერიოდისათვის

---

[99]ა. ციციაშვილი, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტის ორი გ. ზა, გვ. 46

[100] **Нассер Г. А** Проблемы египетской революции. Избранные речи и выступления. с 239

[101] Нассер Г. А Проблемы египетской революции . с. 194

გასაგებია, რადგან სეპარატულ მოლაპარაკებაზე წასვლა, ფაქტობრივად, არაბთა სოლიდარობის იდეის ღალატს ნიშნავდა და მეორე მხრივ დამარცხების აღიარებას. რაც შეეხება აშშ-ს პოზიციას ამ სიტუაციაში მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ისრაელის მეშვეობით ზეწოლა მოეხდინა არაბულ ქვეყნებზე და აეძულებინა ისინი წასულიყვნენ დათმობაზე. კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო არაბული ქვეყნების მიერ უარყოფითი დამოკიდებულება ისრაელის მიმართ, მათ მიაჩნდათ, რომ ისრაელის სახელმწიფოს არ ჰქონდა არსებობის უფლება[102], რადგან ის შექმნილია არაბულ ტერიტორიაზე (თანაც მათთვის წმინდა მიწაზე) ასეთი დამოკიდებულება არაბების მხრიდან კონფლიქტს კიდევ უფრო ამწვავებდა.

სამხედრო მოქმედებების დასრულების შემდეგ, გაეროს ეგიდით დაიწყო აქტიური დიპლომატიური ხონდაჟი კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის, რომლის მიზანი იყო ერთი მხრივ მხარეების პოზიციების შესწავლა, მეორე მხრივ ისეთი გადაწყვეტილების მიღება რომელიც ორივე მხარისათვის მისაღები იქნებოდა და დაარეგულირებდა ვითარებას.[103] 1969 წელს ნიუ-იორკში დაიწყო ოთხმხრივი

---

[102] საგულისხმოა, რომ მსგავსი შეხედულებები დღესაც არსებობს და ამ კონფლიქტს 37 წლის შემდეგაც ფეთქებადსაშიშ და მოუგვარებელ კრიზისად აქცევს.

[103] გაერომ შვედ დიპლომატს გ. აირინგს დააკალა ყოფილიყო შუამავალი ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის კომპრომისის მოძებნისა, მაგრამ საბოლოო ჯამში ამ მისიამ შედეგი ვერ მოიტანა.

კონსულტაციები მახლობელი აღმოსავლეთის პრობლემისადმი. ამ შეხვედრების დროს გამოიკვეთა მხარეთა პოზიციები. საბჭოთა კავშირისა და არაბთა პოზიცია იყო შემდეგი: ისრაელმა უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები 1967 წელს ოკუპირებული ყველა ტერიტორიიდან, როგორც კონფლიქტის მოგვარების აუცილებელი პირობა. აშშ-სა და ისრაელის პოზიცია შემდეგში მდგომარეობდა, არაბებს მოლაპარაკებებზე უნდა ელიარებინათ ისრაელის სახელმწიფო და მისი საზღვრები თითოეულ არაბულ სახელწიფოს შორის, რაც არაბების აზრით, ისრაელის აღიარებას და თავიანთ დამარცხებას ნიშნავდა[104]. ასეთ ფონზე, რა თქმა უნდა, კონფლიქტის მონაწილეები ვერ შეძლებდნენ საერთო ენის გამონახვას, უფრო მეტიც, მაშინ ნათელი იყო რომ ეგვიპტე და არაბული სამყარო შეეცდებოდა რევანშის აღებას დამარცხებისათვის და ახალი ომი გარდაუვალი იქნებოდა.

კონფლიქტის მსვლელობა და მისი განმუხტვის ამერიკული და საბჭოური მოდელი. ისრაელსა და ეგვიპტეს შორის სამხედრო კონფრონტაციის მორიგი ეტაპი 1973 წელს მოხდა, რომელსაც წინ მხარეების გამალებული შეიარაღება უძღოდა. თვით ეგვიპტეში პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეიცვალა, ნასერის სიკვდილის შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტი ანვარ სადათი[105] გახდა. თუ ნასერი განასახიერებდა თავისი ქვეყნის შეუვალ პოზიციას ის-

---

[104] http/ www. un. org

[105] **ანვარ სადათი-** მუჰამედ ანვარ ას სადათი (1918-1981) – ეგვიპტის მეხამე პრეზიდენტი 1970 – 1981 წლებში. მარშალი.

რაელის მიმართ, სადათი უფრო კომპრომისული ფიგურა და პროამერიკულად განწყობილი პოლიტიკოსი იყო. განსხვევებით თავისი წინამორბედისაგან სადათი მზად იყო, საჭიროების შემთხვევაში, წასულიყო რიგ დათმობებზე ისრაელთან და ამით მოეგვარებინა ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი.

ეგვიპტე ამ ომისთვის ექვსი წლის მანძილზე ემზადებოდა. ისრაელის პრემიერ-მინისტრის გ. მეიერიც[106] კი იძულებული იყო ედიარებინა, რომ „რუსეთმა შეუვსო ეგვიპტელებს ყველაფერი ის, რაც მან დაკარგა 1967 წლის ომში"[107] ეგვიპტის მიზანი იყო ამ ომის მეშვეობით[108] რეგიონში ისრაელისთვის ეჩვენებინა და დაებრუნებინა დაპყრობილი ტერიტორიები.

თუმცა ომის მთავარი მიზანი მაინც სინას ნახევარკუნძულის დაბრუნება იყო, რომელიც 1967 წელს „ექვსდღიანი ომის შედეგად ისრაელმა ხელთ იგდო. როგორც ჩანს, სადათი ომის გზით გეგმავდა სამხედრო – ფსიქოლოგიური გამარჯვების მოპოვებას და შემდგომ ისრაელთან მოლაპარაკებებისა და კომპრომისის მიღწევას.

---

[106] **გოლდა მეიერი** - ისრაელის პრემიერ- მინისტრი 1969-1974 წლებში. დაიბადა 1898 წელს კიევში, გარდაიცვალა 1978 წელს იერუსალიმში.

[107] ა. **ციციაშვილი** ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტის ორი გზა, გვ. 49

[108] არაბები დარწმუნებულები იყვნენ თავიანთ მომავალ გამარჯვებაში, რადგან მათ ჰქონდათ კარგი შეიარაღება და თითმის ყველა არაბული სახელმწიფო მზად იყო მიეღო უშუალო მონაწილეობა ამ ომში.

ეგვიპტის ახალი პრეზიდენტი სადათი წინამორბედისაგან განსხვავებით საბჭოთა კავშირს არ განიხილავდა ერთადერთ მოკავშირედ, ის ცდილობდა და არც თუ უშედეგოდ კარგი ურთიერთობები ჰქონოდა აშშ-თან, გარდა ამისა სადათი არ გამორიცხავდა სეპარატულ შეთანხმებებს ისრაელთან, თუნდაც პალესტინელებისა და არაბული ქვეყნების ინტერესების იგნორირების ხარჯზე. არსებობდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება ომისათვის, ეს იყო მძიმე სოციალურ-ეკონომიური სიტუაციის განმუხტვა ომის მეშვეობით[109].

ომის დაწყების თარიღად ეგვიპტელებმა 1973 წლის 6 ოქტომბერი აირჩიეს (ეს დღე ემთხვეოდა ებრაელთა რელიგიურ დღესასწაულს რომელიც „განკითხვის დღის" სახელით არის ცნობილი). ამ სამხედრო ოპერაციას გარკვეული სიმბოლიზმიდან გამომდინარე „განკითხვის დღე" ეწოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტელები ცდილობდნენ არ დაეშვათ ინფორმაციის გაჟონვა ომის დაწყების შესახებ, ებრაელები ისედაც ხედებოდნენ და ინფორმირებული იყვნენ, რომ ომი ეგვიპტელებთან გარდაუვალი იყო, შესაბამისად ემზადებოდნენ კიდეც. მაგრამ ომის დაწყების წინ მთავარი საკითხი იყო თუ ვინ დაიწყებდა საომარ მოქმედე-

---

[109] ეკონომიკის განვითარების საბჭოურმა მოდელმა, მიუხედავად რიგი წარმატებებისა, (ენერგო სექტორის და მძიმე მრეწველობის დარგების შექმნა) მოსახლეობის ფართო ფენებს ეკონომიკური კეთილდღეობა არ მოუტანა. ქვეყანაში გაიზარდა ინფლაცია, მაღალი იყო კორუფციის დონე, დევნიდნენ ოპოზიციონერებს, რაც ქვეყანაში შიდა დაძაბულობას იწვევდა.

ბას პირველი. ისრაელი, როგორც ჩანს, გრძნობდა, რომ ომი გარდაუვალი იყო და ცდილობდა საომარი მოქმედებები ეგვიპტელებს დაეწყოთ, რათა შემდეგ აგრესიის მსხვერპლი ისრაელი იქნებოდა.

როგორი იყო არაბთა საომარი გეგმა? მათი მიზანი იყო შეეტიათ ისრაელის პოზიციებისთვის სხვადასხვა მხრიდან და დაექსაქსათ მისი ძალები. მთავარი იყო სიუეკიის მიმართულება, და შემდეგ შეტევის განხორციელება სინას ნახევარკუნძულის მიმართულებით და მისი „განთავისუფლება". პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა და ეგვიპტელებმა არხის წარმატებით ფორსირება და გამაგრება შეძლეს, მაგრამ ცოტაოდენი შეყოვნების შემდეგ ებრაელებმა უმოკლეს დროში ჩაატარეს თავიანთი ჯარების და რეზერვისტების მობილიზაცია და ელვისებური იერიში მიიტანეს არაბთა პოზიციებზე. ამის შემდეგ მოვლენები არაბთათვის არასახარბიელოდ განვითარდა. ეგვიპტის და მისი მოკავშირეების ჯარებმა უკან დახევა დაიწყეს, რაც სავსებით რეალურს ხდიდა 1967 წლის მოვლენების გამეორებას.

1973 წლის ომის შესახებ სპეციალიზირებულ ლიტერატურაში ბევრი რამ არის დაწერილი, მაგრამ ერთი ფაქტი ყოველთვის იწვევს გაოცებას, რატომ ვერ შეძლო ეგვიპტემ მის მიერ ინიცირებულ ომში მაქსიმუმის მიღწევა, რასაც თავის დროზე, 1967 წლის კამპანიის დროს მიაღწია ისრაელმა? ალბათ სწორი არიან ის მკვლევრები, რომელთა

აზრით, „არაბებს ბევრი კარგი იარაღი აქვთ, მაგრამ ცუდი ჯარისკაცები არიან". ჩვენი მხრიდან ავღნიშნავდით, რომ არაბებს უფრო არ უვარგოდათ ხელმძღვანელობა, რომელსაც კრიტიკულ მომენტში აკლდა სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი.[110] გარდა ამისა, უსათუოდ გასათვალისწინებელია ისრაელის არმიის შესანიშნავი მდგომარეობა და პატრიოტიზმი, ბრძოლისუნარიანობის მაღალი დონე და რაც მთავარია, მუდმივი მზადყოფნა არაბული სამყაროს აგრესიული პოლიტიკის გამო.

აშშ-სა და სსრკ-ს დიპლომატებმა სწრაფად შეაფასეს შექმნილი სამხედრო ვითარება, მეომარი მხარეების შეუჩერებლობის შემთხვევაში შეიძლება უმართავი პროცესები განვითარებულიყო, რაც ორივე მხარისათვის შეიძლება საკალალო დასრულებულიყო.

ომის პირობებში რა პოზიციები გააჩნდა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს, როგორი იყო მათი პოლიტიკური ხედვა მიმდინარე მოვლენებისადმი?

ომის პირველ ეტაპზე, როდესაც არაბებს პოზიციური უპირატესობა გააჩნდათ საბჭოთა კავშირი არ ჩქარობდა მოწოდებით მიემართა მეომარი მხარეებისათვის საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ, პირიქით საბჭოთა კავშირი იარაღს აწოდებდა ეგვიპტეს და ხოლო საბჭოური პრესა ხოტბასა და დიდებას ასხამდა არაბთა გმირულ

---

[110] არაბ – ისრაელის ომების შესახებ იხილეთ: **Игнатов П. Д** .Военная тактика и стратегия в Арабо-Израельских воинах во второй половине XXв. М.2001

ბრძოლას სიონიზმის წინააღმდეგ[111] და წინასწარმეტყველებდა „ოკუპირებული“ მიწების განთავისუფლებას. თავის მხრივ, აშშ-ს კონგრესი ნიქსონის ადმინისტრაციისაგან მოითხოვდა, მიეწოდებინათ საკმარისი იარაღი ისრაელისთვის, რათა არ დაეშვა მისი დამარცხება. ამ მიზნით აშშ-მ გრანდიოზული საჰაერო ხიდიც კი მოაწყო, რომლის საშუალებითაც თავისი მარაგიდან აუცილებელი სამხედრო აღჭურვილობა მიაწოდა ისრაელს. როდესაც ისრაელი იერიშზე გადავიდა და გამოიკვეთა ეგვიპტისა და მისი მოკავშირეების დამარცხების კონტურები 16 ოქტომბერს ქაიროში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. კოსიგინი[112] ჩავიდა, რათა დაერწმუნებინა სადათი შეეწყვიტა საომარი მოქმედება. ამვე დროს საჭოთა კავშირის ელჩმა ა. დობრინინმა ჰ. კისინჯერს გადასცა ლეონიდ ბრეჟნევის[113] წერილი, რომელშიც კისინჯერი მიწვეული იყო მოსკოვში კონსულტაციებისთვის. კისინჯერი დათანხმდა ჩამოსვლაზე იმ პირობით, რომ ეგვიპტე და ისრაელი დაიწყებდნენ პირდაპირ მოლაპარაკებებს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე.[114] ამავე დროს საბჭოთა ელჩმა ქაიროში სადათს გადასცა ცეცხლის შეწყვეტის

---

[111] „Известия“ № 221 9 ოქტომბერი 1973 წელი.

[112] **ალექსი კოსიგინი (1904-1980)** – 1964-80 წლებში იყო საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

[113] **ლეონიდ ბრეჟნევი (1906-1982)** - საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი 1964-1982 წლებში. საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში.

[114] **W. Berr**. The October Warand US Polisy . The National SecurityArchive USA

პირობები და რეზოლუციის პროექტი გაეროში განსახილველად.

1973 წლის 22 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია № 242[115] ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის და მშვიდობის დამყარების თაობაზე, მაგრამ ისრაელმა გააგრძელა სამხედრო მოქმედება, რომელიც წარმატებით ვითარდებოდა და მხოლოდ 24 ოქტომბერს შეწყვიტა ცეცხლი. რადგან ორივე მეომარი მხარის უკან იდგა ზესახელმწიფოები: აშშ და საბჭოთა კავშირი, ომის დრამატულ მომენტებში ისინი იძულებული გახდნენ აქტიურად ჩარეულიყვნენ ომის მსვლელობაში, უფრო მეტიც ორივე მხარე არ გამორიცხავდა უშუალო მონაწილეობას კონფლიქტში სხვადასხვა ფორმით. პირველი ვარიანტი – სამხედრო ჩარევა კონფლიქტში მეომარი მხარეების დაშორიშორების მიზნით; მეორე ვარიანტი – სამხედრო ჩარევა გაეროს საშუალებით. ეგვიპტე, რომელიც აღმოჩნდა ახალი სამხედრო დამარცხების საშიშროების წინაშე, თანახმა იყო ეგვიპტისა და ისრაელის ჯარებს შორის ჩამდგარიყო აშშ-სა და საბჭოთა კავშირის საშშვიდობო ძალები.

განსხვავებით 1967 წლის მოვლენებისაგან აშშ-ს პოზიცია არ იყო ისეთი კატეგორიული, რომელიც ამართლებდა ისრაელის ასეთ ნაბიჯს. ვაშინგტონში კარგად აცნობიერებდნენ, რომ საჭირო იყო ეგვიპტის მოთხოვნების გათვალისწინებაც, რადგან იმ შემთხვევაში თუ არ

[115] http/ www. un. org

იქნებოდა მიღებული ეგვიპტის და არაბული ქვეყნების მოთხოვნები აშშ და ისრაელი მარტო დარჩებოდნენ, რაც შეარყევდა მათ იმიჯს და სათუოს გახდიდა აშშ-ს პოზიციებს მახლობელ აღმოსავლეთში. აშშ-სა და მის ევროპელ მოკავშირეებს ყველაზე მეტად აშინებდათ ის პერესპექტივა, რომ არაბული სახელმწიფოები მათზე ზეწოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებას – ნავთობს გამოიყენებდნენ. მისი ამოღების შემცირება ან ემბარგო კატასტროფული შედეგებით დასრულდებოდა დასავლეთის ეკონომიკისათვის. ზემოქმედების ეს საშუალება არაბულმა სახელწიფოებმა ეფექტურად გამოიყენეს 1973 წლის ოქტომბერში, როდესაც ნავთობის ექსპორტიორმა არაბულმა სახელწიფოებმა თავიანთი გადაწყვეტილებით შეუმცირეს ნავთობის მიწოდება დასავლეთის სახელმწიფოებს, რამაც ენერგეტიკული კრიზისი გამოიწვია ამ ქვეყნებში. ამან გარკვეული ზემოქმედება იქონია და „საერთო ბაზრის" ქვეყნებმა 6 ნოემბერს თავიანთ ერთობლივ განცხადებაში მოუწოდეს ისრაელს დაეტოვებინა ოკუპირებული ტერიტორიები, რაც არაბთა გარკვეული წარმატება იყო მორალური თვალსაზრისით. საინტერესოა, რომ თვით ეგვიპტისა და მისი მოკავშირეების პოლიტიკური პოზიცია ყოველთვის არ იყო თანმიმდევრული და დამოკიდებული იყო, არა პერსპექტივაზე, არამედ ტაქტიკური უპირატესობის მოპოვებაზე დროის გარკვეულ მონაკვეთში. გასათვალისწინებელია ისიც რომ საბჭოთა ხელმძღვანელობამ იცოდა საიდუმლო

კონტაქტების შესახებ სადათსა და ამერიკელებს შორის, ამიტომ აქტიური სამხედრო დახმარება მხოლოდ ომის დასკვნით ეტაპზე განაახლა.[116]

აშშ-ს ამ ომის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა პოზიცია ექავა. გამომდინარე მიმდინარე მოვლენებიდან. ერთი მხრივ, ომის დაწყებით ეტაპზე ის მზად იყო განეხილა სხვადასხვა ვარიანტი ომის შეწყვეტისა, ხოლო მეორე მხრივ აჭიანურებდა გადაწყვეტილების მიღებას იმ იმედით, რომ ეს ისრაელს საშუალებას მისცემდა განევითარებინა შეტევა სინას და იორდანია-სირიის ფრონტებზე[117], რათა ისრაელის პოზიცია უფრო მომგებიანი ყოფილიყო. ასეთმა ტაქტიკამ ისრაელს და აშშ-ს გარკვეული მანევრირების საშუალება მისცა, ამავე დროს აშშ-ს ეშინოდა, რომ საბჭოთა კავშირი უშალოდ არ ჩარეულიყო მოვლენებში (საბჭოთა კავშირი აცხადებდა, რომ ეგვიპტის ხელმძღვანელობა სთხოვდა ამის შესახებ ბრეჟნევს და სავსებით შესაძლებელი იყო ასეთი რამ მომხდარიყო) 1973 წლის 25 ოქტომბერს ნიქსონმა ბრძანება გასცა საბრძოლო მზადყოფნაში მოეყვანათ აშშ –

---

[116] ეს არ ნიშნავდა იმას, რომ სსრკ არ ეხმარებოდა ეგვიპტეს. პირიქით ომის დაწყებამდე მათ განალაგეს სარაკეტო დივიზიონები ეგვიპტეში და მონაწილეობდნენ ფაქტიურად, საომარ მოქმედებებში ციტ. **Игнатов П. Д.** Военная тактика и стратегия в Арабо-Израельских воинх во второй половине XXв. gv. 56

[117] მოლაპარაკების გაჭიანურების ტაქტიკაზე თვით კისინჯერი ლაპარაკობდა ისრაელის ელჩ დინიცთან.

ს შეიარაღებული ძალები ევროპაში[118], მაგრამ ამ მოქმედებას გაგრძელება არ მოყოლია. აშშ-სა და საბჭოთა კავშირს კარგად ესმოდათ, რომ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მოლაპარაკების საფუძველზე გაერის ეგიდით, რადგან შემდგომი ესკალაცია სამხედრო მოქმედებებისა შესაძლებელს ხდიდა ფართომასშტაბიან საერთაშორისო კონფლიქტს არამარტო არაბებსა და ისრაელს შორის არამედ ორ დიდ სახელმწიფოს შორის.

აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ინტერესები ამ კონფლიქტის დროს გამოიხატებოდა შემდეგში:

1) არ დაეშვათ პოზიციების შესუსტება მეომარი მხარეების მიერ; 2) ყველა საერთაშორისო მექანიზმი აემოქმედებინათ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ;

3) დაეზაღებინათ ორივე მხარე, რომლის ინიციატორად გაერო გამოდიოდა (სინამდვილეში ეს აშშ-სა და საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება იყო).

მიუხედავად დაძაბულობისა აშშ-მ და საბჭოთა კავშირმა შეძლეს კრიზისის გადალახვა და არ მიმართეს კონფლიქტის გადაწყვეტის ძალისმიერ მეთოდს, თუმცა ახლოს იყვნენ მასთან. რაც შეეხება არაბ – ისრაელის 1973 წლის კონფლიქტს მან საერთაშორისო სამართლებრივ სიბრტყეში გადაინაცვლა და მისი მოგვარების ფორმები ჟენევის კონფერენციის მსჯელობის საგანი გახდა.

---

[118] არსებობს მოსაზრება, რომ ეს ნიქსონის დეპრესიულ მდგომარეობაში ყოფნის შედეგი იყო, როდესაც ის ძლიერ განიცდიდა უოტერგეიტის სკანდალში მონაწილეობას.

1973 წლის კონფლიქტის შედეგები აშშ და საბჭოთა კავშირისათვის. 1973 წლის ომმა სხვადასხვა გაკვლენა იქონია აშშ-სა და საბჭოთა კავშირის პოზიციებზე მახლობელ აღმოსავლეთში. ომმა გამოავლინა ერთი მხრივ, სადათის პროამერიკული პოლიტიკის გატარების მცდელობა საბჭოთა კავშირის ზურგს უკან, რომელიც შემდგომ რეალიზირებულ იქნა სეპარატულ შეთანხმებაში, მეორე მხრივ აშშ-ს მცდელობა გამოეთიშა სსრკ კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

ე. პრიმაკოვის აზრით, ეგვიპტესა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობების გაუარესება გამოწვეული იყო იმით, რომ „სადათმა გადაწყვიტა არაბული ინტერესების სრული იგნორირებით, პრობლემის ნაწილობრივ მოგვარება და მისი აზრით, კრიზისის პოლიტიკური გადაწყვეტის გასაღები აშშ-ს და არა სსრკ-ს ხელში იყო"[119] თავის მხრივ ა. სადათისთვის ომში გამარჯვება თვითმიზანს არ წარმოადგენდა, მისთვის მთავარი აშშ-სა და ისრაელისთვის ძალის დემონსტრირება იყო და ნიადაგს ამზადებდა მოლაპარაკებისათვის. სადათი ხედავდა, რომ სანამ ისრაელის უკან აშშ იდგა მასზე გამარჯვება შეუძლებელი იყო, გარდა ამისა იცოდა, რომ ისრაელი ფლობდა ბირთვულ იარაღს, რომელიც გოლდა მეიერის თქმით „საჭიროების შემთხვევაში ებრაელების ბოლო არ-

---

[119] **Примаков Е.** Анатомия Ближневосточного конфликта .М. 1977. ст. 57

გუმენტი იქნებოდა"[120] თუ კარგად ნაგხედავთ მოვლენების განვითარების ქრონოლოგიას, ა. სადათმა ისრაელი, აშშ და საბჭოთა კავშირი თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა. აშშ-ს პოლიტიკა ამ კონფლიქტის დროს ერთმნიშვნელოვნად არ იყო ისრაელის მხარეს, რადგან მისი (ისრაელის) სიჯიუტე ხელს უშლიდა აშშ-ს პოლიტიკას უფრო მოქნილი ყოფილიყო, მაგრამ ამავე დროს ითვალისწინებდა, რომ ისრაელი იყო ის ძალა, რომლის გარეშეც აშშ-ს გავლენა ახლო აღმოსავლეთში ეფექტური არ იქნებოდა. აშშ-ს პოლიტიკა მიმართული იყო, როგორმე შეესუსტებინა სსრკ-ს გავლენა მახლობელ აღმოსავლეთში.

რა პოლიტიკური დივიდენდები მიიღეს აშშ-მ და საბჭოთა კავშირმა ამ კონფლიქტის შედეგად და შეესაბამებოდა თუ არა ის მათ გეგმებს? პირველ რიგში უნდა ავღნიშნოთ, რომ სამხედრო მეთოდებით საკითხის გადაწყვეტა ჰქმნიდა დიდ დაძაბულობას არამარტო რეგიონში, არამედ აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებშიც რაც გარკვეულ ეტაპზე საშიშროებას ჰქმნიდა მათი სამხედრო კონფრონტაციისათვის. მახლობელი აღმოსავლეთი თავისი ეკონომიკური მნიშვნელობით პრიორიტეტული იყო როგორც ამერიკისთვის, ასევე სხვა სახელმწიფოებისთვის. მათ გარდა ენერგეტიკული ინტერესებისა სხვა სახის ეკონომიკური ინტერესებიც გააჩნდათ. საბოლოო ჯამში, აშშ-ს პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთში ყოველთვის მიმარ-

[120]ა. ციციაშვილი. დასახ. ნაშ. გვ. 78

თული იყო დაეცვა ისრაელის სახელმწიფო ინტერესები და აეძულებინა არაბული ქვეყნები ეცნოთ მისი უფლება არსებობაზე. სადათის მოსელამ ხელისუფლებაში შექმნა ის წინაპირობა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ამის გაკეთება და გაწყვიტა ის ჯაჭვი, რომელიც არაბული სოლიდარობის სიმბოლო იყო. ამერიკულმა დიპლომატიამ შეძლო იმის გაკეთება, რაც ვერ შეძლო იარადმა. მან სხვადასხვა მეთოდებით დაარწმუნა ეგვიპტის მხარე წასულიყო სეპარატულ შეთანხმებაზე ისრაელთან და ამით, ნაწილობრივ, საშუალება მისცა ეგვიპტეს დაებრუნებინა ის ტერიტორიები, რომლებიც ოკუპირებული იყო ისრაელის მიერ 1967 წელს.[121] ამ ნაბიჯით აშშ-მ, ერთი მხრივ დაანახა არაბებს, რომ თუ ისინიც მიბაძვდნენ ეგვიპტეს მათაც ექნებოდათ საშუალება (ეგულისხმობთ სირიას და იორდანიას) ნაწილობრივ მიეღწიათ ტერიტორიული პრობლემის გადაწყვეტისათვის.[122] თავის მხრივ, ეგვიპტის მიერ ისრაელის ცნობამ, კემპ-დევიდის[123] შეთანხმების შემდეგ, გაარღვია ის დიპლომატიური იზოლაცია, რომელშიც იმყოფებოდა ისრაელი და რომლის პრეცენდენტიც მისთვის

---

[121] ა. ციციაშვილი. დას, ნაშ გვ.56

[122] ისრაელის მიერ არაბთა ტერიტორიის ანექსია განპირობებული იყო არამარტო საკუთარი ტერიტორიის მექანიკური გაზრდით,. არამედ თავისი უსაფრთხოების და სხვადასხვა ბუნებრივი რესურსების დაუფლების სურვილით. მათ შორის წყლის რესურსებითაც. იხ. შ. დათიაშვილი წყლის პრობლემა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობებში. დიპლომატიური წყლიდწლეული. ტ. 6. თბ .2000.

[123] კემპ-დევიდის შეთანხმება -

მნიშვნელოვანი იყო. საბჭოთა კავშირის პოზიციები საფათის პრეამერიკული კურსის შედეგად შესუსტდა, მაგრამ ამავე დროს შეძლო პოზიციების შენარჩუნება იმ არაბულ ქვეყნებში, რომლებიც მასზე იყვნენ ორიენტირებული და უარს აცხადებდნენ ისრაელთან ყოველგვარ კომპრომისზე. ეს კონფლიქტი სცილდებოდა პოლიტიკურ ფარგლებს და მასში აქტიურად დომინირებდა რელიგიური ფაქტორიც, რომელიც ისრაელ-არაბული ქვეყნების პოლიტიკურ დაპირისპირებაში სიმბოლოდ იქცა.

1973 წლის მოვლენები საბჭოთა კავშირისათვის მეტად მტკივნეული აღმოჩნდა, რაც აისახა მის ურთიერთობაში ეგვიპტესთან, ფაქტობრივად შემდეგ დაიწყო მისი სწრაფი გაძევების პროცესი ამ რეგიონიდან.

ფაქტობრივად, 1973 წლის ომი იყო შედეგი იმ პროცესებისა, რომელიც ვითარდებოდა რეგიონში 40-იანი წლების ბოლოდან. აშშ-სა და საბჭოთა კავშირის პოზიციები ხშირ შემთხვევაში დამოკიდებული იყო იმ გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე რომელიც მაშინ არსებობდა. ამავე დროს ამ ომმა აჩვენა, რომ იარაღის ძალით პრობლემის გადაწყვეტა არ წყვეტს პრობლემის ფუნდამენტალურ არსს და საჭიროა მუდმივი დიალოგი, რომელიც დააახლოვებს მხარეთა პოზიციას. აშშ-ს სურდა უშუალოდ ჩარეულიყო მოვლენებში, რადგან ამ ქვეყანამ როგორც იყო დაამთავრა ვიეტნამის კამპანია და მისთვის მორალურად ძნელი იყო ახალ კონფლიქტში ჩათრევა. აშშ, რა თქმა

უნდა, ისრაელის მხარეს იყო, მაგრამ ამავე დროს სურდა ეხილა ისრაელი „გამარჯვებული, მაგრამ გატეხილი ცხვირით", რომელიც ისრაელს გახდიდა უფრო დამთმობს და კომპრომისულს მისი არაბი მეზობლების მიმართ.

თავი V

აშშ-ს ჩინეთთან დაახლოების პოლიტიკა და „შანხაის კომუნიკე"

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აზიის პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა ახალი სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთი იდეოლოგიით ახლოს იდგნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ რეჟიმთან. ასეთ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ჩინეთი. თავისი ტერიტორიული სიდიდით, მოსახლეობის რესურსებითა და ისტორიულ-კულტურული კავშირებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან ჩინეთის ურთიერთობის საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო საერთაშორისო პოლიტიკაში.

ჩინეთის ხელისუფლებაში მაო ძე დუნის მოსვლის შემდეგ ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში ახალი ეტაპი დაიწყო. ამ კურსის მთავარი მიზანი იყო დაენერგა კომუნისტური (მაოისტური) იდეოლოგია ინდოჩინეთის ქვეყნებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. ამერიკის შეერთებული შტატები შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის გააქტიურებას ამ რეგიონში. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის ახალი გეოპოლიტიკური დოქტრინა ითვალისწინებდა კომუნიზმის შეკავებას არამარტო ევროპის ქვეყნებში, არამედ აზიის კონტინენტზეც. სსრკ-სა და ჩინეთის გააქტიურება ინდოჩინეთის რეგიონში ამერიკის პოლიტი-

კური წრეებისათვის მიჩნეული იქნა ყველაზე საშიშ მოვლენად მაშინდელი მსოფლიოს იდეურ-პოლიტიკურ არენაზე.

კორეისა და ინდოჩინეთის ომებმა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაანახა, რომ ჩინეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა აშშ-ს პოლიტიკური გავლენის შენარჩუნება წყნარი ოკეანის აუზში.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ჩინეთ – საბჭოთა კავშირის დაპირისპირებამ ხელსაყრელი პოლიტიკური ფონი შექმნა ამერიკის შეერთებული შტატების დაახლოებისათვის ჩინეთის რესპუბლიკასთან, რომელსაც ასევე სურდა გაერღვია თვითიზოლაციის მოჯადოებული რკალი და დაბრუნებოდა დიდ პოლიტიკას.

აშშ-ს ჩინეთთან დაახლოების პოლიტიკა და „შანხაის კომუნიკე", წარმოაჩენს ამერიკის შეერთებულ შტატების ჩინეთთან ურთიერთობების ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო მონაკვეთს, რომლის ჭრილშიც კარგად ჩანს ორი ქვეყნის დაინტერესების სფეროები, კერძოდ,

- ჩინეთის სურვილი დაეკავებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავისი კუთვნილი ადგილი.
- შეენელებინა სამხედრო კონფრონტაციის შესაძლებლობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან
- აშშ-სთან დაეწყო მოლაპარაკება ტაივანის საკითხთან დაკავშირებით.

- აშშ-სთან ერთად შეეჩერებინა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და იდეოლოგიური გავლენის ზრდა სამხრეთ – აღმოსავლეთ აზიასა და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე.

თავის მხრივ, აშშ-ს პოლიტიკური წრეებისათვისაც მისაღები იყო ჩინეთთან დაახლოების პოლიტიკა, რადგან ამით

- ხელს შეუწყობდა რეგიონში საბჭოთა კავშირის პოლიტიკური გავლენის შესუსტებას.
- ჩინეთის საბჭოთა კავშირზე ჩამოცილების შემდეგ მისთვის პოლიტიკურად მომგებიანი იქნებოდა ჩაერთო იგი თავის გეოპოლიტიკურ გეგმებში, რითაც შეასუსტებდა ატომური დაპირისპირების საშიშროებას ჩინეთთან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ორი დაპირისპირებული ბანაკი მნიშვნელოვან საშიშროებას წარმოადგენდა მსოფლიოს მშვიდობიანი განვითარებისათვის. ორი სამხედრო – პოლიტიკური დაჯგუფების ჩამოყალიბების პირობებში, დიდი სახელმწიფოების მხრიდან მიმდინარეობდა გავლენის სფეროების ახალი გადანაწილების პროცესი. ძველი კოლონიური სახელმწიფოები (საფრანგეთი და ინგლისი) პოლიტიკური არენიდან მიდიოდნენ, რადგან მათ არ შეეძლოთ ამ რეგიონში პოლიტიკური გავლენის შენარჩუნება. სწორედ ამ დროს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირი ანტიკოლონიური პროცესის გამოყენებით ცდილობდა კომუ-

ნისტური იდეოლოგიის დანერგვასა და თავისი პოლიტიკური გავლენის გაფართოებას. აღნიშნულ პროცესებს თან სდევდა ლოკალური კონფლიქტები, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდა აშშ, ჩინეთი და სსრკ. ნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თავის მხრივ, ამ რეგიონებში გავლენის სფეროების შენარჩუნებასა და გაფართოებაზე მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიაც.

აშშ-ს ჩინეთთან დაახლოების პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური თეორიის თვალსაზრისთ შეიძლება განვიხილოთ პოლიტიკური რელიზმის თეორიის ჭრილში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს თეორია საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორიაა. ამ თეორიის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი სუბიექტი სახელმწიფოა, ძირითადი მამოძრავებელი იდეა – სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები, განმსაზღვრელი ფაქტორი – ძალა (სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური), ხოლო რეგულატორი – ძალთა წონასწორობა, რასაც ემორჩილება საერთაშორისო სამართალი და მორალი[124].

პოლიტიკური რეალიზმის ძირითადი პრინციპები 1513 წელს ჩამოაყალიბა ნიკოლო მაკიაველმა ნაწარმოებში „მთავარი“[125], თუმცა ამ თეორიის ცალკეული იდეები ჯერ

---

[124] **ალ რონდელი,** საერთაშორისო ურთიერთობები, მესამე გადახალებული გამოცემა. თბ. 2006. გვ. 64-67

[125] **ნიკოლო მაკიაველი,** მთავარი. თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა, თბილისი 1984.

კიდევ ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის თუკიდიდეს „პელოპონესის ომების ისტორიაში“ გვხვდება. აღნიშნულმა პრინციპებმა შემდგომი განვითარება თომას ჰობსის „ლევიათანში“ ჰპოვა[126].

პოლიტიკური რეალიზმის თეორია, როგორც მეცნიერული თეორია XX საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა, მას შემდეგ რაც 1946 წელს გამოქვეყნდა ე. ქარის „ოცწლიანი კრიზისი“, 1948 წელს გამოქვეყნდა ჰ. მორგენტაუს „პოლიტიკა სახელმწიფოებს შორის“[127]. ამ ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარეს პოლიტიკური რელიზმის თეორიას საერთაშორისო ურთიერთობებში. ერთმანეთისაგან განასხვავებენ კლასიკური პოლიტიკური რეალიზმის თეორიას და ნეორეალიზმს, რომლის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია 1979 წელს გამოცემულ კ. უოლცის წიგნში „საერთაშორისო ურთიერთობათა პოლიტიკური თეორია“,[128] სადაც განმსაზღვრელ ფაქტორად მიჩნეულია არა ადამიანის ბუნება, არამედ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა, კერძოდ, მისი ანარქიული ხასიათი[129].

დღეს პოლიტიკური რეალიზმი ყველაზე გავლენიან თეორიას წარმოადგენს, რომელიც ემყარება ოთხ საკვანძო

---

[126] **Томас Гоббс**, Сочинения. Т. 2. М. 1991. с. 94-97.

[127] **Morgentau H.** Politics Among Nations. The Struggle for Power and Peace. N. Y. 1965. **Моргентау Г.** Четыре парадокса ядерной стратегии. Американцы размышляют, американцы критикуют: Проблемы внешней политики США. М. 1973.

[128] **Waltz K.** Theory of International Politics. Reading. Mass., 1979.

[129] იქვე. გვ. 347

წარმოდგენას: 1. სუვერენული სახელმწიფოები არის საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოქმედი პირები. 2. სახელმწიფოები თეორიული ანალიზის ძირითადი ერთეულებია, 3. საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა სწავლობს ამ ერთეულების ურთიერთქმედებას.

საერთაშორისო პრობლემების იერარქიაში უმნიშვნელოვანესია ეროვნული უსაფრთხოება. სამხედრო და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხები მსოფლიო პოლიტიკაში პრიორიტეტით სარგებლობს. რეალიზმის კონცეფციის თანახმად „მაღალი პოლიტიკა" არის სამხედრო უსაფრთხოება და სტრატეგიული საკითხები, ხოლო სოციალური და ეკონომიკური საკითხები ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშშ-ს მცდელობა გაეძლიერებინა თავისი გავლენა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე გამოწვეული იყო, ერთი მხრივ აშშ-ს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მიზნებით, ხოლო მეორე მხრივ ეკონომიკური ინტერესებით, რომელიც თავის მხრივ შედიოდა რეგიონში არსებული სახელმწიფოების ინტერესებშიც.

ჩინეთ-აშშ-ს ურთიერთობებზე ზემოთ განხილულ საკითხებშიც მოგვიხდა საუბარი. გასაგები მიზეზების გამო საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ამ თემის გარშემო დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ პროპაგანდისტული ხასითის ლიტ-

ერატურა არსებობდა, უკეთეს შემთხვევაში აშშ-ის პოლიტიკას საბჭოელი ავტორები გაკვრით ეხებოდნენ, მაგრამ 80-იანი წლების დასაწყისში თანდათანობით გაჩნდა ახალი სახის მახალა, რომელიც აშუქებდა ამა თუ იმ საკითხს აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში.[130]

ინგლისურენოვან ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი უფრო დეტალურად არის შესწავლილი და წარმოჩენილი.[131]

აშშ-სა და ჩინეთის ურთიერთობები XX საუკუნის 50-60-იან წლებში. ჩინეთში კომუნისტური რეჟიმის მოსვლას მოჰყვა მისი ჩართვა საბჭოთა კავშირის მხარეს პოლიტიკურ ბლოკში.[132] 1949 წლის ჩინეთის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ამ სახელმწიფომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აშკარა პროსაბჭოური პოლიტიკის გატარება დაიწყო. მიუხედავად ამისა, უკვე მაშინ შეინიშნებოდა განსხვევებული მიდგომა მთელი რიგი საერთაშორისო და რეგიონალური პრობლემების მიმართ

---

[130] **Астафьев Г. В.** США и Китай. М., 1983; **Бажанов Е. П**. Движущие силы политики США в отношении Китая. М., 1982; История международных отношений на Дальнем Востоке. 1945-1977 / Отв. Ред. **С. Л. Тихвинский**. Хабаровск. 1978; **Капица М.С**. КНР: три десятилетия – три политики. М. 1979; **Ледовский А.М**. Китайская политика США и советская дипломатия, 1942 – 1954. М. Международные отношения, 1985; **Меркулов С. К.** Американо-китайское сближение (вторая половина 70-х гг). М. Наука, 1980;

[131] **Kissinger H.** White House years. Boston: Little Brown and Company, 1979 The joint U.S. – China communiqué, Shanghai, February 27, 1972 // America and island China. pp 23

[132] История международных отношений на Дальнем Востоке. 1945-1977. გვ. 47

საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მესვეურებს შორის.

ჩინეთში ხელისუფლების შეცვლამ და იქიდან გომინდანის რეჟიმის განდევნამ, აშშ-ს პოლიტიკას მთელი რიგი პრობლემები შეუქმნა შორეულ აღმოსავლეთში, რადგან ის პოლიტიკური კონსტრუქცია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის და მის მომდევნო პერიოდში არსებობდა ამ რეგიონში ხელსაყრელი და მისაღები იყო აშშ-ს ადმინისტრაციისათვის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კოლონიური სახელმწიფოების დასუსტებამ სამხრეთ აღმოსავლეთ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში პოლიტიკური მოვლენების დიდი სისწრაფით ცვლილებები გამოიწვია.

სსრკ-ს მიერ განხორციელებულმა „იდეოლოგიური შეტევის" პოლიტიკამ და აშშ-ს სათავეში რუზველტის სიკვდილის შემდეგ ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოსვლამ ეტაპობრივად გამოიწვია მისი პოლიტიკის დაპირისპირება საბჭოთა კავშირის და მისი ბლოკის წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ, ხოლო ჩერჩილის გამოსვლამ ფულტონში[133] იდეოლოგიური ნიადაგი შეუმზადა „ცივი ომის დაწყებას."

---

[133] იხილეთ ჩერჩილის გამოსვლა ფულტონში: **გ. კუკუტარია**, უინსტონ ჩერჩილის სიტყვა, წარმოთქმული ქალაქ ფულტონშ (აშშ) 1946 წლის 5 მარტს. ქართული დიპლომატია, წელიწდეული ტ. 10. თბ. 2003. გვ. 221-242.

შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ კორეისა და ტაივანის საკითხთან დაკავშირებით, მწიფდებოდა სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი, რომელშიც აქტიურად ჩაერთო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. რა თქმა უნდა, კონტინენტალური ჩინეთის რესურსული ბაზა შორს იყო აშშ –ს სამხედრო – ეკონომიკურ პოტენციალთან. გარდა ამისა, ამბიციური ჩინეთისათვის ხელსაყრელი საბაბი იყო ტაივანის[134] საკითხის წინ წამოწევა, როგორც საშუალება მოესინჯა თავისი ძალები ახალ პოლიტიკურ რეალობაში.

აშშ შეეცადა სიტუაციის თავის სასარგებლოდ შეცვლას. მისი დახმარებით ტაივანზე გაქცეული გომინდანის ხელისუფლება საერთაშორისო არენაზე ცნობილი იქნა, როგორც ჩინეთის რესპუბლიკა რომელსაც სათავეში ჩან-კაი-ში ედგა. ორი ჩინეთის არსებობა ორი ლიდერისათვის შეუთავსებული იყო როგორც მორალური თვალსაზრისით, ასევე პოლიტიკურადაც. ტაივანის პრობლემამ დიდი როლი ითამაშა აშშ - ჩინეთის ურთიერთობების გამწვავებაში, რომელიც დღესაც კი ლაიტმოტივად გასდევს ორი ქვეყნის ურთიერთობას.

---

[134] ქ. ტაივანი 1895 შედიოდა ჩინეთის შემადგენლობაში, ხოლო ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ (1894), სიმონოსეკის ხელშეკრულებით ის იაპონიას გადაეცა, რომლის მფლობელობაში ის 1945 წლამდე იყო. 1949 წელს კუნძულს თავი შეაფარეს გომინდანელებმა. ტაივანი დღეს ნახევრად აღიარებული სახელმწიფოა, რომელიც შეიძლება შეუერთდეს ჩინეთს მისი სტატუსის განსაზღვრის შემდეგ.

ჩინეთისათვის ტაივანზე თავისი სუვერენიტეტის აღდგენა პრინციპული საკითხი იყო, რადგან მისი მმართველი ჩან კაი ში, მაო ძე დუნის მიერ მოიაზრებოდა თავის პოლიტიკურ ოპონენტად, რომელსაც საკუთარი ხედვა ჰქონდა ჩინეთის მომავალი განვითარებასა და როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში.

1950 წელს დაწყებული კორეის ომი ირიბად ჩინეთისკენაც იყო მიმართული. ტაივანის მხარდაჭერის პოლიტიკა აშშ-ს მხრიდან მიზნად ისახავდა ჩინეთის პოლიტიკურ იზოლაციას საერთაშორისო ურთიერთობებში და ჩინეთის ყურადღების გადატანას ამ საკითხის მიმართ. აშშ-ს ჩინეთზე ზემოქმედების სხვა ბერკეტებიც გააჩნდა, რომელსაც ეს უკანსკნელი მტკივნეულად აღითქვამდა:

1. გაეროს ადგილი ჩინეთში ტაივანს ეკავა. 2. აშშ-ს მხრიდან ტაივანის დაცვა, რათა იგი ჩინეთის ალტერნატიულ ძალად გადაექცია რეგიონში.

3. 1954 წელს აშშ-მა და ტაივანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ერთობლივი თავდაცვის შესახებ: ე. წ. „ფორმოზას რეზოლუციას[135]“.

XX საუკუნის 50-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში შემუშავებული იქნა ე. წ. „დომინოს თეორია“[136],

---

[135] **ფორმოზას რეზოლუცია** – ხელშეკრულება აშშ-სა და ტაივანის ჩინურ სახელმწიფოს შორის, რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო-ეკონომიკურ დახმარებას.

[136] **დომინოს თეორია** – პოლიტიკური თეორია, რომელიც აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში XX საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში გახდა პოპულარული. ამ თეორიის მიხედვით, დომინოების, იმავე

რომლის თანახმად რომელიმე აღმოსავლური რეჟიმის დაცემა გარდაუვალად გამოიწვევდა მსგავსი რეჟიმების დაცემას მეზობელ ქვეყნებში. ამ თეორიის თანახმად ვიეტნამში კომუნისტური რეჟიმის დამყარება გამოიწვევდა მთელი ინდოჩინეთის გაწითლებას, რასაც მოჰყვებოდა სსრკ-ს პოლიტიკური გავლენის გაძლიერება და ამერიკის განდევნა რეგიონიდან. ამ ნიადაგზე 60-იან წლებში აშშ ჩათრეული აღმოჩნდა ვიეტნამის ომში, რის გამოც თანდათანობით კარგავდა გავლენის სფეროებს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში.

თავის მხრივ ჩინეთის საგარეო პოლიტიკაშიც იჩინა თავი ახლმა ტენდენციებმა, რომლის მიზეზეც ერთი მხრივ იყო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გაფუჭება და მეორე მხრივ არაადეკვატური მოქმედება მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. მიუხედავად ამისა, ჩინეთის ფაქტორი მნიშვნელოვანი იყო არამარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, არამედ მსოფლიო პოლიტიკაში, რადგან მის პოზიციაზე ბევრად იყო დამოკიდებული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში პოლიტიკური სტაბილიზაცია.

სახელმწიფოების წაქცევის მიზეზი საერთაშორისო კომუნიზმი იყო, რომლის ექსპორტს საბჭოთა კავშირი ეწეოდა. ამიტომ დაუშვებელი იყო, რომელიმე სახელმწიფოში კომუნიზმის გამარჯვება. დომინოს თეორიის მომხრეები განსაკუთრებულ ყურადღებას ვიეტნამისა და ინდოჩინეთის კომუნიზმისაგან დაცვას აქცევდნენ. დომინოს თეორიის ავტორებს კომუნიზმის როლის გაზვიადების გამო აკრიტიკებენ. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბ. 2004. გვ. 67.

აშშ-ის პოლიტიკამ ინდოჩინეთში ურთიერთობა გაურთულა მთელ რიგ სახელმწიფოებთან, გარდა ამისა აშკარად ნათელი იყო რომ აშშ ვერ შეძლებდა ვიეტნამის ომიდან გამოსვლას, თუ ის ვერ შეძლებდა საბჭოთა კავშირის ნეიტრალიზაციას. ამისთვის კი ყველაზე ხელსაყრელი საშუალება იყო ჩინეთთან კონტაქტების დამყარება და მისი აქტიური ჩართვა მსოფლიო პოლიტიკაში. აქტობრივად, ვიეტნამის ომმა ნაწილობრივ განსაზღვრა საგარაუდო მოკავშირის კონტური.[137] რ. ნიქსონის ადმინისტრაციამ შეიმუშავა ვიეტნამის ომის დამთავრების ფართომასშტაბიანი გეგმა, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა უთანხმოების ჩამოგდებას, ვიეტნამის ორ მოკავშირეს – სსრკ-სა და ჩინეთს[138] შორის რადგანაც ვიეტნამი ეწინააღმდეგებოდა მოლაპარაკების დაწყებას და იძულებული გახდებოდა ეს ნაბიჯი გადაედგა თუ ჩინეთ-აშშ-ს ურთიერთობები დათბებოდა სამოკავშირეო დონეზე. ამ შემთხვევაში აშშ იოლად დათმობდა ვიეტნამს, რადგან წამყვანი სახელმწიფო-ჩინეთი უკვე მისი მოკავშირე იქნებოდა.

აშშ – ჩინეთის დაახლოებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამ დროს მოხდა დამანსკის ინციდენტი

---

137. **Меркулов С. К.** Американо-китайское сближение (вторая половина 70-х гг). М. 1980. გვ. 78

138 საგულისხმოა, რომ სსრკ-სა და ჩინეთს შორის ამ დროს უკვე საკმაოდ დაძაბული ურთიერთობები იყო, რამაც ხელი შეუწყო აშშ-ს ჩინეთთან დაახლოების პოლიტიკას.

(1969), რომლმაც ყველას დაანახა თუ როგორ შეიძლება კონფრონტაციამდე მივიდეს ორ ყოფილ მოკავშირეებს შორის. ურთიერთობების გაცივება ყოფილ მოკავშირეებს შორის გამოიწვია ჩინეთის ტერიტორიულმა პრეტენზიებმა მეზობელი სახელმწიფოების მათ შორის საბჭოთა კავშირის მიმართ.

ახალი დიპლომატიური ხედვა აშშ-ს მხრიდან. აშშ –ს ჩინეთთან დაახლოების პოლიტიკას წინ უსწრებდა მთელი რიგი საკითხების შესწავლა, რომელიც აუცილებელი იყო პოლიტიკური ნაბიჯების გასათვლელად. პირველ რიგში ეს იყო: 1. აშშ-ს ურთიერთობა კომუნისტურ ჩინეთთან და ჩინეთის რესპუბლიკასთან (ტაივანთან) 2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გეგმები აზიაში, 3. აშშ-ს ალტერნატიული მიდგომა ჩინეთისადმი და მასთან დაკავშირებული საფრთხეები და ა. შ; აშშ-ს დიპლომატიურმა წრეებმა, ჩინეთთან ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, შეიმუშავეს ე. წ. „სამკუთხა დიპლომატია", რომლის ავტორი იყო აშშ-ს პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰენრი კისინჯერი.[139] მისი აზრით, დიდ სახელმწიფოებს შორის (აშშ და სსრკ)

---

[139] **ჰენრი კისინჯერი** - ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი 1973-1977 წლებში რიჩარდ ნიქსონისა და ჯერალდ ფორდის პრეზიდენტობის დროს. აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში 1969-1975 წლებში: საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი. 1973 წელს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის.
Kissinger H. White House years. Boston. 1979.

ძალთა თანაფარდობის შესანარჩუნებლად აუცილებელია მესამე სახელმწიფოს (ჩინეთის) მსოფლიო პოლიტიკაში ჩაბმა. გარდა ამისა, ჩინეთის სურვილს აშშ-სთან მოეგვარებინა ურთიერთობები გამოწვეული იყო ჩინეთში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ფონით, სოციალურ-ეკონომიკურმა ექსპერიმენტებმა „დიდი ნახტომის პოლიტიკამ", „კულტურულმა რევოლუციამ" და ა.შ. ჩინეთი მძიმე კრიზისამდე მიიყვანა. ამას დაერთო ფაქტობრივი თვითიზოლაცია გარე სამყაროსგან, რომელიც ნეგატიურად აისახა ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში. ბუნებრივია, შექმნილი მდგომარეობიდან ჩინეთი ცდილობდა გამოსვლას, მაგრამ ისე, რომ შეენარჩუნებინა თავისი რენომე მცირერიცხოვანი მოკავშირეების თვალში.

აშშ-ს მხრიდან განხორციელებულმა დიპლომატიურმა სვლებმა თავისი შედეგი გამოიღო, როდესაც 1969 - 1970 წლებში აშშ-ს დიპლომატებმა შეძლეს ურთიერთობების დამყარება ჩინელ დიპლომატებთან. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს დიპლომატიას ამ მხრივ დიდ დახმარებას უწევდა პაკისტანი, სადაც 1969 წელს ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ს პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი. სწორედ პაკისტანის პრეზიდენტის იეჰაია ხანის[140] ვიზიტმა ჩინეთში გადამწყვეტი როლი იქონია ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის თვალსაზრისით. საგულისხმოა, რომ

---

[140] **იეჰაია ხანი** – აღა მუჰამედ იეჰაია ხანი პაკისტანის პრეზიდენტი იყო 1969-1971 წლებში.

ურთიერთობების აღდგენაში დიდი როლი ითამაშა სახალხო დიპლომატიამ, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში „პინგპონგის დიპლომატიის[141]“ სახელით არის ცნობილი. ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ 1971 წლის 6 აპრილს იაპონიაში მსოფლიოს 31-ე ჩემპიონატზე მყოფმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გუნდმა აშშ-ს სპორტსმენები მიიწვია ჩინეთში. 10 აპრილს ცხრა ამერიკელი სპორტსმენი, ოთხი ოფიციალური პირისა და ორი სპორტსმენის მეუღლის თანხლებით ჩინეთს ეწვია. ეს იყო ამერიკელთა პირველი ვიზიტი ჩინეთში 1949 წლის შემდეგ[142].

1971 წლის 14 აპრილს ამერიკელი სპორტსმენები მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერმა ჯოუ ენ ლაიმ, რომელმაც სპორტსმენებს განუცხადა: „თქვენ გახსენით ახალი თავი ამერიკელი და ჩინელი ხალხის ისტორიაში“[143]. იმავე 14 აპრილს აშშ-მ მოხსნა 20 წლიანი სავაჭრო ემბარგო ჩინეთის წინააღმდეგ.

---

[141] **პინგპონგის დიპლომატია** – სახალხო დიპლომატია, რომელმაც სახელწოდება მიიღო აშშ-სა და ჩინეთის შორის პოლიტიკური ურთიერთობების აღდგენის მეტად საინტერესო ეპიზოდით, რომელიც მაგიდის ჩოგბურთის სპორტსმენთა ისტორიასთან არის დაკავშირებული.

[142] აშშ-სა და ჩინეთს შორის დიპლომატიური და სხვა სახის ურთიერთობები შეწყდა მას შემდეგ, რაც მაო ძე დუნმა 1949 წელს ნაციონალური გომინდანის მთავრობა ჩან კაი შის მეთაურობით ჩამოაგდეს და ჩინეთში კომუნისტური რეჟიმი გამოაცხადეს.

[143] **Kissinger H.** White House Years. Boston 1979. გვ. 184.

1949 წლის შემდეგ ეს იყო ჩინეთის პირველი ინფორმაციული ბლოკადის გარღვევა. ამის შემდეგ 1970 წლის ბოლოს და 1971 წლის დასაწყისში აშშ-სა და ჩინეთს შორის მომწიფდა სიტუაცია, რათა მათი უმაღლესი პირები ერთმანეთს შეხვედროდნენ. 1971 წლის განმავლობაში ჰენრი კისინჯერი ორჯერ საიდუმლოდ ეწვია ჩინეთს ურთიერთობების აღდგენის მიზნით. ბუნებრივია, რომ ორივე ქვეყანა საბჭოთა აგრესიის არსებობის პირობებში ცდილობდა მოლაპარაკებების დაწყებას. ფაქტობრივად აშშ-სა და ჩინეთის უმაღლეს ხელისუფალთა შეხვედრა ჰენრი კისინჯერმა მოაწყო. 1971 წლის წლის ზაფხულში აშშ-ს პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ აუცილებლად გაემგზავრება ჩინეთში, რათა დაიწყოს მოლაპარაკებები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დარეგულირებასთან დაკავშირებით. აშშ-ს კონგრესი მიესალმა ცნობას ნიქსონის ჩინეთში ვიზიტის შესახებ და ამასთან დაკავშირებით სპეციალური რეზოლუცია მიიღო. 1972 წლის 21 თებერვალს რიჩარდ ნიქსონი ჩინეთს ეწვია. აშშ-ს პრეზიდენტებს შორის იგი იყო პირველი ამერიკელი პრეზიდენტი რომელიც ჩინეთს ეწვია. რ. ნიქსონმა მოლაპარაკებები აწარმოა მაო ძე დუნთან და პრემიერ ჯოუ ენ ლაისთან. ორ ქვეყანას შორის კონტაქტების აღდგენას მართლაც დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა, რადგან არაფის ეგონა, რომ „ჩინური რკინის ფარდა" ასე მოულოდნელად დაეშვებოდა და გზას გაუხსნიდა არამარტო ამ ორი

ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს, არამედ აზიის რეგიონში არსებული კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირებას[144].

შანხაის კომუნიკე და მისი როლი ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობებში. ნიქსონის ვიზიტმა დიდი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია მაშინდელ მსოფლიოში. 27 თებერვალს მხარეებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს, რომელიც საერთაშორისო ურთიერთოებების ისტორიაში **„შანხაის კომუნიკეს"** სახელითაა ცნობილი. 1949 წლის შემდეგ ეს იყო პირველი პოლიტიკური ხელშეკრულება აშშ-სა და ჩინეთს შორის. თვით „შანხაის კომუნიკე" მცირე ზომის დოკუმენტია და რამდენიმე დებულებისაგან შედგება. ამ დებულებათა თანახმად ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ხუთ ძირითად პრინციპს უნდა დაფუძნებოდა: ***ურთიერთპატივისცემას, ტერიტორიულ სუვერენიტეტს, საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, სამართლიანობას და მშვიდობიან თანაარსებობას.***

„შანხაის კომუნიკეს"-ს წინ უძღოდა მძიმე დიპლომატიური მოლაპარაკებები, მაგრამ მან მკვეთრად შეცვალა ძალთა ბალანსი აზიის რეგიონში. კომუნიკეში დაფიქსირებულია აშშ-სა და ჩინეთის ინტერესების სამი ძირითადი ასპექტი:

- ამერიკისა და ჩინეთის ინტერესები რეგიონში

---

[144] **Brodin V. Selden M.** Open secret the Kissinger Nixson doctrine in Asia. N.Y. 1982.

- საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი პრინციპების დაცვა
- ტაივანის საკითხი.

აშშ-სა და ჩინეთის ინტერესები რეგიონში პირველ რიგში ითვალისწინებდა ინდოჩინეთის საკითხის მოგვარებას, როგორც დოკუმენტში იყო ნათქვამი „საგარეო ზეწოლის გარეშე". აშშ ადასტურებდა თავის პოზიციას, რომ ინდოჩინეთის თითოეულ ქვეყანას თვითგამორკვევის უფლება ჰქონდა. ეს საკითხი ფაქტობრივად უკვე არც იყო დამოკიდებული აშშ-ზე, მაგრამ მისი ადიარება ათწლიანი ომის შემდეგ პოლიტიკური კულტურის საკითხი იყო.

გარდა ამისა, აშშ-მ დაადასტურა, რომ მისი მოკავშირეები კორეა და იაპონია რჩებიან გავლენის სფეროდ, რადგან მათთან განსაკუთრებული ურთიერთობები გააჩნია და ა.შ.

თავის მხრივ, ჩინეთმა დეკლარირებულად გამოაცხადა, რომ „დიდმა ერებმა მცირე ერები არ უნდა დააშინონ" და რომ „ჩინეთი დაუჭერს მხარს იმ ხალხს, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. ყველა ერს აქვს უფლება, სურვილის მიხედვით აარჩიოს მისადები სოციალური სისტემა."[145]

---

[145] **Меркулов С. К.** Американо-китайское сближение (вторая половина 70-х гг). М. 1980; История международных отношений на Дальнем Востоке. 1945-1977 / Отв. Ред. **С. Л. Тихвинский**. Хабаровск. 1978;

როგორც ცნობილია, ტაივანის საკითხი ყოველთვის განსაკუთრებით მწველად იდგა ორ ქვეყანას შორის. ჩინელები მოყოლებული 1955 წლიდან ამტკიცებდნენ, რომ არსებობს ტაივანის საკითხის გადაწყვეტის ორი სახე – სამხედრო და მშვიდობიანი. „შანხაის კომუნიკეში" დაფიქსირდა ჩინეთის შემდეგი პოზიცია „ტაივანი არის ჩინეთის პროვინცია, რომელიც მშობლიურ მხარეს უნდა დაუბრუნდეს, ტაივანის საკითხი არის ჩინეთის საშინაო საქმე და არც ერთ ქვეყანას არ აქვს უფლება მასში ჩაერიოს. ჩინეთი ეწინააღმდეგება ისეთ პოლიტიკურ აქტივობას, რომელიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: „ერთი ჩინეთი, ერთი ტაივანი, ერთი ჩინეთის ორი მთავრობა ჩინეთის პრინციპია = ერთი ჩინეთი, ერთი მთავრობა". აშშ იძულებული იყო დაეფიქსირებინა, რომ ის ცნობდა ერთ - ერთჩინეთს და ტაივანი არის მისი განუყოფელი ნაწილი[146].

ჩინეთის პრინციპულმა პოზიციამ ნაყოფი გამოიღო. სიტყვიერად მხარეები შეთანხმდნენ, რომ აშშ თანდათან შეამცირებდა თავის სამხედრო აქტივობას ტაივანის სრუტეში და დაიწყებდა თავისი სამხედრო კონტინგენტის შემცირებას. რა თქმა უნდა, პირველი რანგის შეხვედრებმა ვერ გადაწყვიტა ყველა ის საკითხი, რომელიც დაგროვდა კონფრონტაციის პირობებში, მაგარმ ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგმული ორი ქვეყნის მიერ დაძაბულობის შე-

---

[146] Вопросы и ответы, касающиеся Белой Книги. Тайванский вопрос объединения Китая. Пекин. 1997.

ნელებისაკენ არამარტო სამხეთ-აღმოსავლეთ აზიაში, "არამედ მთელ ევროაზიურ კონტინენტზე.

„შანხაის კომუნიკეს" ძირითად აქტში დაფიქსირებული იყო, რომ მხარეებს უნდა განეგრძოთ თანამშრომლობა მეცნიერებისა და კულტურის სფეროში

„შანხაის კომუნიკემ" დასაბამი მისცა ახალ ეპოქას აშშ-სა და ჩინეთის ურთიერთობებში. ფაქტობრივად, ეს იყო ახალი ტიპის პირველი ურთიერთობები სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფოებს შორის.

ამრიგად, „შანხაის კომუნიკემ" დასაბამი მისცა ახალ საერთაშორისო ურთიერთობებს ე. წ. „სოციალისტური ბანაკის" ქვეყნებსა და „კაპიტალისტურ" ქვეყნებს შორის. მან პირველმა აჩვენა მაშინდელ მსოფლიოს, რომ ორ დიდ დაპირისპირებულ ბანაკს შორის არსებობდა ურთიერთობების დიდი შესაძლებლობები და რომ საგარეო პოლიტიკის წარმოება იდეოლოგიაზე დაყრდნობით წამგებიანი იყო და საჭირო იყო საერთაშორისო ურთიერთობების მეტი ლიბერალიზაცია.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ რომ არც ერთი სახელმწიფო, როგორი სამხედრო –ეკონომიური პოტენციალიც არ უნდა ჰქონდეს მას, ვერ შეძლებს თავისი პოლიტიკის გატარებას თუ ის არ არის შეთანხმებული ან დეკლარირებული მის მიერ საერთაშორისო თანამეგობრობასთან.

XX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობები, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი არის დაპირისპირების პერიოდი ორ მძლავრ სამხედრო პოლიტიკურ ბლოკს შორის. სამხრეთ - აღმოსავლეთ აზია გახდა მათი დაპირისპირების პოლიგონი. ჩინელები, ისევე როგორც ამერიკელები, გამომდინარე თავიანთი პოლიტიკური ხედვიდან, დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ ამ რეგიონის პრობლემების ცალმხრივად გადაჭრას. მაგრამ ვერ შეძლეს ამის გაკეთება, რადგან ქვეყნებს შორის ურთიერთობების არარსებობამ XX საუკუნის 70-იან წლებამდე გადაუჭრელ ამოცანად აქცია ბევრი ისეთი საკითხის გადაწყვეტა, რომლის გარეშე არამარტო აზიაში, არამედ მთელ მსოფლიოში დაძაბულობის ტემპერატურა მაღალი იყო.

ჩინეთისა და აშშ-ს პირველი პირების ურთიერთობამ და შემდგომ „შანხაის კომუნიკეს" გამოქვეყნებამ მძლავრი იმპულსი მისცა ორ ქვეყანას შორის ახალი პოლიტიკური პრინციპების ჩამოყალიბებას.

„შანხაის კომუნიკესა" და აშშ-ს ჩინეთთან დაახლოებას მოჰყვა ტაივანის გარიცხვა გაეროდან 1972 წლის 25 ოქტომბერს.

თავი VI

კვიპროსის საკითხი XX საუკუნის 60-70-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობებში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კუნძულ კვიპროსზე[147] განვითარებული მოვლენები კარგად გვიჩვენებენ თუ რა შეიძლება მოჰყვეს ეთნო-კონფესიურ დაპირისპირებას, რომელიც უშუალო კავშირშია ქვეყნის ისტორიულ წარსულთან და მეზობელი სახელმწიფოების ინტერესებთან. აღნიშნულმა ინტერესებმა დიდი როლი და ადგილი ითამაშეს კონფლიქტის გაჩაღების საქმეში, რომლის საბოლოო შედეგი კვიპროსის ბერძნულ და თურქულ ნაწილებად დაყოფა გახდა.

კუნძულ კვიპროსზე იმთავითვე გადაიკვეთა საბერძნეთის, თურქეთისა და ინგლისის გეოპოლიტიკური ინტერესები, რომლებიც ხშირად კარნახობდნენ პოლიტიკური მოვლენების განვითარებას, რაც ხელს უშლიდა ინტეგრაციული პროცესების დაჩქარებას ბერძნულ და თურქულ თემებს შორის. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში დაპირისპირებული მხარეების მიზანი იყო არა კვიპროსის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა, არამედ

---

[147] კუნძული კვიპროსი მდებარეობს ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელზეც მდებარეობს კვიპროსის სახელმწიფო. მისი ტერიტორია შეადგენს 9251 კვ. კმ. დედაქალაქი არის ნიკოზია, ოფიციალური ენა ბერძნული. ეროვნული დღესასწაული 1 ოქტომბერი. ოფიციალური კალენდარი გრიგორიანული. კვიპროსი არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო.

მისი გაერთიანება საბერძნეთთან, ან თურქეთის სახელმწიფოებთან.

კვიპროსზე არსებული შინაგანი წინააღმდეგობანი თავის სათავეებს ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან იღებს, როდესაც 1571 წელს, ვენეციის დამარცხების შემდეგ, ოსმალეთმა ხელთ იგდო კუნძული და მასზე თავისი კონტროლი დაამყარა. თურქეთის მმართველი წრეები ადგილობრივ მართლმადიდებელ ბერძნულ მოსახლეობას განიხილავდა როგორც მეორე ხარისხოვანს, რომელიც რელიგიური შევიწროების გარდა ეკონომიურადაც დიდ წნეხს განიცდიდა. ასეთ დამოკიდებულებას ბერძნულენოვანი მოსახლეობის არაერთი უკმაყოფილება და შეიარაღებული გამოსვლები მოჰყვა.[148]

1821-1829 წლებში ბერძენი ხალხის მიერ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საბოლოოდ დამოუკიდებელი ბერძნული სახელმწიფოს აღმოცენებით დასრულდა[149], მაგრამ ეს არ ნიშნავდა ყველა იმ ტერიტორიების განთავისუფლებას, რომელიც ბერძნული მოსახლეობით იყო დასახლებული. ამ დროიდან მოყოლებული ბერძნული

---

[148] აღსანიშნავია 1764, 1804 და 1821 წლების აჯანყებები ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ, რომლებიც ოსმალებმა არსახული სისასტიკით ჩაახშვეს.

[149] **ალ. მენთეშაშვილი.** საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია. თბ. 2002. ტ. II. გვ. 106 – 109.

სახელმწიფოსთვის *ენოზისი*[150] გახდა მთავარი ლოზუნგი, რაც ითვალისწინებდა კუნძულების ფესალიის, კრეტის, კვიპროსის და სხვა ტერიტორიების შემოერთებას. კვიპროსელი ბერძნები, რომლებიც არაერთხელ აჯანყებულან ოსმალების წინააღმდეგ, ამ ბრძოლის ავანგარდში იდგნენ. მაგალითად, 1821 წელს კვიპროსზე ოსმალების მიერ აჯანყების ჩახშობის შედეგად სიკვდილით დასაჯეს არქიეპისკოპოსი მაკარიოსი, სხვა მღვდელმთავრები და ქრისტიანი მოსახლეობა[151].

კვიპროსზე ბერძნული მოსახლეობა უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა, ხოლო XVI საუკუნეში, ოსმალების მიერ კუნძულის დაპყრობის შემდეგ აქ თურქული ელემენტიც გაჩნდა, რომელიც უმეტესწილად ანატოლიის ცენტრალური ნაწილიდან გადმოსახლებული თურქებისაგან შედგებოდა. ისინი თანდათანობით იკავებდნენ თავიანთი მიწა-წყლიდან აყრილი ბერძნების ადგილს და დროთა განმავლობაში კვიპროსის ეთნოსის შემადგენელ ნაწილად ჩამოყალიბდნენ. ამის შემდეგ ბერძნები და თურქები კვიპროსზე ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ორი ეთნიკური ჯგუფი ტრადიციულად ერთმანეთისაგან იზოლირებული და მტრულად განწყობილი იყო. კვიპროსელ თურქთა რაოდენობა მთელი მოსახლეობის 20-30% შეადგენდა, ცხოვრობდნენ, როგორც სოფლად, ასევე

---

[150] **ენოზისი** – ბერძენთა ბრძოლა ბერძნული მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიების შემოერთებისათვის.

[151] **Papardaces C**. Cyprus. Athens., 1958. გვ. 8-9.

ქალაქებში, მაგრამ ისინი მხოლოდ თავიანთ უბნებში სახლდებოდნენ და ბერძნებისაგან განსხვავებულ ცხოვრების წესსა და ტრადიციებს მისდევდნენ. ეს განსხვავება თვით საცხოვრებელი სახლების არქიტექტურითაც კი იოლი შესამჩნევი იყო.

კვიპროსის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იყო თავისებური დიფერენციალური სტრუქტურული პლურალიზმი, რაც გამოიხატებოდა ერთის მხრივ თურქი კვიპროსელების მისწრაფებით გაეკეთებინათ თავიანთი კარიერა სამხედრო, ადმინისტრაციულ ან სასულიერო სფეროში, ხოლო მეორე მხრივ ისეთი პროფესიები როგორიც იყო ვაჭრობა, ხელოსნობა, მევახშეობა, ძირითადად ბერძნული მოსახლეობის არჩევანს წარმოადგენდა. სანამ კვიპროსი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა თურქი კვიპროსელების პოზიციები კუნძულზე მყარი იყო, მაგრამ, როდესაც 1878 წელს ის ხელთ იგდეს ინგლისელებმა[152] მათი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა: თურქებმა დაკარგეს პოლიტიკური ხელისუფლება და ბერძნებთან შედარებით ეთნიკური უმცირესობის როლში აღმოჩნდნენ. ამიერიდან ნაწილობრივ ბერძნე-

[152] კვიპროსის მნიშვნელობაზე ინგლისელთათვის მიუთითებს მაშინდელი პრემიერ-მინისტრის **ბ. დიზრაელის** სიტყვები, რომელიც ინგლისის დედოფალ ვიქტორიას უთხრა: „კვიპროსი-აღმოსავლეთ აზიის გასაღებია" ციტირებულია; **Buckle G.** The Life of Benjamin Dizraeli, Erl of Beaconefield. vol.VI-London 1920. გვ. 291.

ბის ხელში ხელში გადავიდა, როგორც ეკონომიკური ასევე პოლიტიკური უპირატესობა.[153]

შექმნილ მდგომარეობაში კვიპროსელმა თურქებმა იმისთვის, რომ შეენარჩუნებინათ პოლიტიკური გავლენა და არ მოხვედრილიყვნენ ბერძნული თემის გავლენის ქვეშ, კოლონიურ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა აირჩიეს, მაშინ როდესაც კვიპროსელი ბერძნების მთავარი პოლიტიკური ლოზუნგი კვლავ ენოზისი იყო და ცდილობდნენ ბრძოლა გაეგრძელებინათ ინგლისელთა წინააღმდეგ, რათა შეერთებოდნენ ბერძნულ სახელმწიფოს[154].

კვიპროსელი ბერძნების ეროვნულ – განმათავისუფლებელი ბრძოლა ინგლისელთა წინააღმდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რამაც თურქული წარმოშობის კვიპროსელები კიდევ უფრო დააახლოვა კუნძულის კოლონიურ ადმინისტრაციასთან. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1931 წელს თურქებით დასახლებულმა 218 სოფელმა (ანუ მთელმა მუსლიმანურმა მოსახლეობამ) ხელი მოაწერა ე. წ. დეკლარაციას, სადაც ისინი გმობდნენ ბერძნების გამოსვლებს ინგლისელების წინააღმდეგ და სოლიდარობას და მხარდაჭერას უცხადებდნენ კოლონიურ ადმინისტრაციას.[155]

---

[153] **Papardaces C**. Cyprus., გვ. 16-17.

[154] იქვე

[155] **Кузупис Н.** Проблемы национально-освободительного движения на Кипре (20-50 годы XX в) М.1986. გვ. 79

კვიპროსის ბერძნული მოსახლეობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც საბერძნეთის მთავრობას განიხილავდა, როგორც თავის ბუნებრივ მოკავშირეს თავიანთი ინტერესების დასაცავად. XX საუკუნის 40-50-იან წლებში კვიპროსელი ბერძნების პოლიტიკური ორგანიზაციები, მიუხედავად თავიანთი პოლიტიკური შეხედულებებისა, ენოზისის ლოზუნგით განაგრძობდნენ ბრძოლას ინგლისელთა წინააღმდეგ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბერძნული მართლმადიდებული სამღვდელოება ამ ბრძოლის ავანგარდში იყო[156]. 1950 წლის იანვარში მათ ინგლისური კოლონიური ადმინისტრაციის დაუკითხავად მოაწყვეს პლებისციტი კუნძულის საბერძნეთთან გაერთიანების თაობაზე. პლებისციტის შედეგებმა აჩვენა რომ ბერძენთა 95% მხარს უჭერდა კუნძულის დეკოლონიზაციის ენოზისურ ფორმას,[157] ხოლო თურქი-კვიპროსელები პირიქით, როგორც ეს ადრე იყო, მთლიანად ინგლისელების მხარეს იყვნენ. უფრო მეტიც, კვიპროსის პოლიციის შემადგენლობის 70%-ს თურქები შეადგენდნენ. ინგლისელები სწორედ მათ იყენებდნენ ბერძენთა დემონსტრაციების დასარბევად, ან სხვა ქმედებების ჩასატარებლად, რაც თავის მხრივ იწვევდა მტრული ატმოსფეროს შექმნას ბერძნულ და თურქულ მოსახლეობას შორის.

---

[156] მაგალითად, კვიპროსელი ბერძნების ლიდერი 1950 წლიდან იყო არქიეპისკოპოსი მაკარიოსი.

[157] **Анисимов Л. Н.** Проблемы Кипра. Исторические и международно-правовые аспекты. М.1986, გვ. 21.

ბერძნული პოლიტიკური ორგანიზაციების ბრძოლის მეთოდები ინგლისელთა წინააღმდეგ სხვადასხვა იყო. მათ შორის იყო შეიარაღებული გამოსვლები. 1955 წელს ერთ-ერთმა ასეთმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ – თავისუფლებისათვის მებრძოლთა ეროვნულმა ორგანიზაციამ (თმეო-eoka)[158] დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. ეს ორგანიზაცია მოითხოვდა კვიპროსის გაერთიანებას „დედა-საბერძნეთთან", როგორც ეს მოხდა კუნძულ კრეტისა (1913) და დოდოკანესის კუნძულების (1947) მიმართებაში. eokas აზრით, კვიპროსის მიერთება საბერძნეთთან იქნებოდა საბერძნეთის განთავისუფლების და გაერთიანების ბოლო ეტაპი, რომელიც ჯერ კიდევ 1821 წელს ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებით დაიწყო.

---

[158] eoka-ს არალეგალური ორგანიზაცია შეიქმნა 1951 წელს საბერძნეთის არმიის პოლკოვნიკის და წარმოშობით კვიპროსელის **გეორგი გრივასის** (1998-1974) მიერ. ის საინტერესო ბიოგრაფიის მქონე პიროვნება იყო. დაიბადა კ კვიპროსზე შეძლებული ვაჭრის ოჯახში. კვიპროსში მიიღო დაწყებითი განათლება, სადაც პირველად ეზიარა დოქტრინას ელინისტური ნაციონალიზმის შესახებ. 17 წლისამ დატოვა კვიპროსი და საბერძნეთში გადახალდა, სადაც სწავლობდა ათენის სამხედრო აკადემიაში. მსახურობდა საბერძნეთის არმიაში. 1940 წელს, საბერძნეთში იტალიის არმიის შეჭრის შემდეგ, შექმნა მემარჯვენე ყაიდის არალეგალური ორგანიზაცია „ნაციონალური წინააღმდეგობის პარტია". მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1949 წელს, დაბრუნდა კვიპროსში და შექმნა არალეგალური სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია eoka - კვიპროსის მებრძოლთა ნაციონალური ორგანიზაცია. რომლის მიზანი იყო კვიპროსის გაერთიანება საბერძნეთთან.

eoka _ ს მოქმედების ფორმები კოლონიური ადმინისტრაციის მიმართ გამოიხატებოდა ინგლისელი სამხედრო და სამოქალაქო პირების მიმართ ტერორისტული აქტებით. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც 1956 წელს არქიეპისკოპოსი მაკარიოსი[159] კვიპროსიდან იქნა გახახლებული. მაკარიოსი გრიგორი გრივასთან შედარებით თავისი შეხედულებებით ზომიერი იყო და არ იზიარებდა გრივასის უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებებს, გარდა ამისა სამხედრო ძალის გამოყენებას ის განიხილავდა როგორც ერთ-ერთ და არა მთავარ ფორმას მიზნის მისაღწევად. გრივასი თავისი პოლიტიკური შეხედულებებით უკიდურესი მემარჯვენე იყო და გამოდიოდა მოთხოვნით გაესახლებინათ კვიპროსელი თურქები კუნძულიდან. eoka- ს ტერორისტულმა მოქმედებამ კვიპროსში ბერძნულ და თურქულ მოსახლეობას შორის იმდენად დაძაბა ვითარება, რომ 1958 წლისთვის კუნძულზე ვითარება უკიდურესად დაიძაბა.[160] თავის მხრივ ბრიტანელები, რომლებიც გრძნობდნენ, რომ მათი ბატონობა დასასრულს

---

[159]**არქიეპისკოპოსი მაკარიოს III** (1913-1977) - ერისკაცობაში მიხაილ ხრისტოდულოსი მუსკოს არქიეპისკოპოსი. კვიპროსის ავტოკეფალური ეკლესიის და ბერძნული თემის ლიდერი 1950 წლიდან. მონაწილეობდა კვიპროსის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც მიმართული იყო ინგლისელთა ბატონობის წინააღმდეგ. 1959 წლიდან კვიპროსის პირველი პრეზიდენტი.

[160]კვიპროსელმა თურქებმა, თავის მხრივ, შექმნეს შეიარაღებული ფორმირება „ეოლკანის" სახელწოდებით, რომელიც დაუპირისპირდა eoka-ს და ენოზისის მომხრეებს კუნძულზე.

უახლოვდებოდა, ცდილობდნენ დროებით მაინც შეეინარჩუ-ნებინათ თავიანთი პოზიციები სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვან აღმოსავლეთ ხმელ-თაშუაზღვის რეგიონში და ცდილობდნენ გაეტარებინათ თავიანთი პოლიტიკის უცვლელი ხაზი „დაყავი და იბა-ტონე". კვიპროსის მოსალოდნელი დეკოლონიზაციის პი-რობები აქტიურად განიხილებოდა ინგლისის სახელისუ-ფლო წრეებში, სადაც კუნძულის საბერძნეთთან გაერთია-ნება მიუღებელი იყო. კვიპროსთან მიმართებაში ლონ-დონის მოკავშირედ გამოდიოდა თურქეთი, რომელმაც 1955 წელს განაცხადა, რომ ენოზისი კვიპროსთან მიმართებაში, რომელიც 60 კილომეტრშია თურქეთის სანაპიროსთან, დაუშვებელია, რადგან ეს საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსა-ფრთხოებას[161]. ამ პერიოდში კვიპროსელი ბერძნები წარ-მოადგენდნენ კუნძულის მოსახლეობის უმრავლესობას და შეპყრობილი იყვნენ ერთგვარი ეიფორიით - საბერძნეთთან მოსალოდნელი გაერთიანებით. ისინი უგულვებელყოფდნენ კვიპროსელი თურქების არსებობას და მათ სამართლებრივ უფლებებს. საქმის ასეთი ვითარება ხელს აძლევდა ინგ-ლისელებს, რათა მომავალში ჩარეულიყვნენ კვიპროსის საქმეებში და მეორე მხრივ, აიძულებდა კვიპროსელ თურქებს მხარდამჭერი მოეძებნათ თურქეთში, რაც თავის მხრივ ამ ქვეყნის ინტერესებშიც შედიოდა. საგულისხმოა

---

[161]**Поцхверия Б. М**. Внешнаяя политика Турции после второй мировой войны. М. 1976. გვ. 202.

ის ფაქტი, რომ პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს კვიპროსელი თურქების პოზიცია ენოზისთან დაკავშირებით მკვეთრად უარყოფითი იყო. თურქი კვიპროსელების ლიდერების მოთხოვნა იყო ბრიტანელების ბატონობის შენარჩუნება, ან კუნძულის გაერთიანება თურქეთის რესპუბლიკასთან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კვიპროსელ თურქთა ლიდერმა ფ. ქუჩუქმა წამოაყენა კუნძულის გაყოფის იდეა-ტაქსიმა, რომელსაც თურქეთის მმართველი წრეებიც უჭერდნენ მხარს.[162] კვიპროსელი ბერძნები, ისევე როგორც საბერძნეთის მთავრობა, ამ იდეას როგორც მოსალოდნელი იყო უარყოფითად შეხვდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თურქები და ბერძნები კვიპროსზე შერეულად ცხოვრობდნენ, კუნძულის გაყოფა დიდ პრობლემებთან იქნებოდა დაკავშირებული. ამ სიტუაციაში ინგლისელებმა წამოაყენეს წინადადება კვიპროსისთვის დამოუკიდებლობა მიენიჭებინათ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნებოდა თურქ კვიპროსელთა ინტერესები და კვიპროსელი ბერძნები უარს იტყოდნენ ენოზისზე.

1959 წელს საბერძნეთმა ინგლისელთა ზეწოლის ქვეშ უარი განაცხადა ენოზისის პოლიტიკაზე კვიპროსთან მიმართებაში, რადგან უარის შემთხვევაში ინგლისი იმუქრებოდა, რომ კუნძულის ნაწილს თურქეთის რესპუბლიკას

---

[162] ემზარ მაკარაძე. მადონა გოგიტიძე კვიპროსის საკითხი აღმოსავლეთ პოლიტიკაში XX ს. 60-80-იან წლებში. ბათუმი. 2000. გვ.30-32.

გადასცემდა. იმავე წელს საბერძნეთმა კუნძულის მომავალ სტატუსზე მოლაპარაკება დაიწყო თურქეთთან. მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მიღწეული იქნა ლონდონში და ისტორიაში შევიდა **ციურიხ-ლონდონის** შეთანხმების სახელით, მხარეები შეთანხმდნენ კვიპროსის სტატუსზე, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოზე და ორივე თემის რაოდენობრივ წარმომადგენლობაზე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში. ინგლისის, საბერძნეთისა და თურქეთის სახელმწიფოები ხდებოდნენ კვიპროსის დამოუკიდებლობისა და ორივე თემის თანაბარი უფლებების გარანტები. ციურიხ-ლონდონის შეთანხმების საფუძველზე შეიმუშავეს კვიპროსის კონსტიტუცია, რომელიც ძალაში 1960 წელს შევიდა[163].

მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებული მხარეები შეთანხმდნეენ კვიპროსის სტატუსზე და კონსტიტიციაც შეიმუშავეს, რომელსაც უნდა უზრუნველეყო დაპირისპირებული თემების მშვიდობიანი თანაარსებობა, ეს პოლიტიკური ნაბიჯი მაინც მიუღებელი აღმოჩნდა კვიპროსელი ბერძნებისა და თურქებისათვის, რადგან მათი წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ კონსტიტუციის შემუშავებაში და მათ მაგივრად ინგლისი, საბერძნეთი და

---

[163]**Анисимов Л. Н**. Проблемы Кипра. Исторические и международно-правовые аспекты…გვ. 39-40. Tornaritis C. Cyprus and its Constitutionale and other Legal problems. Nikosia.1980. გვ. 41. აღსანიშნავია, რომ კვიპროსის კონსტიტუციის ავტორი არის ინგლისელი იურისტი ლორდი რედკლიფი.

თურქეთი ცდილობდნენ თავიანთი პოლიტიკური ინტერესების განხორციელებას: საბერძნეთის მიზანი იყო არ დაეშვა კვიპროსის ნაწილის გადაცემა თურქეთისათვის; თურქეთი ცდილობდა თავიდან აეცილებინა კვიპროსის გაერთიანება საბერძნეთთან; ინგლისი აპირებდა მომავალში კვიპროსზე შეენარჩუნებინა თავისი პოლიტიკური და სამხედრო გავლენა. სწორედ მათი ინტერესებიდან გამომდინარე, კვიპროსის კონსტიტუციაში შეტანილი იქნა მუხლები, რომელიც ლახავდა ამ ქვეყნის სუვერენიტეტს. კერძოდ, კუნძულზე შენარჩუნებული იქნებოდა ინგლისელთა სამხედრო ბაზების ექსტერიტორიულობა, რომელიც 150 კვ. კილომეტერს აღწევდა. გარდა ამისა, კვიპროსზე უნდა განლაგებულიყო საბერძნეთის და თურქეთის სამხედრო ნაწილები, რაც იძლეოდა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის საშუალებას. ამავე დროს იკრძალებოდა ენოზისისა და ტაქსიმას მომხრე ორგანიზაციების მოქმედება[164].

კონსტიტუცია, რომელიც ინგლისმა, საბერძნეთმა და თურქეთმა შეიმუშავა კვიპროსის ახალ მთავრობას დიდ სიძნელეებს უქმნიდა ქვეყნის მართვაში. ეს გამოიხატებოდა, პირველ რიგში იმაში, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში არაპროპორციულად დიდი იყო კვიპროსელი თურქების რაოდენობა ბერძნებთან შედარებით[165], გარდა ამისა,

---

[164] **Crawshaw N**. The Cyprus Revolt. An Accaunt of the struggle for union with Greece. L. 1978. gv. 349-341.

[165] კონსტიტუციის თანახმად, კვიპროსის მთავრობაში, სახელმწიფო დაწესებულებებში, პოლიციაში და ჯანდარმერიაში 30%

ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც თურქი უნდა ყოფილიყო ვეტოს უფლება გააჩნდა. ამ კონსტიტუციის თანახმად, იქმნებოდა ცალკე სასამართლოები ბერძნებისა და თურქებისთვის, ცალკე მუნიციპალიტეტები და პარლამენტის პალატები და ა.შ. პრივილეგიების ასეთი ინსტიტუტიზაცია ხელს აძლევდა კვიპროსის თურქულ თემს, რადგან მომავალში ისინი ბერძნებისაგან ეკონომიკურად და პოლიტიკურად დამოუკიდებელნი ხდებოდნენ და საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ მოეხდინათ ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობის პარალიზება და აუცილებლობის შემთხვევაში წინააღმდეგობა გაეწიათ ენოზისის მომხრეებისათვის. კომპრომისის ეს ფორმა მისაღები იყო როგორც თურქი კვიპროსელებისათვის, ასევე თურქეთისათვის, რომლებიც ძალდონეს არ იშურებდნენ თავიანთი ინტერესების დასაცავად.

თურქებისაგან განსხვავებით, ციურიხ-ლონდონის შეთანხმების მიმართ საბერძნეთსა და კვიპროსელ ბერძნებს მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება გააჩნდათ. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთი იყო ერთ-ერთი ხელმომწერი მხარე ამ შეთანხმებისა მას უარი არ უთქვამს კუნძულის შემოერთებაზე, რადგან ამ მხრივ დიდი მხარ-

---

უნდა ყოფილიყვნენ კვიპროსელი თურქები, არმიაში კი 40%. მაშინ როდესაც ისინი მოსახლეობის მხოლოდ 18% -ს შეადგენდნენ, ხოლო კვიპროსელი ბერძნები 78%-ს. იხ. **თ. კიკნაძე.** ეთნოკონფესიალურ წინააღმდეგობათა ევოლუცია კვიპროსზე 1878-1992წწ. საკანდიდატო დისერტაციის მაცნე, თბ. 1993. გვ.14.

დაჭერა ჰქონდა კვიპროსის ბერძნული მოსახლეობის ნაწილისაგან, რომელიც თვლიდა, რომ ეს ხელშეკრულება თავს მოხვეული იყო ინგლისელებისა და თურქების მიერ და საჭირო იყო ბრძოლის გაგრძელება ენოზისისთვის. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ კვიპროსის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ კვიპროსელი ბერძნები კონსტიტუციას და სახელმწიფო წყობილებას აღიქვამდნენ, როგორც გარდამავალ ეტაპს და დროებით მოვლენას, რომელიც შემდგომში უნდა გადაზრდილიყო ენოზისში.[166] კვიპროსელი ბერძნები იმდენად თვითდაჯერებული იყვნენ თავიანთ გამარჯვებაში, რომ 1962 წელს კვიპროსის შინაგან საქმეთა მინისტრმა და eoka-ს ერთ-ერთმა ლიდერმა გეორგიადისმა პირდაპირ განაცხადა, რომ „კვიპროსი ყოველთვის იყო ბერძნული და საბერძნეთთან გაერთიანების ოცნება მალე ასრულდება"[167], რა თქმა უნდა ამ განცხადებამ კვიპროსელი თურქების დიდი აღშფოთება გამოიწვია და დაძაბა ისედაც დაძაბული ვითარება ორ თემს შორის.

პოლიტიკური სისტემა, რომელიც ციურიხ-ლონდონის შეთანხმების საფუძველზე ჩამოყალიბდა, არაეფექტური აღმოჩნდა, რადგან ის არ ემყარებოდა ორი შეურიგებელი თემის ინტერესებს, გარდა ამისა ის კომპრომისი, რომელიც თავს იქნა მოხვეული დაპირისპირებული მხარეებისადმი, არაეფექტური აღმოჩნდა. მაგალითად, კვიპროსელი

---

[166] **Шахбазов В. А.** Проблемы Кипра в политике Турции в 1960-1980 годах. Орджоникидзе. 1983. 33 11.

[167] იქვე. გვ.10.

თურქები უკმაყოფილო იყვნენ, რომ არ ხორციელდებოდა მათი წარმომადგენლების დანიშვნა სახელმწიფო სტრუქტურებში, და ბერძნების მიერ უგულვებელყოფილი იქნა ვიცე-პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადების უფლება. ამ და სხვა გარემოებების გამო 1961 წელს თურქმა დეპუტატებმა, ფაქტობრივად, ბოიკოტი გამოუცხადეს პარლამენტის მუშაობას. მათ უარი თქვეს ხმა მიეცათ საგადასახადო კოდექსისათვის, ერთიანი კვიპროსის არმიის შექმნაზე და ა.შ. 1963 წელს კვიპროსის პრეზიდენტმა მაკარიოსმა სცადა მიეღო ისეთი კანონები, რომელიც გააძლიერებდა კვიპროსის სახელმწიფო სტრუქტურებს, მაგრამ ეს ნაბიჯი კვიპროსელი თურქების მიერ აღქმული იქნა, როგორც მათი ინტერესების შელახვა. დაპირისპირება თურქულ და ბერძნულ თემებს შორის სამხედრო შეტაკებაში გადაიზარდა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ კუნძულზე დისლოცირებული საბერძნეთისა და თურქეთის სამხედრო ნაწილები[168]. ამ მოვლენებიდან მოყოლებული თურქ-კვიპროსელთა ლიდერებმა შეიმუშაევს კვიპროსის გაყოფის გეგმა ეთნიკური ნიშნის მიხედვით და, ფაქტობრივად, მიზნად დაისახეს კვიპროსის თურქული ნაწილის შეერთება თურქეთის რესპუბლიკასთან.[169] ამ გეგმის რეალიზაციის მიზნით თურქები გამოვიდნენ კვიპროსის პარლამენტიდან, რომელშიც მხოლოდ ბერძენი დეპუტატები დარჩნენ და გა-

---

[168] იქვე. გვ. 10-11.

[169] **Анисимов Л. Н**. Проблемы Кипра..... გვ . 61

ნაცხადეს, რომ კვიპროსის პარლამენტი და მთავრობა ვერ ჩაითვლება კანონიერ ნაციონალურ მთავრობად და ისინი ქმნიან პარალელურ სტრუქტურებს თურქი კვიპროსელებისათვის – ე. წ. „გენერალურ კომიტეტს“, რომელშიც შეეიდნენ ყოფილი თურქი დეპუტატები და მინისტრები. გენერალურ კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ფ. კუჩუკი, რომელიც იმ პერიოდში კვიპროსელი თურქების ლიდერი იყო. პირველ რიგში, მან გასცა ბრძანება ყველა თურქს თავი მოეყარა კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, საიდანაც ბერძნები უნდა გამოედევნათ, ამით შეიქმნებოდა ანკლავი, რომელიც თავისუფალი იქნებოდა კვიპროსელი ბერძნებისაგან. 1964 წლისთვის ამ ანკლავში, რომელიც კუნძულის 1,5%-ს შეადგენდა თავი მოიყარა 50 ათასმა თურქმა კვიპროსელმა, ამავე დროს მათ დაგეგმეს, რომ მომავალ თურქულ ნაწილში უნდა ყოფილიყო კუნძულის ტერიტორიის 38%. ამით მათ სურდათ წინააღმდეგობა გაეწიათ ენოზისის მომხრეებისათვის, რომელსაც მხარს უჭერდა საბერძნეთის მთავრობა და რომელმაც კვიპროსზე ფარულად გაგზავნა დამატებითი საჯარისო ნაწილები.[170]

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თვით კვიპროსელ ბერძნებს შორის იყვნენ ისეთი ძალები, რომლებიც ენოზისის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ძირითადად, ეს იყო მემარცხენე მიმართულების ძალები, რომლებსაც

---

[170] ითვალისწინებდა რა კვიპროსში შექმნილ მდგომარეობას გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გაეგზავნა გაეროს ჯარები კვიპროსზე.

პრეზიდენტი მაკარიოსი ხელმძღვანელობდა. მათი აზრით, კვიპროსის საბერძნეთთან გაერთიანება ნაჩქარევი ნაბიჯი იქნებოდა და პირველ ეტაპზე საჭირო იყო ახალგაზრდა სახელმწიფოს გაძლიერება და იმ ურთიერთობების დარეგულირება, რომელიც ქვეყნის ორ ეთნიკურ ჯგუფს აპირისპირებდა. მაკარიოსი, რომელიც ზომიერი პოლიტიკის მომხრე იყო და რომელიც ხედავდა, რომ ამ დაპირისპირებას შეიძლება ქვეყანა ორად გაეხლიჩა, ყველა ზომებს მიმართავდა, რათა არ დაეშვა კვიპროსის გაყოფა. მაგრამ თავისი პოლიტიკის გასატარებლად ის სრულყოფილად ვერ ფლობდა სახელისუფლებო ბერკეტებს, გარდა ამისა, მასზე ერთი მხრივ, ზეგავლენას ახდენდნენ ენოზისის მომხრეები, რომლებიც შექმნილ სიტუაციაში მოითხოვდნენ კუნძულის გაერთიანებას საბერძნეთთან, მეორე მხრივ, ტაქსიმას მომხრეები, რომლებიც მოითხოვდნენ კუნძულის გაყოფას ეთნიკური ნიშნის მიხედვით[171]. ქვეყნის შიგნით შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებდა საბერძნეთისა და თურქეთის აქტიური ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში[172]. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ როდესაც კვიპროსელმა თურქებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი საჯარისო ფორმირებები, მათ სათავეში თურქი გენერალი

---

[171]**Анисимов Л. Н**. Проблемы Кипра.. გვ .75.

[172]1965 წელს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა **დინ აჩესონმა** შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა კვიპროსის შეერთებას საბერძნეთთან და იქ „თურქული კანტონების" შექმნას, მაგრამ ეს გეგმა თურქეთმა და კვიპროსმა უარყო.

ნაუდგა. შესაბამისად, საპასუხოდ ბერძნებმაც შექმნეს ნაციონალური გვარდია, რომელიც 24 ათას გვარდიელს ითვლიდა. საბერძნეთის მთავრობის დაჟინებული მოთხოვნით ნაციონალურ გვარდიას ბერძენი გენერალი გეორგი გრივასი ჩაუდგა, რომელიც ენოზისის აქტიური მომხრე იყო. სწორედ ის სარდლობდა საბერძნეთიდან ფარულად ჩამოყვანილ დივიზიასაც, რომლის კვიპროსზე ყოფნამ უკიდურესად დაძაბა ვითარება, ხოლო გრივასის მოქმედებებმა და მისმა უკიდურესად ნაციონალისტურმა პოზიციამ გამოიწვია მაკარიოსის მთავრობის მუშაობის პარალიზება, რომელიც კუნძულის ერთიანობის შენარჩუნებას ცდილობდა. ქრონიკულმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ ნეგატიურად იმოქმედა კვიპროსის ეკონომიკაზე, რომელიც მაშინ მთლიანდ იყო დამოკიდებული აშშ-ს, ინგლისისა და და სხვა ქვეყნების დახმარებაზე. ამ ფონზე მოსახლეობის ბერძნულ ნაწილში დაიწყო უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ენოზისისადმი, ხოლო თურქი კვიპროსელები პირიქით თავისი გაუსაძლისი პირობების შექმნაში მთლიანად ბერძნებს ადანაშაულებდნენ, რისთვისაც კუნძულიდან მათ განდევნას ცდილობდნენ

1967 წლის 21 აპრილს საბერძნეთში მოხდა სამხედრო გადატრიალება და ქვეყნის სათავეში მოვიდა სამხედრო ხუნტა[173], რომელიც თავისი ანტიდემოკრატიული

---

[173] 1967 წლის 21 აპრილის სამხედრო გადატრიალების შედეგად საბერძნეთის პრემიერ – მინისტრი გახდა სამხედრო ხუნტის

საქმიანობით საბერძნეთის მოსახლეობაშიც და კუნძულ კვიპროსზეც ძალიან არაპოპულარული იყო. ამის შემდეგ კვიპროსის ბერძნულ მოსახლეობაში კიდევ უფრო დამკვიდრდა აზრი, რომ კვიპროსი საბერძნეთისაგან დამოუკიდებლად უნდა განვითარებულიყო, თუმცა უნდა შეენარჩუნებინათ მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები. ამ გარემოებამ ნაციონალისტებს გეორგი გრივასისა და მისი მომხრეების სახით (პირველ რიგში საბერძნეთის ხუნტის აქტიური მხარდაჭერით, რომელიც თავისი შელახული ავტორიტეტის აღდგენას ცდილობდა) გადაადგმევინა ნაბიჯი, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდება კვიპროსისთვის.

1967 წლის ნოემბერში პრეზიდენტ მაკარიოსის დაუკითხავად გ. გრივასმა თურქულ ანკლავებზე შეტევის ბრძანება გასცა.[174] მიუხედავად ენოზისის მომხრეების რიცხობრივი უპირატესობისა გრივასმა, ვერ შეძლო თურქი კვიპროსელების და თურქეთის არმიის ნაწილების წინააღმდეგობის დაძლევა. ამ გარემოებამ ისე დაძაბა ურთიერთობა საბერძნეთსა და თურქეთს შორის, რომ საქმე ლაშის ომამდეც კი მივიდა, მაგრამ ეს დაპირისპირება

მეთაური პოლკოვნიკი **გ. პაპანდოპულოსი**. სამხედროები ქვეყნის შიგნით სდევნიდნენ დემოკრატიულ ძალებს და თავიანთ საგარეო პოლიტიკაში გამოდიოდნენ „დიდი საბერძნეთის“ შექმნის იდეით, სადაც კვიპროსის საკითხი ერთ-ერთი უმთავრესი იყო.

[174]**თ. კიკნაძე** კვიპროსის დამოუკიდებლობის გამოცხადება და ბერძნულ-თურქული კონფრონტაციის გამწვავება. „ისტორია და თანამედროვეობა“. თბ. 1993. გვ. 14-15.

საშიში პრეცედენტი იქნებოდა ნატოს წევრი ქვეყნებისათვის, რომლის წევრები საბერძნეთი და თურქეთი იყვნენ. ამიტომ აშშ-ხა და ინგლისის დაჟინებული მოთხოვნით 1968 წლის დასაწყისში საბერძნეთი იძულებული გახდა კვიპროსიდან გაეყვანა კუნძულზე ფარულად მყოფი საბერძნეთის ჯარები, ხოლო გენერალი გრივასი თანამდებობიდან გადააყენეს და კვიპროსიდან გაასახლეს.[175] ამის შემდეგ, საბერძნეთმა და თურქეთმა, შეთანხმების საფუძველზე, შეამცირეს თავიანთი სამხედრო კონტინგენტი [176].

1967 წლის მოვლენებმა თურქი კვიპროსელები აიძულა დაეწყოთ თავიანთი ადმინისტრაციული სტრუქტურების შექმნა, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა კვიპროსის ცენტრალური ხელისუფლებისაგან. 1967 წლის 29 დეკემბერს თურქი კვიპროსელების ლიდერებმა შექმნეს დროებითი ადმინისტრაცია, რომელშიც შეეიდა 10 თურქი მინისტრი მათი ლიდერის ფ. კუჩუკის ხელმძღვანელობით. თურქი კვიპროსელების სამხედრო ფორმირებებში შემოიღეს თურქეთის არმიის სამხედრო ფორმა და მათი განმასხვავებელი ნიშნები.

გ. გრივასის აკანტურის დამარცხებამ და საბერძნეთის ჯარების გაყვანამ კუნძულიდან ენოზისის მომხრეებს შორის დიდი გულგატეხილობა გამოიწვია, თუმცა მათ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, რადგან მათ უკან

---

[175] **Анисимов Л. Н.** Проблемы Кипра.. გვ. .52.

[176]შეთანხმების თანახმად საბერძნეთს უფლება აქვნდა კუნძულზე ჰყოლოდა 960 ჯარისკაცი, ხოლო თურქეთს 650.

საბერძნეთი იდგა, რომლის სათაეგში მყოფი სამხედრო ხუნტა მხოლოდ ხელსაყრელ დროს ეძებდა, რათა კვლავ ეცადა კვიპროსის შემოერთება. ახალ პირობებში ენოზისის მთავარ ძალას არალეგალურად მოქმედი ორგანიზაცია eoka-2 წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში კვიპროსზე 1971 წელს არალეგალურად დაბრუნებული გეორგი გრივასი ჩაუდგა. ეოკა-2 და მისი ხელმძღვანელები მიზნის მისაღწევად გეგმავდნენ პოლიტიკურ დესტაბილიზაციას კვიპროსზე, რაც შეიძლება გამხდარიყო საბერძნეთის არმიის ინტერვენციის მიზეზი კვიპროსზე, ამას მოჰყვებოდა მისი გაერთიანება საბერძნეთთან.

ეოკა-2-ის ტერორისტული აქციები ხელაყრელ პირობებს უქმნიდა თურქ კვიპროსელებს, რომლებიც კუნძულის გაყოფას მოითხოვდნენ. მათი ლიდერები კვიპროსის მთავრობისაგან მოითხოვდნენ ეცნოთ კვიპროსელი თურქების დროებითი ადმინისტრაცია და ფაქტობრივად კუნძული ეთნიკური ნიშნის მიხედვით გაეყოთ[177].

შექმნილ ვითარებაში პრეზიდენტი მაკარიოსი, პირველ რიგში, ცდილობდა არ დაეშვა კვიპროსის გაყოფა და აღეკვეთა საბერძნეთის სათაეგში მდგომი სამხედრო ხუნტის ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში, მაგრამ ამაოდ. 1974 წლის 15 იელისს კვიპროსში მოხდა სამხედრო

---

[177] 1974 წელს კვიპროსელმა თურქებმა მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დაიწყეს თავიანთი საფოსტო მარკების გამოშვება. გარდა ამისა ფულის ერთეულად კვიპროსული ფუნტის ნაცვლად დაიწყეს თურქული ლირის გამოყენება.

გადატრიალება, რომლის ინიციატორებიც იყვნენ ნაციონალური გვარდია, ეოკა-2 და ენოზისის სხვა მომხრეები, მათ გადააყენეს მაკარიოსი და პრეზიდენტად გამოაცხადეს ნიკოლას სამპსონი[178]. ფაქტობრივად, ამ მოვლენების უკან იდგნენ საბერძნეთის სამხედრო ხუნტა და კვიპროსელი ულტრანაციონალისტები. ამ გადატრიალების შედეგები სავალალო აღმოჩნდა კვიპროსისთვის. დაიწყო იმ ბერძნების დევნა, რომლებიც საბერძნეთის ხუნტის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. კვიპროსის ნაციონალურმა გვარდიამ დაიკავა კვიპროსელი თურქებით დასახლებული სოფლები, რის შედეგად ბევრმა მათგანმა ვერ მოასწრო კვიპროსის ჩრდილოეთში, თურქულ ანკლავებში გაქცევა და ციხეებში მოხვდა. ამით ისარგებლა თურქეთმა და კვიპროსელი თურქების დასაცავად 1974 წლის 20 ივლისს კვიპროსში თავისი ჯარები შეიყვანა.

კვიპროსში მიმდინარე მოვლენებს სასწრაფოდ გამოეხმაურა გაერო, რომელმაც 1974 წლის 20 ივლისს (იმავე დღეს, როცა ცნობილი გახდა თურქეთის არმიის ნაწილების შესვლა კვიპროსში) შემდგარ უშიშროების საბჭოს სხდომაზე განიხილა კვიპროსში შექმნილი მდგომარეობა და მოუწოდა ყველა ქვეყანას (იგულისხმებოდა პირველ რიგში

---

[178]**ნიკოლას სამპსონი** (1935-1996) – ნამდვილი სახელი ნიკოს გეორგიადისი. გრივასის გარდაცვალების შემდეგ, 1974 წლის იანვარში, სათავეში ნაუდგა ეოკა -2-ს სამპსონი, ისევე როგორც გრივასი, გამოირჩეოდა უკიდურესი ნაციონალისტური შეხედულებებით.

საბერძნეთი და თურქეთი) პატივი ეცათ კვიპროსის სუ-ვერენიტეტისათვის და დაუყოვნებლივ გაეყვანათ ქვეყნიდან უცხო ქვეყნის ჯარები. გაეროს მოთხონამ და კვიპროსის მოსახლეობის დიდი ნაწილის დამოკიდებულებამ პუტ-ჩისტებისადმი აიძულა ნ. სამპსონი 23 ივლისს გადამ-დგარიყო. ქვეყნის დროებითი მეთაური გახდა პარლამენტის თავმჯდომარე გ. კლირიდისი, რომელსაც კონსტიტუციის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში შეეძლო შეეცვალა პრეზიდენტი.[179]

კვიპროსზე მომხდარმა მოვლენებმა დიდი გავლენა იქონია თვით საბერძნეთში არსებული სამხედრო მმართ-ველობის დასასრულზე. 1974 წლის 24 ივლისს საბერძნეთში ხელისუფლება გადავიდა სამოქალაქო მთავრობის ხელში, რომელსაც სათავეში კ. კარამანლისი ჩაუდგა. ნატოს წევრ ქვეყნებს შორის (საბერძნეთი და თურქეთი) გამწვავებულმა ურთიერთობამ, აიძულა ნატოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა მოეთხოვა დაპირისპირებული მხარეე-ბისათვის საკითხი გადაეწყვიტათ დიალოგის და მოლა-პარაკების გზით. 1974 წლის 25 ივლისიდან 14 აგვისტომდე ჟენევაში საბერძნეთისა და თურქეთის წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რომელშიც კვიპრო-სის ბერძნული და თურქული თემების წარმომადგენლები კვლავ არ მონაწილეობდნენ. მხოლოდ ბერძნული მხარის

---

[179] **Tornaritis C**. Cyprus and its Constitutionale and other Legal problems. gv. 36.

დაეთანხმებული მოთხოვნის შედეგად ნართული იქნენ მოლაპარაკებაში კვიპროსის მოსახლეობის წარმომადგენლები – გ. კლირიდისი და რ. ბენკტაში[180].

მოლაპარაკებების დროს თურქეთმა და კვიპროსელმა-თურქებმა წამოაყენეს კუნძულზე ფედერალური სახელმწიფოს შექმნის იდეა, რომელშიც იქნებოდა ბერძნული და თურქული ავტონომიური ოლქები. კვიპროსელმა ბერძნებმა უარყვეს ეს წინადადება, რადგან ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, კვიპროსის დიდი ნაწილი თურქების ხელში გადადიოდა. გარდა ამისა, თურქების ხელში ხვდებოდა მიწების დიდი ნაწილი, რომელიც ბერძნების საკუთრება იყო და რომელიც ყველაზე ნაყოფიერი იყო (ეს მოიცავდა კვიპროსის ტერიტორიის დაახლოებით 30%-ს), გარდა ამისა, ასეთი ადმინისტრაციული დაყოფა არასწორი და უსამართლო იყო თუნდაც იმიტომ, რომ „კვიპროსის თურქული მოსახლეობა, რომელიც მაშინ კვიპროსის მოსახლეობის 18%-ს შეადგენდა, ქმნიდა ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 10%-ს. გარდა ამისა, მიწა, რომელიც რეგისტრირებული იყო კვიპროსელ თურქებზე,

---

[180]**რაუფ ბენკტაში** შემდგომში კვიპროსის არ აღიარებული თურქული ნაწილის პრეზიდენტი. დაიბადა 1924 წელს. განათლება მიიღო ინგლისში. მუშაობდა კვიპროსზე ინგლისის კოლონიურ ადმინისტრაციაში. 1956-1959 წლებში იყო კვიპროსის გენერალური პროკურორის მოადგილე, 1963-1968 წლებში ტერორისტული საქმიანობისთვის იმალებოდა თურქეთში. 1975 წლიდან „კვიპროსის თურქული ფედერაციული სახელმწიფოს პრეზიდენტი". ხოლო 1983 წლიდან ე.წ. „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის" პრეზიდენტი.

შეადგენდა კვიპროსის მთელი მიწის ფონდის მხოლოდ 12,5%-ს. მაშინ, როდესაც ბერძნების სახელზე რეგისტრირებული იყო მიწის 58,8%, დარჩენილი 27% მიწისა სახელმწიფოს საკუთრება იყო და თუ მოხდებოდა მათი გადანაწილება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით კვიპროსელი თურქების წილი საერთო ჯამში მიწის 17, 9% დარჩებოდა[181]. თავად კვიპროსელი ბერძნები იმ პერიოდში, ეყრდნობოდნენ რა თავიანთ რიცხობრივ უპირატესობას, საჭიროდ არ თვლიდნენ წასულიყვნენ ფედერალური სახელმწიფოს შექმნაზე და კუნძულის ორ თემს შორის სრულ პოლიტიკურ და ეკონომიურ თანასწორებაზე. მოლაპარაკებების დროს არც ერთი მხარე არ წავიდა დათმობაზე რის შედეგადაც კომპრომისის მიღება ვერ მოხერხდა.

სანამ ჟენევაში მოლაპარაკებები მიდიოდა თურქები გეგმაზომიერად იკავებდნენ კვიპროსის იმ ნაწილებს, რომელიც ბერძნებით იყო დასახლებული, ამ მოვლენებს თან სდევდა ვანდალიზმისა და გენოციდის აქტები.[182] ეს იყო გამიზნული პოლიტიკა, რომელიც თურქების მიერ იყო შემუსავებული, რათა გამოეწვიათ პანიკა ბერძნულ მოსახლეობაში და აეძულებინათ ისინი დაეტოვებინათ თავიანთი სახლ – კარი.

---

[181] გაეროს უშიშროების საბჭოს მასალები 1974 წლის ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის მასალები. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ნიუ-იორკი. 1975. გვ. 167. (ინგლისურ ენაზე)

[182] **Анисимов Л. Н**. Проблемы Кипра. Исторические и международно-правовои аспекты. gv .92.

ჟენევის კონფერენციის ნაშლის შემდეგ თურქეთის არმიამ დაიწყო მასირებული შეტევა და 1974 წლის 16 აგვისტოს მიადწია იმ საზღვარს, რომელიც, ჯერ კიდევ 60-იან წლებში, თურქების მიერ დაგეგმილი იქნა საზღვრად ბერძნულ და თურქულ თემებს შორის. თურქებმა ხელთ იგდეს 9251 კვ. კმ, რომელიც კვიპროსის ტერიტორიის 37%-ს შეადგენდა, აქ მოხვდა ნიკოზიის ჩრდილოეთი ნაწილი და ყველა მნიშვნელოვანი პორტი, ხილისა და ციტრუსების გადამამუშავებელი საწარმოები, სასტუმროები და სხვა ინფრასტრუქტურა, რომელიც კვიპროსის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. საერთო გათვლებით ამ კონფლიქტის შედეგად კვიპროსის სამხრეთ ნაწილში იძულებით გადასახლდა 200 ათასი ბერძენი, ხოლო 40 ათასი კვიპროსელი თურქი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში.[183]

თურქეთის მთავრობის ამ ქმედებებმა დიდი ზიანი მიაყენა საბერძნეთის მთავრობის მცდელობას კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში, რომელმაც დაგმო საბერძნეთის ხუნტის ავანტიურა კვიპროსის მიმართ და უარი თქვა ენოზისის პოლიტიკაზე. კვიპროსელმა თურქებმა და თურქეთის ხელმძღვანელმა კი პირიქით, შექმნილი მდგომარეობა გამოიყენეს კვიპროსის ორად გაყოფისათვის, რათა შემდგომში იგი შეეერთებინათ თურქეთან.[184] საბერძნეთისა

---

[183] **Tornaritis C.** Cyprus and its Constitutionale and other Legal problems. გვ. 65.

[184] საგულისხმოა, რომ ამ ფაქტს აფხაზი სეპარატისტები ხშირად ახსენებენ მაგალითად, როცა საუბრობენ აფხაზეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შეყვანაზე.

და კვიპროსის მთავრობათა უარმა ენოზისზე შეაფერხა თურქული ტაქსიმას პოლიტიკა, რადგან ამიერიდან არ არსებობდა კვიპროსის საბერძნეთთან მიერთებისა და კუნძულზე ბერძენთა სამხედრო ინტერვენციის საშიშროება. ამიტომ თურქულმა მხარემ ფორმალურად უარი თქვა ტაქსიმას პოლიტიკაზე და გამოვიდა მოთხოვნით კვიპროსში ფედერალური სახელმწიფოს შექმნაზე. იმავდროულად კვიპროსელი თურქების მთავარი საზრუნავი იყო მიტაცებული ტერიტორიის სწრაფი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრირება თურქეთის რესპუბლიკასთან. უფრო მეტიც, 1975 წლის თებერვალში კვიპროსელმა თურქებმა, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ცალმხრივად გამოაცხადეს ე.წ. „კვიპროსის თურქული ფედერაციული სახელმწიფოს" შექმნა. თურქების ასეთი მოქმედება, რომლებიც კვიპროსელი თურქების უკან იდგნენ, არავითარი კავშირი არ ქონდა, როგორც კვიპროსის კონსტიტუციასთან ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და როდესაც კვიპროსის თურქულ ნაწილში ნატარდა რეფერენდუმი, სრულიად იგნორირებული იქნა იმ 200 ათასი კვიპროსელი ბერძნის აზრი, რომელიც ცხოვრობადა ამ მიწებზე და შემდგომში განდევნილ იქნენ და დევნილებად იქცნენ თავისივე ქვეყანაში. თურქული კვიპროსის პრეზიდენტად გამოცხადებულ იქნა კვიპროსელი თურქების ლიდერი რ. ბენკტაში, რომელიც ფორმალურად 1973 წლიდან იყო კვიპროსის ვიცე-პრეზიდენტი. კვიპროსის ამ ნაწილში შეიქმნა საკანონმდებლო ორგანო და მთავრობა,

რომელშიც უმრავლესობა კვიპროსის თურქეთთან გაერთიანების მომხრე იყო. ასევე შეიქმნა ადმინისტრაციული და ტერიტორიული ორგანოები. 1976 წელს კვიპროსის თურქულ ნაწილში მიიღეს კონსტიტუცია, რომელშიც პირდაპირ ეწერა, რომ კვიპროსი არის თურქეთის განუყოფელი ნაწილი, ხოლო ჩრდილოეთში დარჩენილი კვიპროსელი ბერძნები ცხადდებოდნენ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებად, რომელთა ქონება, მათი გასახლების შემდეგ, ექვემდებარებოდა კონფისკაციას კვიპროსელი თურქების სასარგებლოდ[185]. დაიწყო კვიპროსის ერთი ნაწილის თურქიზაციის პროცესი, კერძოდ ქალაქების და სოფლების ბერძნული სახელები შეიცვალა თურქულით. მაგ. ნიქოზიის თურქული ნაწილი გახდა ლეფკოშა და ა.შ. მოსახლეობაში ინერგებოდა თურქული შოვინიზმი, იდევნებიდნენ ის მცირერიცხოვანი ძალები, რომლებიც მოითხოვდნენ კვიპროსის ერთიან სახელმწიფოდ შენარჩუნებას. დაიწყო კვიპროსის თურქული ნაწილის სწრაფი მილიტარიზაციის პროცესი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა თურქული მხარე. ასევე სწრაფი ტემპით დაიწყო თურქული კვიპროსის ეკონომიკის ინტეგრირება თურქულ ეკონომიკაში. თურქული ლირა გახდა თურქული კვიპროსის ფულის ერთეული, თურქეთის კონტროლ ქვეშ გადავიდა კავშირგაბმულობის ყველა სახეობა

---

185 **Tornaritis C.** Cyprus and its Constitutionale and other Legal problems. . . გვ.78.
Анисимов Л. Н. Проблемы Кипра. Исторические и международно-правовые аспекты. ст.92

(ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი), სავალდებულო და საჰაერო კომუნიკაციები. იქმნებოდა შერეული საწარმოები, სოფლის მეურნეობის, გადამუშავებული, ტურიზმის და სხვა დარგებში. თურქეთი ყოველნაირად ცდილობდა ეკონომიურად დაეინტერესებინა კვიპროსელი თურქები. ამ მიზნით მათ თავის თავზე აიღეს თურქული კვიპროსის ბიუჯეტის ნახევრის დაფინანსება. თურქების ეკონომიურმა დახმარებამ კვიპროსელი თურქების მიმართ თავის შედეგი გამოიღო და თუ 1977 წელს მათი ნაციონალური შემოსავალი სულ რაღაც 3 მილიარდ თურქულ ლირას შეადგენდა, 1982 წელს 33 მილიარდი ლირა შეადგინა. ეკონომიკის ზრდამ 1982 წელს 2,5% შეადგინა, საგარეო ვაჭრობის მოცულობამ 2- დან 28 მილიარდი ლირა შეადგინა. გარდა ამისა, აიღო რა ორიენტირი თურქულ ეკონომიკურ მოდელზე, თურქული კვიპროსის ყველა მსხვილი საწარმო გაერთიანდა „სამრეწველო ჰოლდინგში" რაც ამაღლებდა მათ ეკონომიკურ ეფექტს.

XX საუკუნის 70-იან წლებში კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში დაიწყო ანატოლიის თურქების ჩამოსახლება. ორგანიზატორების აზრით ეს ხელს შეუწყობდა თურქული კვიპროსის სწრაფ ინტეგრაციას თურქულ სახელმწიფოსთან. გარდა ამისა, ყველა გადმოსახლებული ღებულობდა იმ ჭინებას და მიწას, რომელიც ბერძნების მიერ იყო მიტოვებული(!). რა თქმა უნდა, გადმოსახლებულები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს თურქული კვიპროსის ინტეგრაციას თურქეთთან. გადმოსახლებული თურქებისაგან იქმნებოდა

პოლიტიკური პარტიები, რომელთა ლიდერები ისეთი როგორიც იყო თურქეთის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი ი. ტეზერი და რომელიც რ. დენკტაშის ერთ-ერთი მინისტრთაგანი იყო, პირდაპირ მოითხოვდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთან მიერთებას და მის შემადგენლობაში ყოფნას. ასე, რომ კვიპროსელ თურქებმა ამ პერიოდში ბევრი მომხრე გაიჩინეს თავისის მიზნის მისაღწევად რაც გასაკვირი არ უნდა იყოს.

თურქული კვიპროსის ლიდერები ცდილობდნენ საერთაშორისო არენაზე თავიანთი მიზნებისთვის გამოეყენებინათ ისლამური ფაქტორიც. მათ დამკვირვებლის სტატუსი მიიღეს ისლამის ქვეყნების კონფერენციაში. 80-იან წლებში საუდის არაბეთის პრინცმა მოჰამედ ალ – ფეისალ ასსაუდის ინიციატივით თურქულ კვიპროსში გაიხსნა საერთაშორისო ინსტიტუტი ისლამური ბანკებისა და ეკონომიკისა, ასევე გაიხსნა კვიპროსის ისლამური ბანკი, რომლის კაპიტალიც 10 მილიონ დოლარს შეადგენდა და რომლის მიზანიც ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის დაფინანსება იყო (პირველ რიგში ტურიზმის სფერო). საუდის არაბეთის გარდა აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობა დაიწყეს იორდანიამ, ირანმა, პაკისტანმა და სხვა მუსლიმანურმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ასევე აქტიურად თანამშრომლობდნენ კვიპროსელ თურქებთან.

საერთაშორისო არენაზე კვიპროსელი თურქები და მის უკან მდგარი თურქეთის სახელმწიფო ცდილობდნენ არ

დაეშვათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მათ მიმართ სანქციების დაწესება კვიპროსის ნაწილის უკანონო ოკუპაციისთვის. ამ მიზნით კვიპროსელი თურქები გაეროს ეგიდით აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახის მოლაპარაკებებში. ყოველივე ეს სჭირდებოდათ დროის მოსაგებად, რათა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი შეგუებოდა თურქული კვიპროსის არსებობას და მიეღწიათ მისი აღიარებისათვის. ბერძნულ და თურქულ თემებს შორის ათწლიანი უნაყოფო მოლაპარაკებების შემდეგ, თურქულმა მხარემ 1983 წელს შეწყვიტა მოლაპარაკება და გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი თურქეთთან ინტეგრაციისკენ. 1983 წლის 15 ნოემბერს, ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოში ე.წ. კვიპროსის თურქულმა ფედერაციულმა სახელმწიფო მიიღო რეზოლუცია კვიპროსის თურქული ნაწილის თვითგამორკვევის შესახებ. ამ რეზოლუციის თანახმად, იმავე წლის 15 ნოემბერს გამოცხადდა „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის" შექმნის შესახებ, რომლის პრეზიდენტი კვლავ გახდა რ. დენქტაში. მან პირველსავე საჯარო გამოსვლაში განაცხადა, რომ იმედი აქვს თურქეთის არამარტო მხარდაჭერის, არამედ პოლიტიკური აღიარებისაც. თურქეთმა არ დააყოვნა და ეს სეპარატისტული წარმონაქმნი მაშინვე სცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. (დღემდე კვიპროსის ამ ნაწილის დამოუკიდებლობას სცნობს მხოლოდ თურქეთი და ყოფილი ავდანეთის თალიბანის რეჟიმი). მიუხედავად კვიპროსელი

თურქების და მათი მფარველების არაერთი მცდელობისა მსოფლიო თანამეგობრობამ არ აღიარა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა. უფრო მეტიც, გაეროს უშიშროების საბჭომ თავის რეზოლუციებში გამოხატა სერიოზული შეშფოთება თურქული თემის სეპარატისტულ მოქმედებასთან დაკავშირებით და მათი გადაწყვეტილება გამოცხადდა უკანონოდ. გაერომ, 1984 წლის 15 მაისის რეზოლუციით, ყველა სახელმწიფოს მოუწოდა არ ეცნოთ ე.წ. ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, ხოლო კონფლიქტის მხარეებს მოუწოდა დიალოგისა და მოლაპარაკებების განახლებაზე.[186]

ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის დიალოგის მცდელობა არაერთხელ ყოფილა. ჯერ კიდევ 1968 წლის 3–5 ივნისს ქ. ბეირუთში შედგა კვიპროსის ორი თემის წარმომადგენლების გ. კლირიდისის და რ. ბენკტაშის შეხვედრა, სადაც მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად, იმავე წლის 24 ივლისს კვიპროსზე, გაეროს წარმომადგენლების მონაწილეობით, დაიწყებოდა მოლაპარაკება. მოლაპარაკებები შედგებოდა რამდენიმე ეტაპისაგან და მისი მთავარი მიზანი იყო მხარეებს ერთმანეთისთვის გაეცნოთ თავიანთი ხედვა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სასამართლო სისტემის, პოლიციის, ადგილობრივი თვითმართველობის საკითხების შესახებ.

---

[186] Resolutions Adopted by the United Nation on the Cyprus problem. 1964-1993. Nikosia, 1993. გვ .25.

კვიპროსელი ბერძნების მოსაზრება ქვეყნის მოწყობის შესახებ წარდგენილი იქნა 1970 წლის სექტემბერში გამართული მოლაპარაკებების დროს. მათი აზრი ჩამოყალიბებული იყო რამდენიმე პუნქტად: 1. კვიპროსი უნდა ყოფილიყო უნიტარული და სუვერენული სახელმწიფო თავისი I კონსტიტუციით, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა დემოკრატიის პრინციპებზე და გაეროს წესდებაზე. 2. კვიპროსის ყველა მოქალაქეს განურჩევლად რასისა და რელიგიური შეხედულებებისა უნდა ჰქონოდა თანაბარი და სრული უფლებები. 3. კვიპროსელი თურქებისათვის ავტონომიის მინიჭება განათლების, კულტურის და რელიგიის საკითხებში და ა.შ. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, კვიპროსელი ბერძნები მომხრე იყვნენ არა ფედერალური სახელმწიფოს შექმნაზე, როგორც ამას მოითხოვდა მეორე მხარე, არამედ უნიტარულზე და ეროვნული უმცირესობისთვის ფართო კულტურული ავტონომიის მინიჭებაზე, მაგრამ 1974 წლის მოვლენებმა მათი პოზიციები შეარბილა. 1975 წლის 10 თებერვალს გ. კლირიდისმა კვიპროსელი თურქების ლიდერს რ. ბენკტაშს გაუგზავნა ახალი წინადადებების პაკეტი,[187] რომელშიც ჩამოყალიბებული იყო სახელმწიფო მოწყობის ახალი გეგმა. კერძოდ,

- კვიპროსი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო.

---

[187] доклад Генерального секретаря ООН Совету Безопасности о событиях на Кипре. Приложение А. док.ООН S/II 624.

- მის ძირითად კანონს წარმოადგენდა კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნის ფედერალურ მოწყობას აღიარებდა.
- კვიპროსელ თურქებს საშუალება ექნებოდათ მართონ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილი ზღვის ორივე მხარეს.
- სხვა რაიონებიც შეიძლება მართონ, თუ მოსახლეობის უმრავლესობას კვიპროსელი თურქები შეადგენდნენ.
- ცენტრალურ მთავრობას ფედერალურ სახელმწიფოში უნდა ჰქონოდა ფართო უფლებები.
- იმ კვიპროსელი ბერძნების სამართლებრივი სტატუსი, რომლებიც იცხოვრებდნენ თურქების რაიონებში, უნდა ყოფილიყო განსაზღვრული და დაკანონებული.
- კონსტიტუციით, ადამიანის უფლებები უნდა ყოფილიყო გარანტირებული, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა კუნძულზე თავისუფალი გადაადგილების უფლება.
- განსაზღვრული და დაცული უნდა ყოფილიყო საკუთრებისა და მისი გამოყენების უფლება კვიპროსის ნებისმიერ რაიონში და ადგილას.

1975 წლის 13 თებერვალს კვიპროსელმა თურქებმა ბერძნული მხარის ამ წინადადებებს უპასუხეს შემდეგი კონტრ-წინადადებით: კვიპროსი უნდა ყოფილიყო „დამოუკიდებელი და საერო რესპუბლიკა, რომელიც უნდა შედგებოდეს ორი (ბერძნულ და თურქულ) რეგიონალური ფედერაციული სახელმწიფოსაგან, თავისი კონსტიტუციითა და თავისი სამართლებრივი სისტემით. ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა კუნძულის ორ ნაწილად გაყოფის დაკანონებას,

რომელზეც ბერძნული მხარე კატეგორიულად უარს ამბობდა, მაგრამ თანახმა იყო ქვეყნის მოწყობის ფედერაციულ პრინციპებზე, სადაც ორივე თემს თანაბარი უფლებები ექნებოდა.

მიუხედავად ამისა თურქეთის მთავრობა ცდილობდა ყოველმხრივ დახმარებოდა და მხარდაჭერა გამოეხატა თავის ანკლავის მიმართ, როგორც დიპლომატიური, ეგე ეკონომიკური თვალსაზრისით[188]. ეკონომიური ინტეგრაცია გამოიხატა კერძო ინვესტიციების მოზიდვაში. ამ მიზნით ჩრდილოეთ კვიპროსის პარლამენტმა მიიღო კანონი პორტო-ფრანკოსა[189] და თურქეთის არმიის მიერ ოკუპირებულ ფამაგუსტაში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ. ამ ქალაქს თურქული სახელი მაგოსი ეწოდა და იგი ფრიად მიმზიდველი იყო უცხოელი ინვესტორებისათვის.

არ გამართლდა თურქეთისა და ჩრდილეოთ თურქეთის მესვეურების იმედი მუსლიმანური სახელმწიფოების მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის აღიარების შესახებ. მათ ყურად იღეს გაეროს უშიშროების საბჭოს შეფასება, რომელშიც დამოუკიდებელი თურქული ჩრდილოეთ

---

[188]თურქეთის სანაპიროდან ჩრდილოეთ კვიპრისის სანაპირომდე ზღვის ფსკერზე გაყვანილ იქნა 100 მეგავატიანი წყალქვეშა ელექტრო კაბელი, რომელმაც სრულად დააკმაყოფილა ჩრდილოეთ კვიპროსის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე, რომელიც მანამდე კვიპროსის ცენტრალურ მთავრობაზე იყო დამოკიდებული.

[189] **პორტო-ფრანკო** – თავისუფალი ნავსადგური

კვიპროსის რესპუბლიკის გამოცხადება განიხილებოდა, როგორც არალეგიტიმური იურიდიული აქტის მქონე ქმედება..

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ქვეყნები და აშშ მხარს უჭერდნენ კვიპროსის ერთიანობას, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მახლობელ აღმოსავლეთში დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე მათი ინტერესები ამ რეგიონის მიმართ გაიზარდა. რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებისათვის აშშ-მ ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე, ლეფკონიკოს მახლობლად, სამხედრო აეროდრომი ააშენა, რომელსაც ძალიან დიდი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია და რომლის ღირებულება 500 მილიონი დოლარი არის. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ამ რეგიონში აშშ-ს თავისი ინტერესები გააჩნია, რაც ხელს აძლევს ჩრდილოეთ კვიპროსის მთავრობასაც და აშშ-ს სამხედრო ყოფნას რეგიონში განიხილავს, როგორც საერთაშორისო იზოლაციის გარღვევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას.

ჩრდილოეთ კვიპროსის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და ხელსაყრელმა საინვესტიციო ფონმა მართლაც მიიზიდა უცხოური კაპიტალი. ამ მხრივ, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან მუსლიმანური ქვეყნები: საუდის არაბეთი, იორდანია, კუვეიტი და სხვა

მდიდარი არაბული სახელმწიფოები რომლებმაც დიდი ინვესტიციები ჩადეს კვიპროსის ამ ნაწილში.[190]

ამასობაში კვიპროსის სამხრეთი გაერთიანებული ევროპის ნაწილი გახდა, რომლის გორდიეს კვანძად დღემდე რჩება კვიპროსის გადაუჭრელი საკითხი. ზემოთხსენებული მოვლენები აშკარად მიუთითებს, რომ კვიპროსზე არსებული ეთნოკონფლიქტი, ფაქტობრივად წარმოადგენს ორი ქვეყნის პოლიტიკურ ბრძოლას კვიპროსზე გაბატონებისათვის. ეს მოვლენები კიდევ ერთხელ გვიჩვენებენ რა შეიძლება მოჰყვეს ულტრანაციონალისტური შეხედულების გავრცელებას მოსახლეობაში, რომლის უკან ყოველთვის დგანან დაინტერესებული ძალები და ცდილობენ შექმნილი პოლიტიკური ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენონ. ძნელია იმის თქმა, როდის გადაწყდება ეს კონფლიქტი, მაგრამ ახლო მომავალში ქვეყნის სახელმწიფოებრივ მოწყობაზე მხარეებს შორის პირდაპირი დიალოგი გარდაუვალია.

---

[190] საუდის არაბეთმა **ნიქოზია** – კირინეას ავტოსტრადის ასაშენებლად 450 მილიონი დოლარი გამოჰყო,ანვე გასცა 100 მილ. დოლარი საცხოვრებელი სახლებისა და მეჩეთების მშენებლობისათვის და ა. შ.

დასკვნა

ამრიგად, ჩვენი ძირითადი მიზანი იყო გაგვეშუქებინა XX საუკუნის II ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი კრიზისები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ამ ეპოქის მსოფლიო პოლიტიკის ფორმირებასა და განვითარებაზე. განხილული პრობლემები სხვადასხვა კუთხით, მაგრამ მაინც აელენენ მსგავსებას საქართველოში არსებულ კონფლიქტებთან: შეიძლება ეს იყოს საერთაშორისო ინსტიტუციების მხრიდან საკითხისადმი მიდგომა, აგრესიულად განწყობილი სახელმწიფოების დამოკიდებულება თუ სხვა. თუმცა ისტორიული თვალთახედვით, ჩვენს მიერ განხილული არცერთი კრიზისი არ ჰგავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს. აღნიშნული კონფლიქტები შეიძლება შეფასდეს, როგორც რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური კრიზისი და არა როგორც ეთნოკრიზისი. ტერიტორიულად დიდი სახელმწიფოს აგრესია პატარა, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ქვეყნის მიმართ.

OMAR ARDASHELIA

The Issues of International Relations of the 2nd half of the 20th century

The most important issues of international relations play a significant role in the international relations of the 2nd half of the 20th century. For understanding and realization of modern political researches it is necessary to study these issues in the context of political theories, methods and methodology.

In the given work the important issues of international relations of the 2nd half of the 20th century are presented, which impacted on the formation of political relations, character and political processes of the epoch.

In the work there is presented transformation of France' policy towards the countries of Indochina in the 50-70s of the 20th century, the issue of Taivan and its possible parallels towards Abkhazia and Tskhinvali regions, the issue of Korea in the foreign policy of the USA in 1945-1974, the conflict of Near East of the year 1973 in the relations of the USA and the Soviet Union, "Communique of Shanhai", the issue of Cyprus in the international relations of the 60-70s of the 20th century.

The research topic "Policy transformation of Charles de Gaulle towards the countries of Indochina in the 50-70-ies of the

XX Century" is about the political events developed on the peninsula of Indochina at the time of establishing the new world order after the second world war. The countries of Indochina – Vietnam, Cambodia, Laos were the colonies of France since the end of the XIX and the beginning of the XX centuries and remained under its control till the end of the second world war. After the second world war the attempt of the government of France to maintain its infl uence in these countries eventually failed, because "Communist China" did its best to realize its geopolitical, strategic and ideological interests in this region and "the Communist Russian empire-the Soviet Union" supported it as well. France that was weakened in the second world war couldn't resist growing political interests of China and the Soviet Union, that eventually aimed to introduce Communism ideology in Indochina and to make this region its own geopolitical and strategic platform.

In this situation the doctrine of stopping "the communism danger" was worked out in the USA, which was directed towards the ideological expansion of the USSR and China and was conditioned by the interests of the USA in Southern-Eastern Asia. The USA saw that France couldn't maintain its infl uence in the region, that followed domination of communist China and the Soviet Union on the peninsula of Indochina. It's obvious that diplomacy of the USA would not admit it which caused the tempo-

rary opposition of the interest between the USA and France in the region. Despite it, in the countries of Indochina the main opposition parties represented on the one hand – USA and on the other hand the Soviet Union and Communist China. In such conditions, and relevantly France elaborated a new policy towards the countries of Indochina.

In the south-east Asia, especially, within the international situation created on the peninsula of Indochina France was forced to withdraw and agree with Geneva Agreements, as a result of which the region remained totally under the infl uence of the USA. But China and the Soviet Union attempted to maintain their interests in these countries. In 60s of XX century the events occurred in Vietnam forced the USA to go out of Vietnam which became the ground of pursuing the new foreign political course of France towards the countries of Indochina. Policy transformation of France was connected to the name of Charles de Gaulle, the president of France of that time, who elaborated a new tactics and strategy towards the countries of Indochina. This political course mainly took into consideration to respect political sovereignty and independence of these countries and the issue of their political "neutralization". In the 70-ies of the XX century France could keep defi nite infl uence in the countries of Indochina, that was the result of the new foreign policy of Charles de Gaulle.

Thus, from 50s to 70s of XX century France's external political course towards the countries of Indochina had evolutionally developed and experienced a great change. In spite of the new political course of France's authority and Charles de Gaulle was finally directed towards maintaining France's political infl uence in the region, even the high level of French political culture and incredible improvements and developments of social thought was refl ected in it. In Charles de Gaulle's epoch French social-political opinion generated not a one similar policy that gave the French colonies the opportunity of freedom and independent development.

The results of the research are summarized in the conclusion.

ბიბლიოგრაფია:

1. **არდაშელია ო.**, ალჟირის კრიზისი და შარლ დე გოლის პოლიტიკა, *ექ. თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაციის წელიწდეული* „საისტორიო ძიებანი", № VI, თბ. 2003.
2. აფხაზეთის ლაბირინთი, ავტორთა კოლექტივი, თბ. 1999;
3. **ბჟეზინსკი ზ.** დიდი საჭადრაკო დაფა, თბ. 2004.
4. გაეროს უშიშროების საბჭოს მასალები 1974 წლის ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის მასალები. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ნიუ-იორკი. 1975. გვ. 167. (ინგლსურ ენაზე).
5. **გეგეჭკორი დ.** შანხაის კომუნიკე, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 12. თბ. 2005;
6. **დათიაშვილი შ.** წყლის პრობლემა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობებში. დიპლომატიური წელიდწლეული. ტ. 6. თბ .2000;
7. **დათიაშვილი შ.** წყლის კრიზისი მდ. იორდანეს აუზში და 1967 წლის ომი, ქართული დიპლომატია, ტ. 7. თბ. 2001.

8. **დავითაშვილი ზ.** მეთოდის პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისას, წელიწდეული „ქართული დიპლომატია, ტ. 6. თბ. 1999

9. **კუკუტარია გ.** უინსტონ ჩერჩილის სიტყვა, წარმოთქმული ქალაქ ფულტონში (აშშ) 1946 წლის 5 მარტს. ქართული დიპლომატია, წელიწდეული ტ. 10. თბ. 2003.

10. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი – ცნობარი, თბ. 2004.

11. **მაკარაძე ე. გოგიტიძე მ.** კვიპროსის საკითხი აღმოსავლეთ პოლიტიკაში XX ს. 60-80-იან წლებში. ბათუმი. 2000.

12. **მენთეშაშვილი ალ.** დიპლომატიის ისტორია ტ. II თბ. 2002

13. **ა. ციციაშვილი** „ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტის ორი გზა თბ. 1989.

14. **პაპასქირი ზ.** ნარკვევები აფხაზეთის ისტორიიდან ტ. II. თბ. 2007.

15. **რონდელი ალ.** საერთაშორისო ურთიერთობები, მესამე განახლებული გამოცემა თბ. 2006.

16. ქართული დიპლომატიური ლექსიკონი. ტ. 1-2 თბ. 1999-2000

17. **Арзаканян, М.** Де Голль и реформа государственного устройства Франции // Отечественные записки. - 2004. - № 2;

18. **Астафьев Г. В**. США и Китай. М. 1983;

19. **Анисимов Л. Н**. Проблемы Кипра. Исторические и международно-правовые аспекты. М.1986.

20. **Барышников В.Н.,** Гончаров С.Н. К вопросу о воссоединении Тайваня с КНР // Проблемы Дальнего Востока. 1984. №3;

21. **Бажанов Е. П.** Движущие силы политики США в отношении Китая. М. 1982;

22. **Васильев Н.В., Мироненков Е.Г**. Тайваньский фактор в американо-китайских отношениях // Проблемы Дальнего Востока, 1985, №2;

23. **Воронцов В. Б** Корея в планах США в годы второи мировой воины. М. 1962

24. **Иноземцев В.А** Военная политика США на тихом океане М. 1972.

25. **Игнатов П. Д** .Военная тактика и стратегия в Арабо-Израельских воиннх во второй половине XXв. М.2001

26. **Гаврилюк 1962:** Гаврилюк В. А. Распад французской колониальной империи. М. 1962.

27. **Губер А.А.** Вьетнам во время и после второй мировой войны. М. 1962

28. **Голль Шарль Де** . мемуары М. 1972

29. Новейшая история Франции. М. 1989.
30. Конституция и законодательные акты Французской Республики. М. 1958. www. francaices.doc.org
31. **Игнатов П. Д.** Военная тактика и стратегия в Арабо-Израельских воиннах во второй половине XX в. М.2001;
32. **Киссинджер Г.** Дипломатия. М 1997.
33. **Капица М.С. КНР**: три десятилетия – три политики. М. 1979;
34. **Керов В.Л.** Французская колонизация островов Индийского океана: XVII–XVIII вв. М., 1990;
35. **Кузупис Н.** Проблемы национально-освободительного движения на Кипре (20-50 годы XX в) М.1986;
36. **Лакоба С.** Очерки политической истории Абхазии. Сухум. 1990;
37. **Ледовский А.М.** Китайская политика США и советская дипломатия, 1942 – 1954. М.:1985
38. **Лакоба С.** Очерки политической истории Абхазии. сух. 1990;
39. **Ляхс М.** Женевские соглашения 1954 г. об Индокитае. М. 1956.
40. **Меркулов С. К.** Американо-китайское сближение (вторая половина 70-х гг). М. 1980;
41. Международные отношения в Южнои Юго-Восточнои Азии и на Дальном Востоке (1945-1962) М. 1978.

42. Новейшая история Франции. М. 1989.

43. **Осипов А. И**. Политика США на ближнем востоке. М 1991;

44. **Осипов А. И**. США и Арабские страны в. 70 в начале 80 годов.М 1983;

45. **Рузвельт Элиот**. Его глазами. М. 1947.

46. **Примаков Е.** История оного заговора. М 1988;

47. **Протопопов А.С. Козьменко В.М. Елманова Н.С.** История международных отношений и внешней политики России (1648-2000). Учебник для вузов /Под ред. А.С. Протопопова - М.: Аспект Пресс, 2001.

48. **Петухов В.** США против воссоединения Тайваня с КНР // Азия и Африка сегодня, 1988;

49. **Поцхверия Б. М**. Внешнаяя политика Турции после второи мировои воины. М. Международные отношения в Южнои Юго-Восточнои Азии и на Дальном Востоке (1945-1962) М.1978.

50. Историа Израеля . М. 2004;

51. История Корей т. II. М. 1978;

52. История международных отношений на Дальнем Востоке. 1945-1977 / Отв. Ред. **С. Л. Тихвинский.** Хабаровск. 1978;

53. **Шахбазов В. А.** Проблемы Кипра в политике Турции в 1960-1980 годах. Орджоникидзе. 1983.

54. **Черкасов П. П.** Франция и Индокитай. М. 1976.

55. **Цветков И. А.** Политика США по отношению к таиванской проблеме 1949-1999 М. 2000;

56. **Хагба В.** Агрессия Грузии и международное право. Сухум. 1995.

57. **Tornaritis C**. Cyprus and its Constitutionale and other Legal problems. Nikosia.1980;

58. The One China Principle and Taiwan Issue. The Taiwan Affairs office and the information office of the State council People Republic of China. February. 2000;

59. **Salan R.** Memoires. Fin d'un Empire. t.2. Le Viet-minh mon adversaire (octobre 1946—octobre 1954), Paris, 1971.

60. **Parker L.K**. French colonies in the Americas. New York. 2003

61. **Crawshaw N.** The Cyprus Revolt. An Accaunt of the struggle for union with Greece. L. 1978.

62. **Kerr G**. Formosa betrayed. Boston: Houghton Mifflin, 1965

63. **Kissinger H.** White House years. Boston: Little Brown and Company, 1979;

64. International Institutions and State Power: Essays in International Relations Theory (Boulder: Westview Press, 1989).

65. Resolutions Adopted by the United Nation on the Cyprus problem. 1964-1993. Nikosia, 1993.

66. **Tucker N.** Taiwan, Hong Kong, and the United States, 1945-1992 : uncertain friendships. New York : Maxwell Macmillan International, 1994;

67. **Truman H.** Years of trial and hope. Garden City, New York 1956.

68. La France d'outre-mer (1930–1960): temoignages d'administrateurs et de magistrates. Paris, 2003;

69. http//www. abkhazia. ru

70. http.www.2facts.com/archive/search/1971103700.asp

71. nevtaiwan. virtualave. net

72. www. taivan.org

73. http//nevtaiwan. virtualave. net

74. www. francaices.doc.org

75. www. natoinfo.ge

76. http//www. iternationalinterest.com

77. გაზეთი: Washnigton poste,

78. გაზეთი: Frankfurten Algemainen. 2008. 4 04.

79. internet-masalebi: www. infoplease. com; www. wikipedia.org. Foreign relations of Cyprus; www.cypriot.ru; www. investincyprus.gov.cy; www.mfa. gof.cy; www.mfa. gof.cy; და სხვები.

80. „Известия" № 221 9 ოქტომბერი 1973 წელი.

შინაარსი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 3

თავი I. საფრანგეთის პოლიტიკის ტრანსფორმაცია ინდოჩინეთის ქვეყნების მიმართ XX საუკუნის 50-70-იან წლებში 9

თავი II. ტაივანის საკითხი და შესაძლო პოლიტიკური პარალელები 33

თავი III. კორეის საკითხი აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში 1945-1974 წლებში 66

თავი IV. 1973 წლის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში 74

თავი V. აშშ-ს ჩინეთთან დაახლოების პოლიტიკა და „შანხაის კომუნიკე" 103

თავი VI. კვიპროსის საკითხი XX საუკუნის 60-70-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობებში 124

დასკვნა 161

The Issues of International Relations of the 2nd half of the 20th century 162

ბიბლიოგრაფია 166